ლის ხის“ აქ არსებობის გამო. ასე რომ, ფრიად დიდი პატივი იქნებოდა „ხის“ შორიახლოს მიცვალებულის განსვენება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ადგილი საქართველოშია და ჩემი აზრით, ამ დიდი „ხის“ საიდუმლო ჩვენმა ყოველმა მეფემ იცოდა, ზოგიერთი ვერ ბედავდა მისი სხეული კოსმიური სვეტის სიახლოვეს დაეკრძალათ. მაგალითად, ერთ-ერთ ძველქართულ ტექსტში დიდი სვეტის შესახებ ვკითხულობთ: **„თავი შენი შეჰვედრე სუეტსა მას ზეგარდმოდიდებულსა და პატიოსანსა ჯუარსა ცათა შინა ჩინებულსა“...** (ეს ციტატი ვისესხე ჟურნალიდან „მნათობი“, 1991, № 5, გვ. 132). იქვე ნათქვამია, რომ **„თვით მირიანი აქ არ დაკრძალულა და ეს არა იმიტომ, რომ არ სურდა სასწაულმოქმედი სვეტის სიახლოვეს ეპოვა სამუდამო განსასვენებელი, არამედ იმიტომ, რომ ვერ გაბედა“** (გვ. 133). რა არის აქ ჩემთვის საინტერესო, რომ ამ სასწაულმოქმედი სვეტის საიდუმლო და ადგილსამყოფელი საქართველოში მე-3 საუკუნეშიც სცოდნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ხელს ვერავინ შეუშლიდა მეფეს პირადი განსასვენებელი „სიცოცხლის ხის“ სიახლოვეს დაეთქვა წინდაწინ, იგი უარს ამბობს მისი სხეული დაკრძალონ ამ დიადი კოსმიური მოვლენის შორიახლოს, — ვერ გაბედაო! დავაკვირდეთ, რაოდენ დიდია ჩვენი წინაპრების მოკრძალება „სიცოცხლის ხის“ მიმართ. მაინც, რატომ განაცხადა უარი მირიან მეფემ სიცოცხლეშივე ამ დიდი სვეტის ახლოს დაკრძალვაზე? აი, რას ამბობს ამის შესახებ თავად ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ დაცულ მოგონებაში... (იმავე გვერდიდან): **„და აღვაშენე ზემოჲ ეკლესიაჲ თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლითა, რამეთუ ქუეშოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდაჲ წმიდათაჲ“ და ყოლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თვინიერ, ხოლო დღესა კვირიაკესა არცა შესვლად ვინ იკადრებდა თვინიერ მღვდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცისა სუეტისა მისგან ცხოველისა. და ჰხედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა. და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თვით ვხედავთ. და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ სამარედ ჩემდა რათამცა დავსხენ ხორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდენ მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა“.** ვის შეუძლია ახლა, ასეთი ისტორიულად რეალური ფაქტის შემდეგ განაცხადოს, რომ არავითარი „სუეტი“, მითუმეტეს ღვთაებასთან დაკავშირებული საქართველოში არ არსებობდა. ეს პატარა ტექსტი, რომელიც ეს წუთია წაიკითხეთ, ძალზედ მოკლედ გვიამბობს ამ წიგნის სრულ შინაარს იმის თაობაზე, რომ არსებობს ცალკე **„ზემოჲ“** და ცალკე **„ქვემოჲ“** ეკლესია, ხოლო **„ქუეშოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდაჲ წმიდათაჲ“** და

бы оказался во мне какой грех, не предстать с ним". Можно ли после столь убедительного исторического свидетельства отрицать реальный факт того, что Столп, связанный с Господом, находится в Грузии. Приведенный тут небольшой отрывок кратко формулирует встречающиеся по всей книге суждения о том, что имеются и "верхняя", и "нижняя" церкви, причем **"нижняя церковь звалась "Святою святых" и не решался Я своим изволением отворять ее врат"**, – свидетельствует царь Мириан. Присмотревшись со всем вниманием и вдумавшись в этот древнегрузинский текст, осознаешь, сколь многое в нем содержится. В частности, хотя бы такое прямое свидетельство: **"И лишь взирали все на великий Столп как на волю и силу Божью".** Стало быть...

Предпочтительнее просто перечислить: 1) Великий Столп является носителем воли Божьей, и народ знал об этом; 2) Царь Мириан признается, что **"не решался растворять ее врат"**, ведших в "нижний", благословенный храм. Т.е. великая тайна Господня существует реально и она заперта в пределах Грузии; 3) **"Велик был страх простых людей пред Столпом животворным и чудодейственным"**; 4) **"И даже ходить за его приделами не смели, а лишь обозревали".** Эта фраза наводит на мысль, что там, внизу, куда уходит корень Древа жизни, пластами, приделами расположены какие-то строения и они реальны, так как **"...и лишь обозревая пласты великого Столпа, видели в нем..."**, т.е. видели нечто рукотворное, возведенное человеком, где человек может жить, обретаться, стало быть вмещаться по своим параметрам; 5) Царь Мириан сообщает: **"И не решился рассечь в виду его** *(Столпа)* **землю для своей могилы".** Как, следовательно, царь должен был преклоняться перед чудесным явлением природы, что не посмел пред ним даже рассечь могилу. Конечно, здесь есть и странность, уважаемый читатель: зачем было царю рассекать при жизни могилу, да еще собственными руками?.. Неясно!

* * *

Недавно меня спросили: "Допустим, Древо жизни в самом деле находится в Грузии. Чем вы это докажете"? Логикой. Да, логичной логикой. Например...

ყოლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად“. – გვამცნობს მი-
რიან მეფე. გთხოვთ სრული გულისყურით წაიკითხოთ ეს ძველქართული ტექსტი და კარგად დააკვირდეთ, რაოდენ ბევრის მთქმელია იგი. კერძოდ, ამ ტექსტში პირდაპირ არის ნათქვამი: **„ჰხედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა“.**

მაშასადამე...

აჯობებდა ჩამოვთვალოთ: 1) დიდი სუეტი ღვთაების ძალის მატარებელია და ხალხმა იცოდაო ეს; 2) მირიან მეფე ამბობს: **„ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად“,** ე.ი, სადღაც „ქვემოდთ“ რომ **„წმიდაჲ წმიდათაჲ“** არსებობს, მისი კარიბჭის გახსნას როგორ ვიკადრებდიო. მაშასადამე, ასეთი რამ არსებობს და ღვთის დიდი საიდუმლოა საქართველოში რეალურად დაკეტილი; 3) **„შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცისა სუეტისა მისგან ცხოველისა“;** 4) **„და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თვით ვხედავთ“.** ეს ფრაზა გვასწავლის, რომ იქ, ქვემოთ, სადაც „სიცოცხლის ხის“ ძირი ეშვება, სართულებად ყოფილა როგორიღაცა ნაგებობა დაწყობილი და ასეთი სართულები რეალურად არსებობს, ვხედავთო – **„...კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თვით ვხედავთ“.** აქ კიდევ ის არის ნათქვამი, რომ „კაცთა სართულსა“ ნიშნავს – კაცის ხელით ქმნილს, სადაც კაცსავე შეუძლია ცხოვრება, ე.ი, შეეტევა და დაეტევა მასში კაცთა ზომის მოდგმა; 5) მირიან მეფე გვაუწყებს: **„და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ სამარედ ჩემდა“.** მაშასადამე, რაოდენ დიდი მოკრძალება უნდა ჰქონოდა საქართველოს მეფეს ბუნების ამ მოვლენისადმი, რომ სვეტის სიახლოვეს მიწის ამოთხრა ვერ გაბედა. ჯერ აქ რა გამკვირვებია, პატივცემულო მკითხველო, თუ რატომ უნდა ამოეთხარა წინასწარ ცოცხალ მეფეს პირადი საფლავი, და თანაც თავისი ხელით?.. ვერ გავიგე!

* * *

ამას წინათ მკითხეს: „დავუშვათ სიცოცხლის ხე აქ არის! რითი დაამტკიცებო“? ერთ შემთხვევაში ლოგიკით, დიახ, ლოგიკური ლოგიკით. მაგალითად...

რა ხანია გაერთიანებული ერების საბჭოში მიმდინარეობს ბჭობა განსაზღვრონ, თუ ბოლოს და ბოლოს, რომელ კონკრეტულ მხარეს მიეკუთვნება საქართველო – აზიას თუ ევროპას, ან დასავლეთი ვართ, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი თუ სამხრეთი. ვერ გაარკვიეს! ამიტომ პირობითად გადაწყდა, რომ „საქართველო ევროპას ეკუთვნის“, მაგრამ ასეთი

В Организации Объединенных Наций уже давно ведутся обсуждения вопроса, к какой части света отнести, наконец, Грузию – Азии или Европе. Не выяснено даже, Запад ли мы, Восток, Север или Юг. Поэтому условно решено "отнести Грузию к Европе", что неверно и не соответствует истине. Грузия, вернее, территория Грузии, не относится ни к Азии, ни к Европе. Мы находимся посредине! Наша земля разделяет также страны света – Восток, Запад, Север и Юг, поскольку и в этом плане мы находимся посредине. Т.е. Грузия – нулевой, так сказать, участок Земли в связи с нахождением тут великого Древа. Поэтому именно отсюда и должны вестись измерения и даваться параметры в масштабах планеты – "к северу от Грузии", "к востоку от Грузии" и т.д.

Прослеживая историю Грузии и параллельно анализируя ее вопросы с точки зрения эзотерика, прихожу к выводу, что наши предки жили только и только ради великого Древа. Более того, за каждым солидным древнегрузинским текстом таятся такая любовь и такое преклонение, о которых предпочитали не говорить слишком много. Больше помалкивает и тот, у кого много денег. Правда, это не спасает психику от отрицательного воздействия поля денег. Но возможно и допустимо вовлечение психики человека *(или народа)* в сферу воздействия поля великого Древа, что чрезвычайно обогащает духовный мир и уровень человека *(или народа)*. Наши предки никогда не были богаты деньгами, хотя реальной возможностью обладать богатством располагали – знали о существовании потаенного города из реального золота и помнили его местонахождение. Но кто бы посмел хоть пальцем притронуться к тем несметным сокровищам, цены которым, по-моему, нет! Да, и в шутку не назовешь суммы, которой может стоить в современном исчислении святой град Сиона, в недалеком будущем долженствующий выявиться в Грузии.

Наши предки в самом деле владели величайшей тайной в связи с феноменом великого Древа. Грузинские легенды, мифы, сказки настолько богаты информацией об этой мистерии, что можно было написать о ней целые тома этой книги. И это только о библейском Древе жизни. И несколько томов можно было сочинить о процессах, протекающих у корней Древа. Так что, поскольку цель этой книги – разбор Библии и с этой позиции Я и начал

გადაწყვეტილება არ არის სწორი. საქართველო... (უფრო სწორად) საქართველოს ტერიტორია არ მიეკუთვნება არც აზიას და არც ევროპას, — შუაში ვართ! ჩვენი მიწა გამყოფია აგრეთვე აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, რამეთუ ამ თვალსაზრისითაც შუაში ვართ. ასე ვთქვათ, საქართველო ნულოვანი მონაკვეთია დედამიწის ერთი ნახევრისა დიდი „ხის“ აქ არსებობის გამო. ამიტომ, აქედან უნდა იწყებოდეს ცნებები ჩვენი პლანეტის მასშტაბით — „საქართველოდან მარჯვნივ“, „საქართველოდან მარცხნივ“, „საქართველოდან ჩრდილოეთით“ და ასე შემდეგ.

როდესაც საქართველოს ისტორიას ვეცნობი და პარალელურად ეზოთერული თვალითაც ვაანალიზებ საკითხებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩვენს წინაპრებს მხოლოდ და მხოლოდ დიდი „ხის“ გამო უცხოვრიათ. მეტიც, ყოველი ქართული სოლიდური ძველი ტექსტის მიღმა ამ უზენაესი „ხის“ სიყვარული და დიდი თაყვანისცემაა მიმალული, რომლის შესახებაც ბევრს არ ლაპარაკობდნენ. ბევრს არ ლაპარაკობს ისიც, ვისაც ძალზედ ბევრი ფული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად მდიდარი კაცი დუმს, იგი ფულის ველის ზეწოლის ქვეშ იმყოფება და მისი ფსიქიკა ფულის უარყოფითი ველის ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული. მაგრამ შეიძლება და დასაშვებია ადამიანის (ან ერის) ფსიქიკა მოექცეს დიდი „ხის“ ველის ზეგავლენის ქვეშაც, რითაც ადამიანის (და ერის) სულიერი დონე მდიდრდება. ჩვენი წინაპრები არასოდეს ყოფილან ფულით მდიდრები, თუმც სიმდიდრის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ — გადამალული ოქროს რეალური ქალაქი, რომლის მისამართიც იცოდნენ. მაგრამ ვინ-რომელი მათგანი გაბედავდა თითი დაეკარებინა იმ ოქრო-ვერცხლისათვის, რომლის ფასი, ჩემი აზრით, არ არსებობს! დიახ, იუმორითაც კი ვერ დავასახელებთ თანხას, თუ რა ელირება თანამედროვე მსოფლიოში სიონის წმიდა ქალაქი, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გამოჩინდეს საქართველოში.

* * *

ჩვენმა წინაპრებმა ნამდვილად უდიდესი საიდუმლო იცოდნენ ამ დიდი „ხის“ ფენომენთან დაკავშირებით. იმდენად მდიდარია ქართული მითი, ლეგენდა თუ ზღაპარი მისტერიასთან დაკავშირებული ინფორმაციებით, რომ ამ წიგნის რამდენიმე ტომი მხოლოდ მათ შესახებ დაიწერებოდა. ეს რაც შეეხება ბიბლიურ „სიცოცხლის ხეს“. სხვა რამდენიმე ტომი დაიწერებოდა აგრეთვე „სიცოცხლის ხის“ ფესვებში მიმდინარე

ее писать, то не вправе уклониться от обещанного и буду рассматривать только и только духовное прошлое грузинского народа.

Итак, вначале мы ознакомимся с информацией из древнегрузинских источников в кратком виде. Затем выясним, что говорит о Древе жизни древнеиндийская духовная литература. А уж потом пойдем по следам Библии, изобилующей огромным количеством фактического материала по этому вопросу.

Так поглядим, каков же грузинский пантеон мифов...

Реваз Сирадзе: "Образная речь".
Беседы о грузинской эстетике.
Издательство "Накадули", Тбилиси, 1982.

"На горе стоит упирающаяся верхушкою в небо, устоявшая от множества бурь и нашествий крепость о девяти окнах. Здесь и находятся врата Божьи: благодатный Бог сидит на золотом престоле и отверзает золотые же уста. Здесь же стоит упирающийся корнями в преисподнюю Тополь, на верхушке которого висит сложенная в девять рядов золотая цепь, унизанная жемчугами. По ветвям тополя сидят приятные для взора белорукие божьи чада, а у корней кипит драконий источник бессмертия. Источник лелеет сам божественный дракон. От крепости до источника по земле вьется спуск. Из этого спуска и выбираются сравнимые разве что только со звездами божьи чада, одно прекрасней другого" *(Т. Чхенкели)*. Как мы убеждаемся из приведенного текста, грузинская мифология располагает немалыми сведениями об исследуемом нами явлении природы, под которым подразумевается описанное в Библии "Древо жизни".

* * *

პროცესებზე... ამგვარად, ვინაიდან ამ წიგნის მიზანი ბიბლიის განხილვაა და ამ თვალსაზრისით დავიწყე თავიდანვე მისი წერა, არ მაქვს უფლება ნათქვამს გადავუხვიო და მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეროვნული სულიერი წარსული განვიხილო.

ამგვარად, თავდაპირველად ქართულ ტექსტებში შემონახულ ინფორმაციებს გავეცნობით, ოღონდ მოკლედ. შემდეგ ვნახავთ, რას გვასწავლიან „სიცოცხლის ხის“ შესახებ ძველინდური სასულიერო ტექსტები. ხოლო შემდეგ კი ბიბლიის კვალდაკვალ მივყვები თხრობას, სადაც ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტებია ამ საკითხთან დაკავშირებით შემონახული.

ახლა ვნახოთ, როგორია ქართული მითოსური პანთეონი...

რევაზ სირაძე: „სახისმეტყველება“
საუბარი ქართულ ესთეტიკაზე
გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1982

„მთაზე ცხრათვალა, ბედგაუტეხელი, ცასწვერმიბჯენილი ციხე დგას. აქ არის ღვთის კარი: ოქროს ტახტზე მორიგე ღმერთი ზის და ოქროსავე ბაგეებს ძრავს. აქვე დგას ქვესკნელში ფესვგადგმული ალვის ხე, რომლის წვერში ოქროს ცხრაკეცი შიბი ჰკიდია. ალვის რტოებზე ყურებად სანატრელი, თეთრმხრიანი ღვთისშვილები სხედან, ხოლო მის ფესვებში უკვდავების ვეშა-წყარო სჩქეფს. ვეშა-წყაროს ღვთაებრივი ვეშაპი პატრონობს. ციხიდან წყარომდე მიწი-მიწ დარანი ჩადის.[1] ამ დარანიდან მოძრაობენ ვარსკვლავთა განმასახიერებელი, ერთმანეთის მოდე-მოძმე ღვთისშვილები“ (თ. ჩხენკელი). როგორც ამ ტექსტიტაც ვრწმუნდებით, ქართულმა მითმაც საკმაოდ ბევრი იცის ბუნების ამ მოვლენის შესახებ. მხედველობაში მაქვს ბიბლიური აღწერილობის „სიცოცხლის ხე“.

* * *

1. „დარანი – კლდეში ანუ მიწას ქვეშ შესასვლელი“ (ს.-ს. ორბელიანი).

Поскольку в древности кое-кто знал о тайне великого Древа, предпринимались попытки и выказывались старания максимально использовать благодать этого дара из метафизического мира, конечно, в моменты его светлого, положительного состояния. Стремились, насколько это было возможно, сформировать такие устои и правила для лучшего обустройства жизни, которые могли бы действовать веками, даже при условии незнания сути и сущности того или иного традиционного установления. В Грузии и по сегодня сохранилось множество таких нравов и обычаев, которых мы придерживаемся, не осознавая, почему, – так положено, и все тут! В детстве мне не позволяли доедать испеченный в тонэ хлеб-лаваш до кончика – его полагалось выбрасывать! Я удивлялся: весь хлеб съедать, а конец отбрасывать... И только возмужав, понял – оказывается, взрослые держали нас, детей, под давлением парадокса. Стало быть, съесть большую часть целого хлеба было можно, а меньшую – нельзя! Т.е. внедряли в нас колебания "да" и "нет" даже в момент еды. Другой пример: никто не знает, почему мы завешиваем зеркала белой тканью, если в доме находится покойник, – так принято! Да, ныне наши подсознательные знания ограничиваются такими короткими отговорками. Или почему мы затепливаем огонек в стакане с постным маслом в течение сорока дней после смерти человека? К сожалению, в Грузии не помнят даже этого. Не знаем мы и того, почему наши предки перед сном покрывали голову платком, причем ткань обязательно должна была быть белой.

Вернемся к беседе о благодати святого Столпа...

Люди всегда всеми силами старались, чтобы дети с самого рождения отличались светлой душой. Еще желательнее было сохранить духовную и телесную чистоту и во взрослом состоянии. Но как и каким способом можно было этого достигнуть? В первую очередь, младенец должен был уже появляться на свет с положительным зарядом души. А для этого существовало особое великое учение, о котором Я готовлю обширное исследование. Беседа о нем тоже ждет нас впереди.

სვეტის ეგრეგორი

ვინაიდან დიდი „ხის“ საიდუმლო ზოგიერთებმა მაინც იცოდნენ წარსულში, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ სამყაროს ამ მეტაფიზიკური ხის მადლი, ოღონდ მისი თეთრი მდგომარეობით. ამიტომ, ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენი უკეთ ცხოვრებისათვის შეეთხზათ ისეთი წესები, რომლებსაც საუკუნეებად შევინარჩუნებდით მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია აღარაფერი გვცოდნოდა ამა თუ იმ ტრადიციული კანონის არსის შესახებ. საქართველოში დღესაც ბევრი ასეთი წესია შემორჩენილი, როდესაც აღვასრულებთ, მაგრამ არ ვიცით რატომ, ასეა საჭირო და მორჩა! ბავშვობაში თონის ლავაშს არ შემაჭმევდნენ ბოლომდე, – ლავაშის წვერი გადააგდეო! მიკვირდა-ხოლმე: თან ჭამეო, თან გადააგდეო... ეს მხოლოდ დიდობაში მივხვდი, რომ თურმე პარადოქსის ზეწოლის ქვეშ ვყავდით უფროსებს ბავშვები. მაშასადამე, რამდენადაც მთლიანი ლავაშის ჭამა შეიძლებოდა, იმდენად მისი მცირე ნაწილი არ უნდა შეგვეჭამა. ნახეთ, როგორ ბადებდნენ ჩვენში „ჰო-არას“ რხევებს პურის ჭამის მომენტშიც კი. მეორე მაგალითი: არავინ იცის, რატომ ვაფარებთ სარკეს თეთრ ქსოვილს, თუ ოჯახში ამ დროს მიცვალებული განისვენებს, – წესიაო! აი, ასეთი მოკლე პასუხებით შემოიფარგლება დღეს ჩვენი ქვეცნობიერული ცოდნა; ან რატომ ვუკიდებთ ცეცხლს ჭიქაში ჩამდგარ ზეთს გარდაცვლილის ოჯახში 40 დღის განმავლობაში, სამწუხაროდ, საქართველოში აღარც ეს გვახსოვს. ჩვენ აღარც ის ვიცით, რატომ იფარავდნენ ჩვენი წინაპრები თავებს ძილის წინ ხილაბანდით, რომლის ქსოვილიც აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ახლა წმიდა სვეტის მადლზე ვსაუბრობთ...

ყველანაირად ცდილობდნენ, დაბადებიდანვე თეთრი სულის ყოფილიყო ბავშვი. და თუ დიდობაშიც სუფთა გვექნებოდა სულიერი სხეული, კიდევ უკეთესი. მაგრამ როგორ, რითი შეიძლებოდა სუფთა სულისა ყოფილიყო ადამიანი? პირველ რიგში ჩვილი დაბადებით უნდა ყოფილიყო დადებითი სულის. ამისათვის კი სხვა დიდი სწავლება არსებობდა, რაზეც ვრცელ თემას ვამზადებ. მოკლედ, ამაზეც ვისაუბრებთ მომავალში.

თურმე არსებობს ისეთი მეთოდი, როდესაც შეგვიძლია „სიცოცხლის ხის“ ეგრეგორი დავიდგათ გვირგვინივით. მიზანი? – პირადი სულის ჩართვა დიდი „ხის“ წრედში! ანუ რაც უფრო ახლოს იქნებოდნენ აზრობრივად „სიცოცხლის ხე“-სთან და მისი ანალოგიურები გახდებოდნენ ბიოველის ხარისხით, მით უფრო გაიზრდებოდა ადამიანების სულის

Оказывается, существует метод, используя который можно установить эгрегор Древа жизни в виде венца. Но с какой целью? Чтобы включить душу индивидуума в ауру, окружность великого Древа. Т.е. чем более человек мысленно приближался к нему и проникался его биополем, тем обширнее и действеннее становились возможности его души. Т.е. если в чем-то подражать и приобретать сходство с великим Древом, его эгрегор распространяется на подражающего. Мне хочется привести вам пример... Взгляните на иллюстрацию *(от вас справа)*. Вот что придумали с этой целью: голову повара увенчивали колпаком, напоминающим великое Древо *(или метафизическую трубу)*, ношение которого при исполнении служебных обязанностей было необходимо. Такой колпак непременно должен был быть белым и как можно более высоким! Каково эзотерическое содержание подобного колпака? Как сейчас выясняется, подобное сооружение на голове повара подводило его дух и плоть к аналогии с великим Древом, с помощью чего на повара нисходила благодать великого Древа. Таким образом, повар исполнялся концентрации метафизического поля. А если два повара в одном пункте одновременно надевали такие колпаки, эгрегор великого Древа делился надвое. Таким образом, тот, кто впервые выработал подобный метод, думается, обладал большими сведениями о Вселенной. Пища, приготовленная мастером в высоком колпаке, обладала более высокой благодатью сравнительно с другой. Вот в чем заключается особенность белого и высокого колпака. И не уверяйте, пожалуйста, меня в том, что высокий колпак повара носили для сохранения тепла. Да что вы...

Я думаю, вы согласитесь со мной в вопросе о том, что во время работы носить столь высокий головной убор нелегко, он отягчает и мешает движениям. Но вот вы задаете второй вопрос: может быть, колпак предохранял от попадания в пищу волос и потому к нему и прибегали? Конечно, возможно, но зачем такая высота? Короче, несмотря на множество несоответствий, повар все же украшался высоким убором, а высокий убор уже несет в себе мысль о “возвышенном”, из-за чего возвышалась и душа повара.

Как-то Я зашел в одну из крупных гостиниц нашего города сдать на реализацию несколько экземпляров этой своей книги. В ресторане взгляд мой остановился на поваре в белом и очень

უნარიც. მაშასადამე, თუ რაღაცით მიჰბაძავთ და დიდ „ხეს“ დაემგვანებით, თურმე მისი ეგრეგორი გადმოვა თქვენზე. მე ახლა ერთ ასეთ შემთხვევაზე უნდა გაგესაუბროთ, ნახეთ რა მოუგონიათ უწინ ამ მიზნით: მზარეულს თავზე ჩამოაცმევდნენ დიდი „ხის“ (ანუ მეტაფიზიკური მილის) მსგავს ქუდს, რომლის ტარება ყოველი მზარეულისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სავალდებულო იყო. ამგვარი „ქუდი“ აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო, თანაც რაც შეიძლება მაღალი. როგორია ასეთი ქუდის ეზოთერული შინაარსი? როგორც ახლა ირკვევა, მზარეულის თავზე ასეთ ჩამოსაცმელს ანალოგიაში მოჰყავდა მისი სულიერი სხეული დიდ „ხე“-სთან, რისი დახმარებითაც მზარეულზე დიდი „ხის“ მადლი გადმოდიოდა. ამდენად, მზარეული ზეციური ველის კონცენტრაციით ივსებოდა. და თუ ერთ სამზარეულოში ორი მზარეული დაიფარებდა ასეთ ქუდს, დიდი „ხის“ ეგრეგორი იყოფოდა. მაშასადამე, ვინც ასეთი მეთოდი შეიმუშავა პირველად, ჩემი აზრით, მან ძალზედ ბევრი რამ იცოდა სამყაროსი. ამგვარად, მაღალქუდიანი მზარეულის მიერ მომზადებული საჭმელიც შედარებით დიდი მადლის მატარებელი იყო. აი, რაში მდგომარეობს თურმე თეთრი და მაღალი ქუდის საიდუმლოება. მოდით, არ შემეკამათოთ, თითქოს მაღალ ქუდს სიცივის გამო აფარებდნენ მზარეულს. როგორ გეკადრებათ...



ალბათ ამ ერთ საკითხში მაინც დამეთანხმებით, რომ საქმის დროს ასეთი მაღალი თავსაფარის იოლად ტარება ძნელია, მზარეულს ამძიმებს და მოძრაობაშიც უშლის ხელს. მეორე შეკითხვა: იქნებ საჭმელში თმების ჩაცვენისა ეშინოდათ და ამიტომ აფარებდნენ ამნაირ ქუდებს? ეს მართალია, მაგრამ ამსიმაღლე?! მოკლედ, მიუხედავად მრავალი მოსაზრებისა, მზარეულს მაინც ამაღლებული თავსაფარი ედო თავზე, ამაღლებული ქუდი კი უკვე აზრია „ამაღლებულისა“, რის გამოც მაღლდება მზარეულის სულიც.

ერთხელ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ დიდ სასტუმროში შევედი, ამ

высоком колпаке *(каким он предстает на предлагаемом снимке)*, оказавшемся иностранцем. Я подошел к нему, приветствовал и на своем ломаном английском языке спросил: – Сэр, Я грузинский писатель-эзотерик. Не позволите ли вы мне сфотографировать вас для моей книги? – Он принялся было стягивать с головы колпак, но Я остановил его: – Нет, сэр, именно так, в колпаке! – отчего он немного смешался.

До того, как выпустить эту книгу, Я дал ее для прочтения своему другу. В связи с соображениями о высоком белом головном уборе он заметил мне, что в прошлые века в элитарных кругах носили и черные высокие шляпы, и спросил, чем бы Я это объяснил. Я, естественно, тотчас же вспомнил, что прежде многие из материально обеспеченных людей украшались высокими черными шляпами, и задумался. Кое-что полистал и через несколько дней ответил: черный цвет в силу своей черноты притягивает к себе ближайшие черные волны. Опять-таки в силу своей черноты он не подпускает волн других цветов, опасается, не доверяет им и замыкается в себе. И, отбрасывая все остальное, остается концентрированно черным. Мысль, естественно, развивалась дальше, и ныне уже возможно объяснить, что...

Когда человек позволил себе излишне материально обогатиться, он обнаружил, что деньги при обороте порождают еще большие деньги. И, чтоб их увеличившимся количеством добывать количество еще большее, был вынужден подготовить к этому свое сознание. Тяга к накоплению огромного количества денег в первую очередь вызывала необходимость умения оперативно оперировать цифрами, что исходит из черного поля. И чтобы расширить его для дальнейшего обогащения, обеспеченные материально люди увенчивали голову высоким, сходным с великим Древом головным убором, но (!) черного цвета. По закону единого поля, с необходимостью “возвышались” и такие личности, поскольку и черное поле являет собой метафизический мир и становится источником отрицательных частот. Между тем человек, испытывающий на себе их влияние, продолжает оставаться здесь, на Земле, в мире сем, и все острее ощущает колебания черного космоса. В результате такого сочетания усиливается сознание подобных личностей и они становятся лидерами жизни. Соответственно в них слабеет и

წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი მივიტანე სარეალიზაციოდ. იქვე, სასტუმროს რესტორანში მზარეულს შევავლე თვალი, თეთრი და ამაღლებული ქუდი ედო თავზე (სურათს დახედეთ წინა გვერდზე). უცხოელი აღმოჩნდა. მივუახლოვდი, მივესალმე და ჩემი სუსტი ინგლისურით ვთხოვე: „სერ, მე ეზოთერიკოსი მწერალი ვარ, ქართველი, ნება მომეცით სურათი გადაგიღოთ, ჩემი წიგნისათვის მესაჭიროება“. იგი ჯერ ქუდს იხსნიდა. — „ერთი წუთით, სერ, ქუდიანად“! — ხელით ვანიშნე და ფოტოაპარატი მოვმართე. ცოტა კი დაიბნა...

ვიდრე ამ ტომს გამოვცემდი, ტექსტი ორიგინალში ჩემმა მეგობარმაც წაიკითხა. მაღალი ქუდის განმარტებას რომ გაეცნო, ასეთი საკითხი წამოჭრა, რომ გარდა თეთრი მაღალი ქუდისა, გასულ საუკუნეებში ელიტარული წრეების წევრები თავზე შავ მაღალ ქუდებსაც იხურავდნენ, ამას როგორღა ახსნიო... მართლაც, მალევე გამახსენდა, რომ ადრე მაღალ შავ „შლიაპებსაც“ ხმარობდნენ ფულით მდიდრები. დავინტერესდი და დავფიქრდი... რამდენიმე დღეში პასუხიც მოვიდა: ჯერ ერთი, თურმე შავი ფერი იმიტომ არის შავი, რომ იგი შავია. ეს კი ნიშნავს, რომ შავი ფერი თავის სიშავის გამო იგროვებს ირგვლივ შავ რხევებს. მაშასადამე, რადგან შავი შავია, იგი ახლოს არ იკარებს სხვა დანარჩენ ფერებს, ეშინია, არ ენდობა მათ და თავის თავშია ჩაკეტილი., და რადგან ახლოს არ იკარებს შავი სხვა ფერებს, ამიტომ ყოფილა იგი შავი. და ასე, გავყევი ამ საკითხთან დაკავშირებულ ფიქრებს. დღეს უკვე განვმარტავ, რომ...

როდესაც ადამიანმა ფულით გამდიდრება იკადრა, დიდი ფულით კიდევ უფრო მეტი ფული იშოვა. იმისათვის, რომ უკვე დიდი ფულით უფრო დიდი ფულიც ეშოვა, მისი გონება მზად უნდა ყოფილიყო ამისათვის. მაშასადამე, ბევრი ფულის მოგროვებას პირველ რიგში ესაჭიროება ციფრების სწრაფი მანიპულაციების უნარი, რაც თურმე შავ ველს ახასიათებს. ამიტომ, იმისათვის, რომ ელიტარულ წრეებს ამასოფლის ველი მომატებოდათ კიდევ მეტად გამდიდრების მიზნით, თავზე იდგამდნენ დიდი „ხის“ ანალოგიურ ქუდს, ოღონდ, (!) ამჯერად შავი ფერის ამაღლებულ ქუდს. ერთიანი ველის კანონით, ასეთი ვინმეც აუცილებლად „ამაღლდებოდა“, რამეთუ შავი ველიც მეტაფიზიკურ სამყაროს წარმოადგენს და უფრო ხშირად უარყოფითი ფიქრების მიზეზი ხდება. ამ დროს ადამიანი აქ არის, აქ, დედამიწაზე, ამასოფელში და ძალზედ უხვად განიცდის წუთისოფლის რხევებს. ამის გამო ძლიერდება ასეთების ცნობიერება და ცხოვრების ლიდერები ხდებიან. სანაცვლოდ მათში ძალზედ მცირდება იმ კატეგორიის ველი, რითაც მათ ქვეცნობიერებას უნდა ეკვება., და ეგეთების სული დღითიდღე იფიტება ზესინათლისაგან. საკმა-

уменьшается поле, призванное питать подсознание, и их дух стремительно истощается и теряет способность воспринимать сверхсияние. Достаточно в их присутствии даже упомянуть мир иррациональный, чтобы удостоиться высокомерного взгляда, иронической улыбки и снисходительной, может быть, не всегда высказываемой оценки, как бедолаги и неудачника. Правда, в то же мгновение такую же оценку получают от оппонента и они сами. Кто же прав? Обе стороны!

Заметив, что черное поле и его воздействие постепенно усиливаются и расширяются, многие не пожелали отягчать свои души их мрачным цветом. Но нашлись и такие, которые с радостью восприняли принесенное темным полем материальное богатство и тем более сопутствующее ему новое достояние – кабинеты, и воссели в них. Воссели так прочно, что изгонять их оттуда стало невероятно трудно. Ну что ж, господа, оставим их в этих любимых обиталищах. Оставить оставим, но жизнь все сильнее подвергается отрицательному воздействию, а бытие современного человечества построено на лжи. И мало кто краснеет за его состояние.

Короче, возлагая на головы черные цилиндры, старались вобрать в себя побольше черноты. Вот для чего были они нужны. Поскольку беседа наша коснулась этого вопроса, остановлю внимание положительного читателя еще на одном его аспекте...

В бывшем Советском Союзе высокоэлитарные круги обслуживались, кроме всего прочего, и автомашинами, большей частью марки "Волга". И любопытно, что эти "Волги" по преимуществу бывали черными снаружи. Но почему? Неужели все машины для правительственных кругов красили в черный цвет случайно? Или это было чем-то вызвано? Сейчас Я догадываюсь, что черная снаружи автомашина вбирает в себя только и только черный цвет, и в ее салоне скапливаются черные флюиды. Кто часто ездит в таких машинах, тот наполняется черным полем и с нарастающим пылом сочиняет государственные законы о том, как выудить у и без того обнищавшего народа последний цент. Впрочем, чего только не наслушаешься...

Некогда великое и белое Древо цвело в "qуэкане", и народ ему радовался. Но как дух мира совершенно изменил свой цвет, так и великое Древо постепенно стало терять свой блеск и обле-

რისია მათი თანდასწრებით მიღმიერ სამყაროზე ჩამოვარდეს საუბარი, რომ შემოგხედავენ, ტუჩებთან ირონია მოუგროვდებათ და უსიტყვოდ შეგაფასებენ, როგორც საცოდავსა და უბედურს, მაგრამ ამავე წუთს იგივეს ვფიქრობთ მათზე ჩვენც. ვინ უფრო სწორია? ორივე მხარე!

შავი ველის საიდუმლოება და მისი უნარის ამბავი რომ გავრცელდა ჩუმად ხალხში, ბევრმა არ იკადრა თავისი სული მუქი ფერის ველით ეკვება. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ფრიად სიხარულით შეეგება მუქი ველით მოპოვებულ ფინანსურ სიმდიდრეს, მით უმეტეს, რომ შავი ველი ხშირად მაღალ კაბინეტებსაც ეუფლება, და დასხდნენ. დიახ, დასხდნენ ასეთები მაღალ კაბინეტებში და რა დასხდნენ, ველარ გამოვიყვანეთ ეს ხალხი იქიდან! კი ბატონო, ისხდნენ იქ, მათ საყვარელ კაბინეტებში, და ვინ ეცილებათ... არადა, დალოცვილებმა, სწორად მაინც მართონ ჩვენი ცხოვრება, ხელიდან გვეცლება წუთისოფელი, შეხედეთ, სიცრუეზეა დღეს თანამედროვე კაცობრიობის ყოფიერება აგებული. და თქვენ წარმოიდგინეთ, არც რომ ლოყები უწითლდებათ სირცხვილით.

მოკლედ, აი თურმე რატომ იხურავდნენ თავზე მაღალ და შავ ცილინდრს, — შავს იგროვებდნენ. რადგან ამნაირებზე ჩამოვარდა საუბარი, ერთ საკითხზეც შევაჩერებ დადებითი მკითხველის ყურადღებას...

ყოფილი საბჭოეთის თანამედროვე მაღალელიტარულ წრეებს ავტომანქანებიც ემსახურებოდნენ, უმრავლეს შემთხვევაში — „ვოლგები“. მაგრამ რა საინტერესოა, რომ ხშირად მათი „ვოლგა“ გარედან შავია. რაშია საქმე? ნუთუ შემთხვევით შეხვედრიან იმ წლებში ასე ერთად სსრკ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათი „ვოლგები“, მაშასადამე, რა მოხდა? ახლაღა ვხვდები, რომ გარედან შავი ფერის ავტომანქანა თავის თავში მხოლოდ და მხოლოდ შავ ფერს აგროვებს, რის გამოც ავტოსალონში შავი ფლუიდი გროვდება. ვინც ხშირად ჩაჯდება შავ მანქანაში, თურმე შავი ველით იმოსება და უფრო მეტი ნიჭიერებით თხზავს ისეთ სახელმწიფო კანონებს, როგორ ამოიღოს ისედაც გასაცოდავებული ხალხის ყოველი ხელფასის უკანასკნელი ცენტი. რას არ გაიგებს კაცი...

* * *

ოდესღაც დიდი და თეთრი „ხე“ ხარობდა „ქუეყანაში“, ამიტომ ხარობდა ხალხიც. მაგრამ ისე როგორც სამყაროს გამოეცვალა სულის ფერი, იგივე დაემართა დიდ „ხეს“, ანუ დროდადრო თვისი სიკაშკაშე დაკარგა „სიცოცხლის ხემ“ და გეზი სიშავისაკენ აიღო. და როცა დიდი დრო გავიდა, დიდი „ხე“ გაიყო. ალბათ ამიტომ, საქართველოს ერთ-ერთ

каться чернотой. И с течением времени Древо раздвоилось. Видимо потому, в одном из горных регионов Грузии, в частности в Сванети, испокон веков знали о существовании великого Древа и даже, в связи с его раздвоением и деградацией, дали ему название "Кедари", содержащее в себе два смысла: в одном оно предстает как синоним великого Древа; во втором же выявляет упадочное состояние Древа, поскольку корень слова "кед" означает по-свански "истребление, уничтожение"! Вторая же половина этого слова – "...ари" – в грузинском языке тоже лексически значима и несет в себе содержание – "есть". Так что одно это сванское слово включило в себя смысл обоих состояний "Древа жизни" и, кроме того, информацию о том, что Древо – "Кедари" *("Кедр")* некогда, во вневременье, существовало; и о том, что его уничтожили – во времени! Вот один из прекрасных примеров древнего сванского парадоксального мышления.

"Древо жизни" в разные эпохи характеризовалось разными цветами. Несмотря на то, что ребенок родился, скажем, вчера, – по закону великого Древа, душа его может быть белой, голубой, красной, конечно, и черной, в зависимости от того, поле какой эпохи великого Древа внедрится в новорожденный организм и какую судьбу и эгрегор Древо ему ниспошлет. Т.е. поле Древа одинаково воздействует как на взрослых, так и на малолетних. Видимо, потому, когда в старину в Имерети кто-то хотел узнать состояние души собеседника, то спрашивал его: "Ра пер хар?" *(буквально – "какого ты цвета?" в смысле "как ты?")*. Удивительно и то, что в грузинском языке "хар" означает и "быть", и "бык".

Воспринять внутренним зрением облик Древа жизни во всей полноте чрезвычайно трудно. Тем не менее попытаюсь в какой-то мере представить и описать его...

Мною уже давно предпринимаются попытки изобразить вместе с каким-нибудь художником хотя бы приблизительно великое Древо, чтобы дать элементарное представление о его общей модели, но пока это не получается, потому что этот загадочный феномен и наши предки представляли только и только как обыкновенное дерево. Но как нам перенести на бумагу нечто такое, что не обладает единой стабильной формой и изменяется в зависимости от того, какой является Вселенная. Стало быть, великое Древо

მთიან რეგიონში, კერძოდ, სვანეთში იმთავითვე სცოდნიათ დიდი „ხის“ არსებობა და მისი გაყოფისა და დეგრადირების გამო სიტყვა „კედარი“ შეუთხზავთ, რომელიც ორ შინაარსს იტევს: ერთ შემთხვევაში სიტყვა „კედარი“ წარმოადგენს დიდი „ხის“ სინონიმს, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ სიტყვამ დაიტია „სიცოცხლის ხის“ დაცემული მდგომარეობის ამსახველი შინაარსი, რადგან „კედ“ სვანურად ნიშნავს — „მოსპეს“! ხოლო ამავე სიტყვის მეორე ნახევარი — „...არი“ ასევე ითარგმნება ქართულ ენაზე და ნიშნავს — „არის“! ასე რომ, ამ ერთმა სვანურმა სიტყვამ ერთად დაიტია „სიცოცხლის ხის“ ორივე მდგომარეობის შინაარსი და ინფორმაციას გვაწვდის, რომ თან არსებობს „კედარის ხე“, ოდესღაც, ულ-რობაში, და თან მოსპეს იგი — დროში! აი, ძველი სვანური პარადოქსული აზროვნების ერთ-ერთი უმშვენიერესი მაგალითი.

„სიცოცხლის ხეს“ ყველა ეპოქაში სხვადასხვა ფერი ახასიათებდა. მიუხედავად იმისა, რომ სადღაც ბავშვი დაიბადა, დავუშვათ — წუხელ, დიდი „ხის“ კანონით ამ ბავშვის სული შეიძლება იყოს თეთრი, ცისფერი, წითელი, ან თუნდაც შავი, გააჩნია, დიდი „ხის“ რომელი ეპოქის ველი ჩასახლდება ახლადშობილის ორგანიზმში, ე.ი, როგორ ბედისწერასა და ეგრეგორს გამოუგზავნის ამ ბავშვს დიდი „ხე“. მაშასადამე, „ხე“ იგი ანალოგიურად მოქმედებს როგორც პატარებზე, ასევე წლოვანებით დიდ ადამიანებზე. ალბათ ამიტომ, როდესაც ძველად იმერეთში ახლობლის სულიერი მდგომარეობის გაგება სურდა ვინმეს, ასე შეეკითხებოდა — „რა ფერ ხარ, ძამია“, ე.ი, ამჟამად როგორი ფერის სული გაქვს? „რა ფერ (შიგნით რა ფერის) ხარო“. საოცარია ისიც, რომ ქართულ ენაში „ხარ“ ნიშნავს ყოფნას, და ამავე დროს — „ხარ“-ს (პირუტყვს)!

* * *

შინაგანად ძალზედ რთული დასანახია „სიცოცხლის ხის“ სრული სხეული. მიუხედავად ყველაფრისა, მე ახლა შევეცდები აგიხსნათ, როგორად უნდა წარმოვიდგინოთ იგი...

კარგა ხანია ვცდილობ რომელიმე მხატვართან ერთად დაახლოებით მაინც დამეხატა დიდი „ხე“, რათა ელემენტალური წარმოდგენა გვქონოდა „სიცოცხლის ხის“ ზოგად მოდელზე, მაგრამ არ გამოდის, ვერ ვხატავთ, რამეთუ ამ გამოუცნობ ფენომენს ჩვენი წინაპრებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ხის მსგავსად ხატავდნენ. არადა ამიხსენით, როგორ უნდა დავხატოთ ქალალდზე ისეთი რამ, რომელსაც ერთი სტაბილური ფორმა არა აქვს და იმის და მიხედვით იცვლება, რაც

будто постоянно находится в действии, вращается и дышит. Постараюсь описать это явление природы словесно, но нужно думать, что внутренне увидеть и принять на веру существование подобного феномена смогут лишь немногие. Тот, кому не хватит на это внутренней подготовленности и фантазии, останется, как говорится, лицом к лицу со своими проблемами. Убежденным же Древо жизни раскроется – разумеется, если и само Древо пожелает этого.

Постараюсь сформулировать, что же такое по своей сути и сущности великое Древо. Тема чрезвычайно сложная, но попытаемся разобраться...

* * *

Два зрения

Существуют два способа восприятия и видения глазом – центральное и общее... *(Внимание: Я сейчас имею в виду не внутреннее видение человека, и не нужно его понимать, как феномен "третьего глаза").* "Центральное" – это такая способность зрительного восприятия, благодаря которой мы улавливаем буквы и слова этой книги. Но если зрительное восприятие углублять, в поле зрения попадут ее полный текст, разворот, окружение, собственный нос читающего и т.д. Так вот, назовем центральное зрение условно "первым", а восприятие окружающего – "общим", или "вторым". Буквы читаются и воспринимаются только и только центральным видением, а все остальное дополняется общим.

"Первое" зрение осуществляется через земное поле, а "второе" – через поле высшее, небесное. Поэтому через "второе" зрение запредельный мир воспринимается легче, чем через "первое", почти не обладающее этой способностью. Например, возникающее вокруг черепа сияние-нимб "вторым" зрением ощущается лучше, нежели "первым", так как "первое" зрение невосприимчиво к биополям, затрудняется зрительно освоить его. Между тем запредельный мир представляет из себя именно биополе, но относится пока еще к категории грубых сверхматерий, и увидеть его очень легко. Я был свидетелем множества случаев, когда, объясняя студентам в аудитории, как можно увидеть образующийся вокруг головы

სამყაროში ხდება. მაშასადამე, დიდი „ხე“ მუდმივ მოქმედებაშია, ბრუნავს და სუნთქავს. მე კი შევეცდები და აღვწერ ბუნების ამ უცნაურ მოვლენას, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ზოგიერთები თუ დაინახავენ შინაგანად და ირწმუნებენ, რომ ასეთი ფენომენი არსებობს. ვინც ვერ წარმოიდგენს როგორი უნდა ყოფილიყო დიდი „ხე“ და პირადი ფანტაზია არ ეყოფა ეს უცნაური მოვლენა წარმოისახოს შინაგანად, ეს უკვე მისი პრობლემაა. ამგვარად, თქვენ ნამდვილად დაინახავთ „სიცოცხლის ხეს“, რაღა თქმა უნდა, თუ მასაც სურს ეს.

ახლა შევეცდები ჩამოვაყალიბო, თუ რას წარმოადგენს არსობრივად დიდი „ხე“. ძალზედ რთული თემაა, მაგრამ იქნებ გავიგოთ...

* * *

ორი ხედვა

არსებობს თვალის ორი მხედველობა — ცენტრალური და ზოგადი... (ყურადღებით: მე ახლა ადამიანის შიდა მხედველობას არ ვგულისხმობ და ისე არ გაიგოთ, თითქოს „მესამე თვალის“ ფენომენზე გესაუბრებოდეთ). „ცენტრალური“ მხედველობა წარმოადგენს ხედვის ისეთ უნარს, რითაც ახლა ამ წიგნის სიტყვებსა და ასოებს უცქერთ, მაგრამ თუ უკეთ დააკვირდებით ხედვის პრინციპს, პარალელურად ზერელედ აღიქვამთ სრულ ამ ტექსტს, გადაშლილ წიგნს, მის ირგვლივეთს, საკუთარ ცხვირს და ა.შ. ამგვარად, ცენტრალურ ხედვას დავარქვათ „პირველი“ მხედველობა, ხოლო ირგვლივეთის ხედვის უნარს — „ზოგადი“, ანუ „მეორე“ მხედველობა. ასოები იკითხება და აღიქმება მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური მხედველობით, ხოლო სხვა დანარჩენ ყველაფერს ზოგადი მხედველობა ავსებს.

„პირველი“ მხედველობა ხორციელდება დედამიწის, ანუ მიწიური ველით, ხოლო „მეორე“ მხედველობა — ზენაარეს ველით. ამიტომ არის, რომ ხშირად „მეორე“ ხედვით უფრო ჩანს მიღმიერი სამყარო, ვიდრე „პირველით“, რამეთუ ცენტრალური მხედველობა უსუსურია მიღმა სამყარო დაინახოს, არ შეუძლია ეს. მაგალითად, ადამიანის თავის ქალის ირგვლივ არსებული შარავანდედი „მეორე“ მხედველობით უფრო ჩანს, ვიდრე „პირველით“, რადგან „პირველი“ ხედვა ბიოველების დანახვის მხრივ ჩლუნგია, ვერ ახერხებს. არადა ბიოველი მიღმიერ სამყაროს წარმოადგენს, მაგრამ ჯერ კიდევ უხეშ ზემატერიათა კატეგორიას განეკუთვნება და მისი დანახვა ძალზედ იოლია. უამრავი შემთხვევის მომსწრე ვარ, როდესაც აუდიტორიაში ამიხსნია სტუდენტებისათვის, თუ როგორ

человека сияние-нимб, демонстрируя на лекциях старинные иконы с ореолом вокруг глав святых, убеждался, что, если многие и видят нимбы вокруг голов живых людей, то слишком приверженные земной стихии не воспринимают их и даже, внутренне охваченные гордыней, обижаются. Потому-то рожденные в земной по гороскопу стихии люди мало смыслят в духовном, полагаются лишь на "первое" зрение, вглядываются в даль и часто предаются мыслям о лучшем устройстве будущего. Между тем, возможно, планируемое ими будущее лежит у них перед носом. Чем же объясняется их духовная слепота? Сегодняшней пассивностью "Древа жизни" по отношению к Земле!

Так запомним получше: **"первое" зрение – передатчик энергии, а "второе" – приемник информации!**

Допустим, вы сидите перед включенным телевизором и смотрите какой-то сюжет. Вдруг "вторым" зрением улавливаете, что в каком-то углу помещения что-то быстро "пробежало", и как-то даже видите это. Стоит только оглядеться, чтоб зафиксировать виденное "первым" зрением, как оно мгновенно исчезает! Как объяснить это явление? Просто: в соответствии с одним из законов парадокса, **"второе" сильнее, чем "первое"**, о чем знали и в древнем Китае. Стало быть, "второе" зрение сильнее "первого", несмотря на то, что мир построен на "первом" зрении. Так чем же определяется привилегия "первого" зрения и деградация "второго"? Недостаточностью поля Всевышнего, вина за что падает на "Древо жизни", изгнавшее с Земли сверхсияние Господа. И поскольку основному зрению человека стало его недоставать, его место оказалось заполненным полем Земли. Это стало причиной интенсивного развития центрального, т.е. только "первого" зрения-восприятия.

"Первое" зрение воспринимает окружающее более узко, но его взгляд проникает дальше в даль, тогда как "второе" видит и близкое, и далекое, но слабо. Поэтому мы уже не доверяемся ему. Несмотря на то, что "второе" зрение сравнительно слабее, оно лучше фиксирует присутствующие в поле зрения запредельные флюиды, нежели "первое". Сразу понять, конечно, нелегко...

Мы помним, наверное, что при беседе с кем-нибудь, "первым" зрением бросаем взгляд прежде всего на область губ собеседника, но параллельно воспринимаем зрительно и его тело,

დაინახონ ადამიანის თავის ირგვლივ არსებული თეთრი ზეგამონათება; ძველებური ხატიც მიმიტანია ლექციაზე და მიჩვენებია შეხედონ, თუ როგორი ნათელი მოსავს თავის ირგვლივ წმიდა მამას. მაგრამ ყველა რომ ხედავს ცოცხალი ადამიანების შარავანდედს, „მიწის“ სტიქიის ხალხი ვერ ხედავენ, თანაც შეუმჩნევლად იბუტბიან ისინი ამის გამო, რამეთუ ამაყებიც არიან. ამიტომაც არის, რომ ჰოროსკოპით „მიწის“ სტიქიაში დაბადებულ ადამიანებს არაფერი ეყურებათ სულიერებაში, „პირველ“ ხედვას ჰგვანან, შორს იცქირებიან და ხშირად მომავლის უკეთ მოწყობაზე უფრო ფიქრობენ. არადა მოსალოდნელია ცხვირწინ ედოთ ის რაღაც, რის შეძენასაც სამომავლოდ გეგმავენ. რა განაპირობებს მათ სულიერ სიბრმავეს? — „სიცოცხლის ხის“ სადღეისო პასიურობა მიწის მიმართ!

მოდით, ერთიც დავიმახსოვროთ, რომ **„პირველი“ მხედველობა ენერგიის გამცემია, ხოლო „მეორე“ — ინფორმაციის მიმღები!**

• • • •

დავუშვათ ზიხართ ჩართული ტელევიზორის წინ და რამენაირ სიუჟეტს უცქერთ. უცბად „მეორე“ მხედველობით შეამჩნევთ, რომ თითქოს ოთახის რომელიმე კუნჭულში წამიერად როგორიღაცა რაღაცამ „გაირბინა“, თანაც თქვენ ნამდვილად დაინახავთ მას. მიიხედავთ თუ არა იქით სურვილით — ის რაღაც „პირველი“ მხედველობითაც დააფიქსიროთ და, იგი ქრება! როგორ აიხსნება ეს მოვლენა? უბრალოდ: პარადოქსის ერთ-ერთი კანონის თანახმად: **„მეორე“ უფრო ძლიერია, ვიდრე „პირველი“**, რაც უწინდელ ჩინეთშიც იცოდნენ. მაშასადამე, „მეორე“ მხედველობა უფრო ძლიერია, ვიდრე „პირველი“ მიუხედავად იმისა, რომ წუთისოფელი „პირველ“ მხედველობაზეა აგებული. მაშ, რამ განაპირობა „პირველი“ მხედველობის პრივილეგია და „მეორე“ მხედველობის დეგრადაცია? უფლის ველის სიმცირემ, რაშიც „სიცოცხლის ხეს“ ედება ბრალი, რამეთუ ამ „დიდა ხემ“ გაიტანა დედამიწიდან უფლის ზესინათლე. და რადგან ადამიანის ძირითად ხედვას ზეშუქი მოაკლდა, მისი ადგილი დედამიწის ველმა შეავსო. ეს კი ცენტრალური, ე.ი, მხოლოდ „პირველი“ ხედვის განვითარების მიზეზი აღმოჩნდა.

„პირველი“ მხედველობა უფრო ვიწროდ უცქერს ირგვლივეთს, ოღონდ შორს იცქირება, ხოლო „მეორე“ მხედველობა შორსაც ხედავს და ახლოსაც, ოღონდ სუსტად. ამიტომ აღარ ვენდობით მას. მიუხედავად იმისა, რომ „მეორე“ ხედვა შედარებით სუსტია, იგი უფრო აფიქსირებს ოთახში არსებულ მიღმიერ ფლუიდებს, ვიდრე „პირველი“.

ალბათ ვერ გავიგეთ...



ილუსტრაცია — 49 — иллюстрация

конечности, пол, стол, стулья, телевизор, и все это воспринимается "вторым" зрением. Постараюсь изобразить это на рисунке для лучшего понимания того, о чем идет речь.

На иллюстрации № 49 вы видите глаз человека, из которого идет восприятие различных ареалов: "первый" взгляд, который воспринимает буквы, – уже и длиннее, второй же шире, через него и воспринимается вся книга. Несмотря на то, что "первое" зрение – первично, увидеть лишь с его помощью всю, к примеру, автомашину, всего человека, стол, диван, все здание и т.д. – невозможно. Представьте, что у вас в руках тонкая трубка длиной в один метр. Закройте один глаз, а другим взгляните через трубку на те же автомашину, человека, стол, диван, все здание... Наверное, понятно – что мы таким образом увидим. Так же выглядит и наше сегодняшнее бытие, обозреваемое политлидерами с помощью "первого" зрения, поскольку "второе" зрение у них предельно ослаблено, из-за чего ни глаз, ни мысль их не достигают того, что может быть воспринято лишь "вторым" зрением. Потому-то лица, заполненные флюидами стихии Земли, не могут разумом ни одно явление воспринять в целостности, полноте, хоть и полагают, что обладают определенными способностями. Так что пребывают в плену иллюзий и сами, и те, кто им доверяется. Не думайте, что даром двойного видения обладает только глаз человека... То же самое происходит и в освещенном фонарем ареале *(взгляните на иллюстрацию 50)*. Т.е. и неодушевленный фонарь характеризуется двумя зрениями. И как ни странно, то же самое происходит в сравнительно крупном осветительном приборе – автомобильных фарах *(иллюстрация 51)*. Факт есть факт, и мы никуда не уйдем от



ილუსტრაცია — 50 — иллюстрация



ილუსტრაცია — 51 — иллюстрация

გაიხსენეთ, როდესაც ვინმეს ესაუბრებით, მეტწილად თქვენი „პირველი“ მხედველობით მოსაუბრეს ტუჩების არეში უცქერთ, ხოლო პარალელურად აუცილებლად დაინახავთ მის სხეულს, კიდურებს, იატაკს (თუ ოთახში ხართ), მაგიდას, სკამებს, ტელევიზორს და ასე. ამგვარად, სხვა დანარჩენის აღქმა „მეორე“ ხედვით ხდება. შევეცდები უბრალო ჩანახატითაც დაგეხმაროთ, რათა უკეთ მივხვდეთ რაზეა ახლა საუბარი.

49-ე ილუსტრაციაზე ხედავთ ადამიანის თვალს, საიდანაც ორი სხვადასხვა არეალი აღიქმება: შეხედეთ, „პირველი“ მხედველობა უფრო ვიწროა და გრძელი, რითაც ასოებს კითხულობთ, ხოლო მეორე ფართო, რითაც ამ წიგნის სრული სხეული ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ „პირველი“ მხედველობა — პირველია, მხოლოდ მისი მეშვეობით ვერასოდეს დაინახავთ მთლიან ავტომანქანას, მთლიან ადამიანს, დივანს, მაგიდას, დიდ შენობას და ა.შ. მოკლედ, წარმოიდგინეთ, რომ ხელში გიკავიათ ერთმეტრიანი სიგრძის წვრილი მილი. ახლა მოდით ცალი თვალი დახუჭეთ და მეორე თვალით მილში გახედეთ ავტომანქანას, ადამიანს, დივანს, მაგიდას, თუნდაც დიდ შენობას... ალბათ უკვე გასაგებია, რატომ გავხედეთ ცხოვრებას წვრილი მილით. სწორედ ასევე მოჩანს ჩვენი დღევანდელი ყოფიერება დიდი პოლიტიკოსების „პირველი“ მხედველობით, რამეთუ მათი „მეორე“ მხედველობა ძალზედ დასუსტებულია, რის გამოც „მეორე“ ხედვით დანახულ სამყაროზე არც არასოდეს ფიქრობენ. აი, ამიტომ არის, რომ „მიწის“ სტიქიის რხევებით ამოვსებული ვინმეები ვერცერთ საკითხს ვერ ხედავენ გონებით მთლიანობაში, თუმც ჰგონიათ, რომ ფრიად მაგრები არიან. ასე რომ, თვითონაც ილუზიაში იმყოფებიან და ისინიც, ვისაც მათი სჯერა. ნუ იფიქრებთ, რომ თითქოს ორი ხედვის უნარი მხოლოდ ადამიანის თვალს ახასიათებს, რამეთუ იგივე ხდება ფანრით განათებულ არეალშიც... (ამჯერად 50-ე ილუსტრაციას დახედეთ). ე.ი, ორი „ხედვა“ ჰქონია უსულო ფანარსაც. და რა საოცარია, რომ იგივე ხდება შედარებით დიდ ფანარშიც — ავტომანქანის მანათიდან გამოსროლილ სინათლეშიც (ილუსტრაცია 51). ფაქტი — ფაქტია და ამ რეალობას ვერსად დავემალებით, რომ ადამიანის თვალშიც, ფანარშიც და ავტომანათშიც ბუნების ერთი კანონი მოქმედებს. როდესაც საჭესთან სხედან

реального наличия того, что и человеческий глаз, и фонарь, и фара автомашины действуют по единому закону природы. Ночью водитель за рулем автомашины, казалось бы, больше довольствуется "первым" зрением фар, но это только кажется! Если внимательнее вдуматься в это явление, с участием лишь "первого" зрения фар движение по ночной трассе окажется очень затруднительным. Вообразим, что нам снова приходится ехать на автомашине в полной темноте, но "первое зрение" фар повреждено, а ехать можно только с помощью "второго" света фар. Не знаю, согласитесь ли вы со мной, но Я убежден, что в этом случае вести машину легче, нежели с участием лишь только "первого зрения", т.е. узкого и дальнего обозрения. К чему мы придем путем такого мышления? – К Библии! Здесь мне хочется напомнить вам такую деталь из Ветхого завета, к которой Я дал краткий комментарий в первом томе этой книги. В частности...

Когда в пространстве Эдема духовные тела Адама и Евы начали обретать материальность, Бог предупредил их: **"В день, в который вы вкусите их** *(плодов Древа познания, т.е. того же "Древа жизни". – Автор)*, **"гангехунен"** *("откроются")* *(по груз. Библии)* **глаза ваши"** *(Бытие; 3-5). (Слово "гангехунен" носит и другие значения – "умешить", "навозный").* Я еще не говорил читателю о том, как толкует этот эпизод Библии грузинский язык и на что указывает грузинское слово "гангехунен", в случае неправильного перевода которого зарубежные теологи не сумеют проникнуть в сущность и суть сказанного. И вот сегодня мы подошли к моменту, когда становится ясным точный смысл слова – подавление "второго" зрения и усиление "первого", поскольку "первое" зрение, повторяю, земное и его питает душа Земли. Его первейшее стремление и желание – "хочу и этого", чем "второе" зрение не характеризуется. "Первое" зрение – узкое и длинное, протяженное, и означает, что те, у кого в духовной ауре преобладает земное поле, глядят далеко, но из узкого ареала. Таково же их мышление. Вот почему в этом грузинском слове заложено и значение "навозный". А в ком прибавляется сверхбелое поле, испытывает деградацию "первого" зрения. Естественнно, в этом случае ослабляется и земное "хочу".

В сегодняшней Грузии возросло количество людей с ослабевшим центральным зрением, и они уже не в состоянии конкретно

ღამით და ავტომანქანის შუქის დახმარებით მიჰქრიან გზაზე, ერთი შეხედვით, მძღოლი ავტომანათის „პირველი“ უნარით უფრო კმაყოფილია, დიახ, თითქოს! მაგრამ თუ უკეთ დავაკვირდებით ამ მოვლენას, ძალზედ გაგვიჭირდებოდა ღამით თავისუფალი და იმედიანი სვლა მხოლოდ და მხოლოდ „პირველი“ შუქით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ კვლავაც სიბნელეში მოგვიხდა ავტომანქანით სადღაც წასვლა, მაგრამ მანათის „პირველი“ ხედვა დაზიანებულია და ავტონათურების ხარვეზებიდან გამომდინარე, მხოლოდ „მეორე“ შუქით ვიმგზავრეთ. არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო ადვილია ავტომანქანის ღამით მართვა, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ „პირველი“, ე.ი, შორი და ვიწრო შუქებით. სად მივალთ ასეთი აზროვნებით? – ბიბლიასთან! აქ უნდა შეგახსენოთ „ძველი აღთქმის“ ერთი ისეთი დეტალი, რომელზეც მოკლე კომენტარი გავაკეთე ამ წიგნის I ტომში.

კერძოდ...

• • • •

„ქუეყანის“ წყლით გარდატეხილმა კოსმიურმა „ხემ“ დედამიწის 40-42-გრადუსიან პარალელზე „გაიხედა“. მისი ხედვის პარამეტრები ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია. კოსმიური სვეტი, ფაქტიურად, გაჩერებულია დიდი გონის მიმართ, მაგრამ ვინაიდან ბრუნავს დედამიწა, ისეთი მექანიზმი ამოქმედდა „სიცოცხლის ხე“-სთან“ მიმართებაში, რომ გარდატეხილი „ხე“ ჩვენი პლანეტის ბრუნვის გამო გადაადგილდება — დადის! ვიმეორებ: სვეტი ჩვენი პლანეტის დაახლოებით 40-42-გრადუსიან პარალელზე მოძრაობს. რთულია იმისი წინდაწინ გათვლა, თუ სად მდებარეობს სვეტის ველი დროის რომელიმე მონაკვეთში, მაგრამ არ უნდა გამოვ-

А сейчас в связи с вопросом о кристалле...

Преломленное водой "qуэканы" космическое Древо обратило свой "взгляд" на 40-42 градус северной широты нашей планеты. Параметры его обозрения нами еще не вычислены. Космический Столп фактически остановлен в направлении Великого Разума, но исходя из вращения Земли, задействован такой механизм, что преломленное Древо перемещается из-за вращения нашей планеты – ходит! Повторяю: Столп двигается по 40-42 параллелям северной широты. Очень сложно вычислить – где именно оказывается поле Столпа в тот или иной отрезок времени, но нельзя исключить того, что в прошедшие эпохи было известно точное местоположение преломляющейся оси Древа в каждый момент ее движения, хотя возможно, что об этом не знали и предки... Но одно было известно безусловно – это то, что преломленное Древо "ходит" примерно вдоль 42-й параллели, из-за чего она называлась "активной".

Читая о ком-нибудь из персонажей Библии, в частности об их личных восприятиях "явлений", следует допускать, что они попадали в сферу сверхвоздействия поля великого Древа, и это понятно. Но наблюдаются и такие случаи, когда в поле космического Древа попадает обыкновенная, небиблейская личность. Возможно ли это... – удивитесь вы. Да, бывает и так, что в сеть Древа жизни вовлекается обыкновенный смертный, хотя такие люди обычно не знают, что с ними произошло. Хочу рассказать вам в связи с этим один эпизод. Правда, человек, с которым все произошло, отрицательно отнесся, по неизвестной мне причине, к тому, чтобы его личность получила известность через эту книгу. Поэтому Я вынужден, не называя его фамилии, рассказать удивительную историю, случившуюся несколько лет тому назад. Если описанный факт вызовет в ком-то сомнение и недоверие или кто-то заинтересуется его личностью, обещаю, с целью перепроверки, устроить с ним встречу. Зовут его Вахтангом *(для близких — "Вахо")*. Итак, прежде чем перейти к рассказу об этом случае, еще раз напомню читателю, что тема нашей беседы – "длань Господня", под чем, мне думается, подразумевается феномен великого Древа. Стало быть, о нем пойдет речь и на сей раз.

Всякая личность, начиная предаваться мыслям о великом Древе, тотчас попадает в сеть его поля и преисполняется его благо-

რიცხოთ, რომ გასულ ეპოქებში აუცილებლად ეცოდინებოდათ დიდი „ხის“ გარდატეხილი ღეროს გადაადგილების ზუსტი ადგილმდებარეობა, ან, შეიძლება ამის შესახებ არც უწინ იცოდნენ... ერთი კი აუცილებლად ეცოდინებოდათ, რომ გარდატეხილი „ხე“ დაახლოებით 42-ე პარალელზე მოგზაურობს, რის გამოც ეს პარალელი „აქტიურ პარალელად“ იწოდებოდა.

როდესაც ბიბლიის რომელიმე პერსონაჟის შესახებ, და კერძოდ, მათ პირად გამოცხადებებზე ვკითხულობთ, უნდა დავუშვათ, რომ ისინი დიდი „ხის“ ველის ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ და ეს გასაგებიცაა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კოსმიური „ხის“ ველში ექცევა უბრალო, არაბიბლიური პიროვნება. ეს როგორ... — გაგიკვირდებათ. კი, ისიც ხდება, როდესაც „სიცოცხლის ხის“ წრედში ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანიც ჩართულა, თუმც, ასეთმა ხალხმა არ იცის რა დაემართათ მათ. მსურს გიამბოთ ამასთან დაკავშირებით, ოღონდ, ვისაც ეს შეემთხვა, უარით შეხვდა ჩემს სურვილს მისი პიროვნება გახმაურებულიყო ამ წიგნით, არ ვიცი რატომ. ამიტომ, იძულებული ვარ მისი ვინაობის გარეშე გიამბოთ ერთი საოცარი ამბავი, რომელიც რამდენიმე წლით უკან მოხდა. თუ ვინმე ეჭვიანი გამოჩნდება და აქ ნაამბობი ფაქტის გადამოწმების მიზნით ამ პიროვნებით დაინტერესდება, პირობას გაძლევთ, მე შეგახვედრებთ მას. მისი სახელია ვახტანგი (შინაურებისთვის — „ვახო“). მაშასადამე, ვიდრე ამ პატარა თავგადასავალის თხრობას დავიწყებდე, ერთხელ კიდევ შევახსენებ ჩემს მკითხველს, რომ ჩვენი სასაუბრო თემაა — „ხელი უფლისაჲ“, სადაც, ჩემი აზრით, დიდი „ხის“ ფენომენი ივარაუდება. ამჯერადაც ამ მოვლენაზე უნდა გიამბოთ.

••••

როდესაც ვინმე „სიცოცხლის ხე“-ზე ფიქრობს, ყველა ასეთი პირი მომენტალურად მისი ველის წრედში ირთვება და ამ „ხის“ მადლით მდიდრდება. მნიშვნელობა არა აქვს, შორს ხართ იმ მომენტში ამ „ხიდან“ თუ ახლოს. რა თქმა უნდა, სასურველია მის ეპიცენტრში ჯდომა, რადგან იქ წმიდა სვეტი შედარებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს ორგანიზმის ენდოკრინულ სისტემაზე, რაც ძლიერი ინტელექტის შეძენას ნიშნავს. ანუ იწყებ სამყაროს გაგებას, თუმც ჯერ ვერ ხვდები — რატომ. მაგრამ იმდენად რთულია და არასასურველი მის ეპიცენტრში დიდხანს ყოფნა, რომ მოუმზადებელმა ხალხმა ჯერ შორიდან უნდა იფიქროს მასზე. სხვათაშორის, მე ერთხელ შევედი სამყაროს ღერძის ეპიცენტრში (უფრო სწორად, მის ერთ-ერთ ფრთაში), იგი აქვე, სოფელ ნუნისთან პროექ-

датью. И не имеет значения, далеко ли эта личность в этот момент находится от Древа или близко. Конечно, желательно пребывать в его эпицентре, поскольку в этом случае Столп оказывает наиболее сильное влияние на эндокринную систему организма, что означает обогащение интеллекта. Т.е. не сознавая – почему, начинаешь постигать Вселенную. Но настолько сложно и нежелательно долгое пребывание в эпицентре Столпа, что неподготовленному человеку думать об оси лучше пока на расстоянии. Между прочим, однажды мне самому довелось угодить в эпицентр Столпа *(точнее, одного его крыла)*, проецировавшийся в местность близ деревни Нуниси. Помнится, как поле Столпа сотрясало все мое тело, как едва удалось удержать свой дух в живом трупе. Я только тогда и понял, что недостаточно подготовленным подниматься на эту гору нельзя, опасно! Кое-кто близ горы падал, испытывал разные физические процессы, к примеру, исторжение вод изо рта... Гостья из Латвии вышла из тела, но, к счастью, из потусторонности поспособствовали ее быстрому возвращению в тело. Но что, если бы этого не произошло?.. Подобное же случилось с одним из моих знакомых, но в тот раз мы находились не в самой деревне Нуниси, а внизу, в долине, в искусственных скалах "Уфлисцихе" *(или "Уплисцихе")*. Нас тогда было трое, и мы решили провести близ скал несколько суток. Привал устроили в небольшой пещере и установили дежурство по приготовлению пищи: тому, кто с утра оставался в пещере, вменялось ставить на огонь фасоль, прибирать пещеру, мыть походную посуду, а остальные отправлялись на исследования.

В тот день дежурить выпало на мою долю. Леван и Вахо взяли фляги с водой, перекинули через плечо фотоаппараты и ушли. Я знал, куда они намерены держать путь, поэтому посоветовал остеречься.

Только было Я промыл фасоль, как в пещеру донеслись детские голоса. С детьми были и учителя. Они обошли и осмотрели окрестности... Я объяснил им, что они находятся в одном из первых городов человечества, созданных на заре формирования мира. Дети поверили, педагоги же – нет. Вскоре они ушли...

Откуда-то привели гостей из Японии. Переводчик оказался москвичом. Хоть по-японски Я не знаю ни слова, но из беседы

ცირდება. კარგად მახსოვს, რაოდენ მაქანავა სვეტის ველმა სხეულში, ძლივს ვიჭერდი პირად „მე“-ს ცოცხალ გვამში. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მოუმზადებელი ხალხის იქ მისვლა და „იმ მთაზე“ აყვანა, კატეგორიულად არ შეიძლება, სახიფათოა! ბევრი დავარდა იმ მთის სიახლოვეს, ზოგს პირიდან წყალი გამოუვიდა, ზოგსაც სხვა-რამ-მაგვარი პროცესები დაეწყო... ლატვიიდან ჩამოსული სტუმარი ქალიც გავარდა სხეულიდან, მაგრამ საბედნიეროდ მილმა სამყაროდან მიხედეს მას და მას შემდეგ, რაც ქვის იმერული კუ დაათვალიერებინეს, ისევე სხეულში დააბრუნეს. მაგრამ ვაჲ და ვერ მობრუნებულიყო?.. და აი, იგივე დაემართა ჩემს ერთ-ერთ ნაცნობს, ოღონდ, ამჯერად ჩვენ ვიმყოფებოდით არა სოფელ ნუნისთან, არამედ ქვემოთ, ბარში, „უფლისციხის“ ხელოვნურ კლდეებში. ჩვენ იმ დღეს სამნი წავედით იქ და გადავწყვიტეთ რამდენიმე დღე დავრჩენილიყავით. ბინა ერთ-ერთ გამოქვაბულში დავიდეთ, თანაც სამზარეულო მორიგეობა დავაწესეთ: ის, ვინც დილიდან გამოქვაბულში დარჩებოდა, ლობიო უნდა ჩაედგა, გამოქვაბული დაესუფთავებინა და სამოგზაურო ჭურჭელიც გაერეცხა, ხოლო ორნი უძველესი ქალაქის შესასწავლად გავდიოდით.

იმ დღეს ჩემი მორიგეობის დღე დაემთხვა. ლევანმა და ვახომ წყლის ჭურჭელი აიღეს, ფოტოაპარატები გადაიკიდეს მხრებზე და წავიდნენ. მათი საუბრით მივხვდი, საითაც აპირებდნენ გავლას. ამიტომ მე მათ ვურჩიე, არ წასულიყვნენ იქით.

ის იყო ლობიო დავარჩიე, გავრეცხე და, გამოქვაბულის გარედან ბავშვების ყიჟინი შემომესმა. მათ პედაგოგებიც ახლდნენ. იქაურობა დაათვალიერეს... მე მათ ავუხსენი, რომ ისინი იმყოფებოდნენ კაცობრიობის ერთ-ერთ პირველ ქალაქში, რომელიც ახლად გამყარებულმა ადამიანებმა წუთისოფლის დასაწყისში შექმნეს. ბავშვებმა დაიჯერეს, პედაგოგებმა — არა. მალევე წავიდნენ...

საიდანღაც იაპონელი სტუმრები მოიყვანეს. მთარგმნელი მოსკოველი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მე მათი ენის არაფერი გამეგება, მთარგმნელის საუბარზე მივხვდი, რომ იგი კარგად ფლობდა იაპონურ ენას. ამიტომ გადავწყვიტე კონტაქტში შევსულიყავი მათთან და ამეხსნა, რომ დედამიწაზე დაფიქსირდა ენით აღუწერელი და გონებით დაუჯერებელი შემთხვევა, და რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბიბლიური აღწერილობის „სიცოცხლის ხე“.

თითქმის საათნახევარი ვცდილობდი მათთვის განმემარტა, რომ ბიბლიური „სიცოცხლის ხე“ არის სამყაროს მეტაფიზიკური ღერძი, რომელიც, რატომღაც საქართველოს ტერიტორიაზე ეშვება. ვერაფერი

понял, что переводчик владеет языком хорошо, и решил войти в контакт с группой, объяснить, что на Земле зафиксирован невыразимый языком и непостижимый разумом случай, и что на территории Грузии обнаружено описанное в Библии Древо жизни.

Почти полтора часа Я старался растолковать, что библейское "Древо жизни" представляет собой метафизическую ось Вселенной, почему-то проецирующуюся на территорию Грузии. Им это было непонятно. Я поинтересовался, кто они по специальности. Оказалось, спортсмены-профессионалы. Вскоре ушли и они.

Я вернулся в пещеру и устроился у огня. С горы вернулись Леван и Вахо. Я заметил, что Леван как-то странно бледен, Вахо же чуть не совсем почернел.

– Что случилось? – спросил Я у них.

– Ничего! – спокойным тоном попытался отвлечь меня Леван и показал взглядом на Вахо. – Помоги мне уложить его.

Я переводил взгляд с Вахо на Левана и обратно. "Что случилось? Упал он где, что ли..." – проносилось у меня в мыслях. Я подождал, пока Леван напился воды, и возобновил свои расспросы:

– Что же ты не говоришь? Что с ним!

Леван взглядом показал: "Расскажу потом!" Достал из кармана простенький складной перочинный ножик, оставил его на камне и вышел из пещеры.

Я задумался...

Примерно два часа Я сидел рядом с Вахо и не отрывал глаз от его померкшего лица. Он лежал как бы отключенный и дышал тяжело. Я пытался не терять спокойствия, но чувствовал, что постепенно и мною овладевает напряжение.

Мысли становились тяжелее...

Несколько лет тому назад, когда тема Лазаря только-только взбудоражила Грузию, ко мне домой пришли познакомиться двое молодых мужчин. Несмотря на то, что тогда ко мне обращалось уже немало заинтересованных лиц и Я даже испытывал некоторые перегрузки, наша беседа с гостями состоялась. Первых же нескольких вопросов оказалось достаточно, чтобы понять – собеседники серьезные. Но человек нередко бывает излишне подозрителен, и должен признаться, Я вначале подумал, что молодые люди представляют какую-то организацию, зная – кто Я такой, хотят перец-

გაიგეს. ბოლოს დამაინტერესა მეკითხა, რა სპეციალობის წარმომადგენლები იყვნენ. სპორტსმენები აღმოჩნდნენ.

ორიოდე წუთის წასულები იყვნენ სტუმრები. მე გამოქვაბულში შევედი და ცეცხლთან წამოვწექი. მთიდან ლევანი და ვახო დაბრუნდნენ. ლევანს სახეზე ცუდი ფერი შევამჩნიე, ხოლო ვახო მთლად გაშავებულიყო.

— რა მოხდა... — ჩავილაპარაკე.

— არაფერი! — ვითომც წყნარი ტემბრით დამამშვიდა ლევანმა და მანიშნა, — ადე, დამეხმარე, ვახო დავაწვინოთო.

მე ხან ვახოს შევცქეროდი და ხანაც ლევანს. „ნუთუ საიდანმე ჩამოვარდა, რამ გააშავა ეს კაცი...“ — გავიფიქრე. ცოტა ხნით ვაცალე ლევანს წყალი დაელია და შემდეგ ჩემი შეკითხვა გავიმეორე:

— აღარ იტყვი? რა მოხდა!

ლევანმა თვალით მანიშნა: „მერე გეტყვიო“! ჯიბიდან უბრალო საკეცი დანა ამოიღო, იქვე, ერთ ლოდზე დადო და გამოქვაბულიდან გავიდა.

შევფიქრიანდი...

დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ვიჯექი ვახოს გვერდით და თვალს ვერ ვაცილებდი მის შემკრთალ სახეს. იგი უაზროდ იწვა. ღრმად სუნთქავდა. სიმშვიდე კი მოვძებნე, მაგრამ ვგრძნობდი, მაინც დაძაბული ვიყავი.

ფიქრებს გავყევი...

რამდენიმე წლით უკან, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში ლაზარეს თემამ იფეთქა, ჩემთან ბინაში მოვიდა ორი ახალგაზრდა მამაკაცი და გამეცნენ. მიუხედავად იმისა, იმხანად უკვე ბევრი უცხო დაინტერესებული პირი მაკითხავდა და ხშირად გადატვირთულიც ვიყავი, სიამოვნებით გავესაუბრე. მათი რამდენიმე შეკითხვა საკმარისი აღმოჩნდა ჩემთვის დამედგინა, რომ სერიოზული მოსაუბრენი ჩანდნენ. მაგრამ ადამიანი ყველა შემთხვევაში ეჭვიანია და უნდა გამოვტყდე, თავდაპირველად ეს ორი ახალგაზრდაც რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენლები მეგონა, არადა იციან-ხოლმე, გადაგამოწმებენ — ვინ ხარ, რატომ ხარ და ა.შ. მიუხედავად ყველაფრისა, რამდენიმე თვეში, ჩვენი ხშირი შეხვედრების შემდეგ დავმეგობრდით. ფრიად სასიამოვნო მოსაუბრენი და მაღალინტელექტუალური პირები აღმოჩნდნენ.

ერთ საღამოს, ჩვენი ჩვეულებრივი კამათის დროს პირველად გავანდე მათ, რომ ჩემი აზრით, საქართველოს გულში არსებული „უფლისციხის“ ისტორიული ძეგლი წარმოადგენს დედამიწის ერთ-ერთ პირველ

роверить меня. Но вопреки всему, в результате частых встреч, спустя несколько месяцев мы подружились. Беседы с ними всегда доставляли удовольствие и выявляли очень хороший интеллектуальный уровень собеседников.

Однажды вечером, после наших участившихся дебатов, Я впервые поделился с ними своим предположением о том, что находящийся в самом сердце Грузии каменный комплекс "Уфлисцихе" является одним из первых городов Земли и должен был быть построен в период, предшествовавший всемирному потопу. Это, конечно, вызвало у них некоторое удивление...

Назначили день отбытия. Целью тогдашней поездки было поверхностное обозрение древнейшего города "Уфлисцихе", поскольку ни Вахо, ни Леван, а тем более Я, не были профессиональными исследователями. Нам нужно было на первых порах удовлетворяться внешними впечатлениями и полагаться на интуицию.

Устроились в небольшой пещере и установили дежурство по приготовлению пищи. Один оставался, а остальные два отправлялись на исследования.

В тот день дежурить выпало на мою долю. Леван и Вахо взяли фляги с водой, фотоаппараты и ушли. Я знал, куда они намерены держать путь, и посоветовал остеречься.

Только было Я промыл фасоль, как в пещеру донеслись детские голоса. С детьми были и учителя. Они осматривали окрестности... Я объяснил им, что место, где они находятся, непосредственно связано с феноменом Иисуса Христа, и показал им на одной из стен чудом сохранившийся портрет Спасителя.

С горы вернулись Леван и Вахо. Я заметил, что Леван как-то странно бледен, Вахо же чуть не совсем почернел.

– Леван, что случилось...

– Да ничего! – наигранно спокойным тоном попытался отвлечь меня Леван и показал взглядом на Вахо, – помоги уложить его. Я помог, и мы еле внесли его в нашу "комнату".

– Все же, что с ним?..

Леван взглядом показал: "Расскажет потом!"

Прошло немало времени, и убедившись, что, видимо, серьезная опасность Вахтангу не угрожает, Я выбрался из пещеры и пошел искать Левана. Тот сидел неподалеку, растерянный.

ქალაქს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მსოფლიო წარლვნის წინარე პერიოდში უნდა აეგოთ. ფრიად გაუკვირდათ...

დავთქვით გამგზავრების დღეც. ჩვენს მაშინდელ მიზანს წარმოადგენდა ქალაქ „უფლისციხის“ ზერელე დათვალიერება, ვინაიდან ამ დარგის პროფესიონალი მკვლევარები არც ვახო და ლევანი არიან, მითუმეტეს, არც მე. მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ წავსულიყავით, ერთად დაგვეთვალიერებინა კაცობრიობის უპირველესი ქალაქი და პირადი ინტუიციით შეგვეფასებინა აღნიშნული ისტორიული რელიქვია. და „უფლისციხეში“ რამდენიმე დღის სანოვაგით წავედით.

ბინა ერთ-ერთ გამოქვაბულში დავიდეთ, თანაც სამზარეულო მორიგეობა დავაწესეთ. ერთ-ერთი ჩვენგანი გამოქვაბულში უნდა დარჩენილიყო, ხოლო ორნი ქვა-ქალაქის შესასწავლად გავდიოდით.

იმ დღეს ჩემი მორიგეობის დღე დაემთხვა. ლევანმა და ვახომ წყლის ჭურჭელი აიღეს, ფოტოაპარატები გადაიკიდეს მხრებზე და წავიდნენ. მათი საუბრით მივხვდი საითაც აპირებდნენ გავლას. ამიტომ მე მათ ვურჩიე, არ წასულიყვნენ იქით.

ის-ის იყო ლობიო დავარჩიე და გავრეცხე, რომ გამოქვაბულის გარედან ბავშვების ყიჟინი შემომესმა. მათ პედაგოგებიც ახლდნენ. იქაურობა დაათვალიერეს... ნორჩ სტუმრებს ერთ კედელში ძლივსლა შემორჩენილი მაცხოვრის პორტრეტი ვუჩვენე და ავუხსენი, რომ ადგილი, სადაც ისინი იმყოფებოდნენ იმ მომენტში, უშუალოდ არის დაკავშირებული იესო ქრისტეს ფენომენთან.

ორიოდე წუთის წასულები იყვნენ სტუმრები, რომ ლოდებით ნაგები მთიდან ლევანი და ვახო დაბრუნდნენ. ლევანს სახეზე ცუდი ფერი შევამჩნიე, ხოლო ვახო მთლად გაშავებულიყო.

— რა მოხდა, ლევან...

— ისეთი არაფერი... — წყნარი ტემბრით დამამშვიდა ლევანმა და მანიშნა, — დამეხმარე, ვახო დავაწვინოთო. მე მეორე მხრიდან შევუდექი მხარში ვახოს და ასე, ჩვენს „ოთახში“ შევიყვანეთ იგი.

— აღარ იტყვით, რა მოხდა?..

ლევანმა თვალით მანიშნა: „მერე გეტყვიო“!

კარგა ხანი რომ გავიდა და დავრწმუნდი, რომ ვახოს სერიოზული ხიფათი არ ელოდა, გამოქვაბულიდან გავედი და ლევანი მოვძებნე. იგი კვლავაც ჩაფიქრებული იდგა.

— ლევან, რა მოხდა, ამიხსენი, იქ ხომ არ მიხვედით, აგერ...

— ჯერ არ ვიყავით იქამდე მისულები...

— რა დაგემართათ ასეთი, ერთი შეგახედათ, რა ფერი გადევთ.

– Леван, ну, скажи, наконец, что с вами. Уж не подошли вы случайно там...

– Нет, туда мы еще не подходили...

– Но что же случилось такое, что на вас обоих лица нет.

– Гиви, Вахо чуть не погиб, потерял сознание и упал.

– Да ты что! Но почему ты меня не позвал...

– Я звал, но не дозвался. Видно, ветер дул в противоположную сторону. Господи, что это было...

– Как ты думаешь, почему он упал?

– Не знаю... Он шел впереди, метрах в десяти от меня. Двигались мы, не торопясь. И когда подошли... – *(Леван показал рукой на верхний склон каменного комплекса)*, – вон туда, он вдруг остановился, вскрикнул: "Леван! Леван!"... И согнулся, как подкошенный, будто хотел даже оглянуться на меня. Что с ним случилось, не знаю, но он упал без чувств. Должен сказать, что Я не растерялся. Не дозвавшись тебя, бросился разжимать ему зубы перочинным ножом – благо, он завалялся у меня в кармане. Испугался, конечно, здорово. Как он сейчас?

– Идем, там поговорим... – и мы тотчас вернулись в пещеру. Там едва потрескивал догорающий огонь. Вахо с трудом раскрыл глаза и чуть слышно прошептал: "Ну и довелось увидеть..."

Мы с Леваном удивленно пожали плечами и осторожно подступили к другу с вопросами.

– Ну, как ты, Вахтанг? Уже легче? Совсем хорошо? – с улыбкой спросил Я.

Движением руки он попросил помочь ему сесть и принести напиться воды.

День кое-как пробежал...

Утром Я проснулся рано и взглянул на Вахо. Он не спал.

– Доброе утро. Ну, что, Вахо, может, кофе тебе сварить?

– О, что же это было? – хриплым спросонья голосом пробормотал Вахо.

– Ну, можешь сегодня рассказать, что ты там увидел?

– Гиви, куда ты это нас привел? – как бы упрекнул он меня.

– Но расскажи, что с тобой приключилось. Мы ведь не знаем.

Вахтанг тяжело, с трудом приподнялся и оперся о каменную стену:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გივი, კინალამ ვახო ჩამაკვდა, გული წაუვიდა და დავარდა.

— რას მეუბნები! რატომ არ დამიძახე...

— გეძახოდი, მაგრამ ეტყობა ქარი სხვა მიმართულებით უბერავს და ჩემმა ხმამ ვერ მოაღწია შენამდე. უჰ, რა იყო ეს...

— მაინც, რას ფიქრობ, რატომ დავარდა იგი?

— რა ვიცი... ჩემს წინ მიდიოდა, ასე, ათი მეტრით წინ მიდიოდა, მეც წყნარად მივყვებოდი. აი, იქ რომ მივუახლოვდით... — (და ლევანმა „უფლისციხის“ ზედა ფერდობისაკენ გაიშვირა ხელი), — უცბად შესძახა: „ლევან, ლევან!“... და უცბად ძალიან მოიგრიხა წელში, თითქოს ჩემსკენ უნდოდა გამოხედვა. თუ რა მოხდა, არ ვიცი, ეს იყო და უგონოდ დაეცა. სხვათაშორის, არ დავბნეულვარ. შენ რომ გამოგძახე, მივვარდი ვახოს და სასწაფოდ შევეცადე ენა ამომექაჩა სასიდან, მაგრამ პირი ვერ გავუხსენი. გამახსენდა, ჯიბეში უბრალო საკეცი დანა მედო, ამოვიღე და დანის ტარით შევეცადე მისთვის კბილები გამეწია, არადა იგუდებოდა. უჰ, ძალიან კი შევშინდი. ახლა როგორ არის?

— წამო, გამოქვაბულში შევიდეთ, იქ ვისაუბროთ. — და ორივე წყნარი ნაბიჯით შევედით გამოქვაბულში. იქ ცეცხლის ბოლი დამდგარიყო ოდნავ. ვახომ თვალი გაახილა ნელ-ნელა და გამოგვხედა:

— გივი, ეს რა ვნახე...

მე ლევანს გავხედე და ხელის მტევნის მოძრაობით ვანიშნე — რა ნახა-მეთქი. „არ ვიციო“! — მხრების მოძრაობით მანიშნა და ისევე ვახოს გახედა.

— ვახტანგ, როგორ ხარ, ჰე-ბიჭო, რა შეგვაშინე, ცოცხალი ხარ? — ღიმილით ვკითხე.

მან ჯერ წამოჯდომა მთხოვა ხელის მოძრაობით, ხოლო შემდეგ ჩახლეჩილი ხმით წყალი მოითხოვა.

იმ დღემ როგორღაც გაიარა...

დილით წყნარად წამოვდექი და ვახოს დავხედე. ელვიძა.

— დილა მშვიდობისა. ადე, ყავა უნდა მოგიდუღო, ხომ დალევ...

— ვაა, რა იყო ეს? — ნამძინარევი ხმით ჩაიბუტბუტა ვახომ.

— აბა, ახლა კი ყველაფერი მითხარი, რა დაინახე იქ ამისთანა.

— აქ სად წამომიყვანე, გივი... — თითქოს დამადანაშაულა.

— აბა, წამოდექი ახლა და ყველაფერი გვიამბე, რა მოხდა, რატომ დაეცი, რა გახსოვს...

ვახომ ქვაზე დაგებული ქვეშსაგებიდან ძლივს წამოიწია და უკან, გამოქვაბულის კედელს მიეყრდნო.

— გივი, ეს რა ვნახე, ვინ დამიჯერებს ამას...

– Что это Я видел? Рассказать можно, но кто мне поверит?

– Я шел впереди, – тихим голосом начал он, – Леван отставал шагов на десять. Как только приблизились к этой самой "черепахе", вдруг мне путь преградило нечто такое яркое и ослепительное, что Я невольно зажмурился. Да и кто бы мог на такое глядеть?

– Ну... а дальше? – удивленно переглянулись мы с Леваном.

– Боже, что это было, Гиви-и-и... Кругом сверкало и переливалось что-то блестящее, ультрафиолетовое, огромное и пронзительное, чего никогда в жизни не приходилось видеть. Оно как бы глядело в треугольную раму, такую, как обрамляет глаз на американской долларовой купюре, нечто подобное, но невероятно сверкающее!

– Гляделось? Оттуда?..

– Да, Гиви, да, кто-то глядел на меня оттуда! Излучающий глаз смотрел из пространства. Кто мне поверит...

– Леван, а ты видел что-нибудь? – оглянулся на Левана.

– Ничего!

– А потом? – торопили мы Вахтанга.

– Все произошло так мгновенно, что Я не успел и оглянуться.

– Не оглянулся, даже когда падал?

– Что?! Как это, Я падал? – удивился Вахо.

– Так ты ничего не помнишь? – снова обменялись взглядами мы с Леваном.

– Леван! Стало быть, Я упал?!

– Мало того, что упал! Часа полтора Я не мог тебя вывести из неподвижности.

– Вы что, шутите?

– Нет, Вахо... Так и было. Часа полтора Я не мог тебя не то что привести в сознание, но даже расшевелить. Ты лежал на камнях совершенно неподвижный. Можешь представить, сколько страха Я натерпелся, с трудом разжал ножом тебе зубы. В общем, чуть было и...

Вахо, пораженный, переводил взгляд с Левана на меня и обратно.

– Так вот почему так ужасно болят челюсти... все лицо. – как обиженный ребенок, пожаловался Вахо Левану.

– И ты в самом деле ничего не помнишь?

და ნელ-ნელა თხრობა გაბედა:

— მე წინ მივდიოდი. ლევანიც ასე, ათიოდე მეტრით უკან მომყვებოდა. იმ ადგილს რომ მივუახლოვდით, კუს რომ ჰგავს, უცაბედად ჩემს წინ აღიმართა ისეთი ძლიერი ნათება, რომ არ არსებობს თვალი გაუსწოროს ვინმემ.

ლევანმა და მე გაკვირვებულებმა შევხედეთ ერთმანეთს.

— შემდეგ?!

— ვაააა, ეს რა იყო, გივიიი... ჩემს თვალწინ სივრცეში დავინახე როგორიღაცა ულტრაიისფერი ისეთი სიკაშკაშე, რომლის მსგავსი არასოდეს არაფერი მინახავს. თითქოს იგი სამკუთხა ჩარჩოში იყურებოდა, აი, ისეთი, ამერიკულ ერთდოლარიანს სამკუთხედში ჩახატული თვალი რომ ახატია, დაახლოებით ამისი მსგავსი რაღაც, საოცრად ბრწყინავდა!

— იყურებოდაო? იქიდან?..

— კი, ვიღაც მიცქერდა შიგნიდან! თვალი ვიხილე, გივი, თვალი, განსხივოსნებული თვალი მიცქერდა სივრციდან. ვიცი, არ დამიჯერებთ.

— ლევან, შენც დაინახე ნათება? — გავხედე ლევანს.

— არავითარი!

— შემდეგ?! — ისევ ვახოს მივუბრუნდი.

— ისე სწრაფად მოხდა ეს ყოველივე, რომ უკან დახევაც კი ვერ მოვასწარი.

— ამიტომ ხომ არ მოტრიალდი უკან? ვარდნის დროს...

— რაო?! როგორ, მე დავეცი? — ფრიად გაუკვირდა ვახოს.

ლევანმა და მე კვლავაც ერთმანეთს გავხედეთ...

— ესე იგი, არაფერი გახსოვს?

— სერიოზულად? ლევან, მე წავიქეცი?!

— „წაიქეცი“ ცოტაა, შენ დავარდი და საათნახევარი ვერ გამოგიყვანე უძრავი მდგომარეობიდან.

— თქვენ რა, მეხუმრებით?

— ნამდვილად გეუბნები, ვახო, დაახლოებით საათნახევარი გონზე ვერ მოგიყვანე და ასე, უძრავად იწექი ქვებზე. ძლივს გაგიხსენი ყბა ენის ამოსაღებად, მოკლედ, კინაღამ...

ვახომ გაოცებული სახე მიიღო. ჯერ მე შემომხედა, შემდეგ ლევანს გახედა. შემდეგ ყბაზე მოისვა ხელი და გაბუტულივით ჩაილაპარაკა:

— ამიტომ მტკივა ასე ძლიერ ყბები? რას დაგინგრევია, ბიჭო, ჩემი სახე. — შესჩივლა ლევანს.

– Нет, конечно. И совсем не заметил, что прошло столько времени... Неужели валялся так долго?

Леван помог Вахтангу приподняться с "постели", и они вышли из пещеры. Мой взгляд уловил нож, оставленный Леваном на камне. Чтобы удостовериться, Я безотчетно взял его и взглянул на рукоятку. В самом деле, на пластмассовой пластинке видны вмятины от зубов. Удивительно! И странно, если то, что он говорит, было в самом деле, кто же из-за пределов мира сего пожелал вступить с ним в контакт и для чего. Когда ребята вернулись, Я опять подступил к Вахо с расспросами:

– До того, как приблизиться к месту падения, ты что-нибудь чувствовал?

– Нет, ничего.

– А когда ты увидел сияние, до того, как упасть?

– Но Я же не помню, что падал. Помню лишь ослепительный взгляд из пространства. Но светило так ярко и ошеломляюще, что невозможно было видеть ничего.

– А какая-нибудь конкретная мысль из сияния не исходила?

– Не помню. Ясно только, что Я полностью отключился от мира сего и от всего. Вот Леван говорит, что полтора часа Я лежал совсем неподвижно, но как прошло это время, не помню.

– С чем бы ты сравнил увиденное сияние?

– Ни с чем! Абсолютно ни с чем. Никаких сравнений с ним быть не может. Я уверен и убежден, что это явление неземное, не связанное с нашим миром!

– А не попал ли ты в длинный тоннель?

– Нет-нет!

– И стоял один на один с таким сиянием?

– Да! Никого другого не видел.

– Как же ты все это можешь объяснить?

– Я думаю, ты объяснишь мне, Гиви. Удивляюсь, почему все это привиделось именно мне. Ведь и Леван был там же...

Мы долго толковали о случившемся. Прикидывали – что означает треугольник, в который порой вписывается глаз. Такие изображения чаще всего делаются близ алтаря, у лампады. А это свидетельствует, что подобные знаки ставились издавна, что знали о сиянии в очень древние времена. Многие считают вписанный в

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვახო, მართლა არაფერი გახსოვს?

— მე არაფერი მახსოვს, არც დროის ფაქტორი მიგრძვნია. როგორ, საათნახევარი ვეგდე?..

ცოტა ხანში ლევანი და ვახო „საწოლებიდან“ წამოდგნენ და გამოქვაბულიდან გავიდნენ. იქვე, ერთ ლოდზე დადებულ საოჯახო დანას შევავლე თვალი. არ ვიცი რატომ და, მათი გადამოწმების მიზნით დანა ავიღე და ტარს დავხედე. მართლაც, დანის პლასტმასის ტარს ვახოს კბილები ეტყობოდა. საოცარია. მართალს ამბობენ! არადა დამაინტერესა, განა ვინ მოისურვა მიღმადან მასთან კონტაქტში შემოსვლა ან რატომ. როდესაც ბიჭები გამოქვაბულში დაბრუნდნენ, მე სხვა რამდენიმე შეკითხვა დავუსვი ვახოს:

— როდესაც იმ ადგილს უახლოვდებოდი, სადაც დაეცი, წინდაწინ თუ გრძნობდი რაიმეს?

— არავითარი.

— ძლიერი სიკაშკაშე როდის იხილე, დაცემამდე?

— მე დაცემა არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, თუ რაოდენ თვალისმომჭრელმა სინათლემ გამომხედა სივრციდან. ისეთი ძლიერი ნათება იყო, რომ მის გამო სხვა აღარაფერი ჩანდა.

— რამენაირი კონკრეტული აზრი თუ მოდიოდა მისგან...

— არ მახსოვს. ერთი კი ცხადია, რომ არც ამქვეყნიური დამამახსოვრდა რაიმე, საერთოდ გავითიშე. აი, ლევანი ამბობს, საათნახევარი იწექიო. როგორ გავიდა ეს „საათნახევარი“, აზრზე არა ვარ.

— რას შეადარებდი მის სიკაშკაშეს?

— უჰ, ვერაფერს, გამორიცხულია რაიმეს შეადარო იგი. ამაში დარწმუნებული ვარ, იგი არაამქვეყნიური მოვლენაა!

— გრძელი გვირაბი თუ გაიარე...

— არავითარი!

— მარტო იდექი სინათლის წინ?

— კი! სხვა არავინ მინახავს იქ.

— შეგიძლია ახსნა, რა დაგემართა...

— ეს შენ უნდა აგვიხსნა, გივი, იქნებ შენ გამაგებინო, მე რატომ ვიხილე ერთმა ასეთი უცნაური რამ, ლევანიც ხომ იქ იდგა...

ჩვენ იმ საღამოსაც ამავე საკითხზე ვმსჯელობდით. ბიჭებმა მთხოვეს განმემარტა მათთვის, თუ რას წარმოადგენს ის სამკუთხედი, რომელშიც თვალია ხშირად ჩახატული. ასეთი რამ შეინიშნება ძირითადად ეკლესიების საკურთხეველთა წინ, კანდელთან. ეს კი მეტყველებს, რომ ასეთი რამის არსებობა ადრეულ საუკუნეებშიც სცოდნიათ. ბევრნი მიიჩ-

12. „მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა“, III ტომი.



треугольник глаз – одним из масонских символов, якобы связанных с темными силами. Ни в коем случае! Если масонские организации использовали "вписанный в треугольник глаз" в качестве одного из символов своего движения, то его на этом основании все же нельзя счесть за сатанинское проявление. Этот нередко встречающийся на грузинских фресках и иконах глаз – святой знак Господа, и он ни в коем случае не является носителем отрицательной энергии. Я кое-что помнил о нем и рассказал ребятам, что "вписанный в треугольник глаз" олицетворяет плененный во Вселенной черный космос, и в нем – в черном космосе плененного Господа! С одним, правда, нельзя не согласиться, что сам факт пленения Господа – явление отрицательное, в связи с чем весь мир ныне подвергается процессу деградации. И если предки эту реальность природы выражали символическим знаком и фиксировали в росписи храмов, видимо, святые мудрецы все же не ошибались.

Недавно нам с супругой довелось побывать в городе Эфесе. Нас пригласила сопровождать ее гостившая до того у нас американка грузинского происхождения. В Эфесе мы повидали многое такое, что не забудется никогда в жизни: стояли на плитах города, возведенного из камня примерно 3.200 лет тому назад и представлявшего крупнейший торговый центр, населенный ионийцами. Он расположен в Малой Азии, в Карии, на берегу Эгейского моря. Об изумительных деталях этого поразительного города мы побеседуем позже. Обещаю поместить и фотоматериалы с видами его сохранившихся древностей. А сейчас покажу лишь один знак-клеймо, обнаруженный мной на одной из устоявших под напором времен стен Эфеса. Прошу вас взглянуть на иллюстрацию. Видно не особенно четко, так как время смыло и стерло конкретность, но думаю, вы все-таки различите в верхней части рисунка треугольник с каким-то вписанным в него круглым объектом. Предполагается, что это изображение глаза; глаз сидит в большом Древе;

ნევენ, რომ სამკუთხედში ჩახატული თვალი — მასონური ორგანიზაციების ერთ-ერთი სიმბოლური ნიშანია, რომელსაც თითქოს ავ ძალებთან მივყავართ. არავითარ შემთხვევაში! თუ მასონურმა ორგანიზაციებმა „სამკუთხედში ჩახატული თვალი“ მათივე მოძრაობის ერთ-ერთ სიმბოლოდ გამოიყენეს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ „სამკუთხედში ჩახატული თვალი“ სატანური გამოვლინებაა. ამგვარად, ქართულ ფრესკებში და ხატებში შემჩნეული ეს ნიშანი — უფლის წმიდა ნიშანს წარმოადგენს და იგი არავითარ შემთხვევაში არ არის უარყოფითი ენერგიის მატარებელი. მე იმ საღამოს ბიჭებს ავუხსენი, რომ **„სამკუთხედში ჩახატული თვალი“ განასახიერებს — სასუფეველის შიგნით დატყვევებულ შავ კოსმოსს და მასში, შავ კოსმოსში დატყვევებულ უფალს!** (უმორჩილესად ვთხოვ ქართული ენის ყველა მცოდნეს, სიტყვა „სამკუთხედის“ ეზოთერულ შინაარსს დააკვირდეთ: „სამ-კუ-თ-ხე-დი). ერთში დაგეთანხმებით, რომ უფლის დატყვევების ფაქტი უკვე უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, რის გამოც სრულიად სამყაროა დღეს დეგრადირებული. და თუ უწინ ბუნების ამ რეალობას სიმბოლური ნიშანით გამოხატავდნენ და ტაძრების ფრესკებშიც აფიქსირებდნენ წინაპრები, ეს როგორ, განა რაიმე ეშლებოდათ წმიდა სამყაროს მოძღვრებს?..

ამას წინათ ქალაქ ეფესოში გახლდით მეუღლითურთ. სამოგზაუროდ დაგვპატიჟა ქართული წარმოშობის ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა, რომელიც სტუმრად ჩამოვიდა ჩემთან. ისეთი რამ ვიხილეთ იქ, ამას რა დამავიწყებს ჩემს ცხოვრებაში: ვიდექით დაახლოებით 3.200 წლით უკან აგებულ ქვის ქალაქში, რომელიც იონიელებით დასახლებულ უდიდეს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. იგი მდებარეობს მცირე აზიაში, კარიაში, ეგეოსის ზღვის პირას. ამ საოცარი ქალაქის ბევრ საინტერესო დეტალზე მოგვიანებით გავისაუბროთ. გპირდებით ფოტომასალითაც გიჩვენოთ ამ ქალაქის დღეისათვის შემორჩენილი ხედები. ამჯერად კი მხოლოდ ერთ დამღა-ნიშანს წარმოგიდგენთ, რომელიც ეფესოს ერთ-ერთ გადარჩენილ კედელზე მივაკვლიე. გთხოვთ ამ ილუსტრაციას დახედოთ (თქვენგან მარცხნივ), ცუდად კი ჩანს, დროს ჩამოურეცხავს მისი კონკრეტულობა, მაგრამ ვფიქრობ აუცილებლად შეამჩნევდით სურათის ზემო ნაწილში სამკუთხედს, რომელშიც მრგვალი ობიექტია ჩახატული; მრგვალში თვალია ნავარაუდევი; თვალი დიდ ხეში ზის; ხე ორ მსხვილ ფესვად იყოფა და ვიღაც წვერებიან მამაკაცს ეყრდნობა მხრებზე. ამ ფაქტს კი ისევ და ისევ სამყაროს ავტორთან მივყავართ... მაშასადამე, „სიცოცხლის ხის“ პირველი ჰოლოგრამის ავტორიც ადამიანია, უძლიერესი რწმენითა და სიტყვით, ანუ კაცი ვინმე — „პრაჯაპატი“... (ინდური კოსმოგონიის

Древо делится на два мощных корня и опирается на плечи какого-то бородатого мужчины. И этот факт вновь и вновь ведет и направляет нас к творцу, автору мира. Таким образом, и автор первичной голограммы Древа жизни – человек – с его могучей верой и Словом, или "некий муж" – "праджапати" *(по индийской космогонии)*, творец и создатель всего сущего! Я привел эту иллюстрацию в доказательство того, что о сущности вставленного в треугольник ока известно было в древности и эфесцам. Повторю еще раз, что "вставленный в треугольник глаз" – это микромодель мироздания, проявляющаяся и в каждом живом организме. Шумеры тоже рисовали глаз таким, каким он изображен на этой иллюстрации *(справа)*.

Один вывод попытаюсь сделать сейчас же о том, что мой друг в тот так взволновавший нас день попал, видимо, под сверхвоздействие Древа. Но почему только он, в то время как там находился и его спутник... Этот факт объяснить труднее, в связи с чем Я вернусь к нему позже, когда коснусь вопроса о Троице.

А сейчас продолжим суждения о феномене великого Древа. Я опишу вам и второй случай, когда обыкновенный смертный с помощью Древа жизни узрел Божий град. Об этом мне рассказали в Турции.

* * *

მიხედვით), რომელმაც შექმნა ყველაფერი. აი, რატომ გიჩვენეთ ეს ილუსტრაცია, რომ ფაქტია, სამკუთხედში ჩასმული თვალის არსი ეფესელთა მიმართაც ყოფილა იმ საუკუნეებში ცნობილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სამკუთხედში ჩასმული თვალი — სამყაროს მიკრომოდელია, რაც ყოველ ცოცხალ ორგანიზმშიც იჩენს თავს. შუმერები კი ასე ხატავდნენ თვალს...



(გთხოვთ, ეს მეორე ილუსტრაციაც იხილოთ, აქვე, ზემოთ).

ერთის დასკვნას ახლავე შევეცდები, რომ ჩემი ძმაკაცი იმ დღეს დიდი „ხის“ ზეგავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. მაგრამ, რატომ, მხოლოდ და მხოლოდ იგი, როდესაც იქვე იმყოფებოდა ჩვენი მეორე ძმაკაციც... ამრიგად, ეს უფრო რთული ასახსნელი თემაა, რის გამოც მოგვიანებით — „სამების“ საკითხის განმარტებისას ვისაუბრებთ.

ამჯერად კი საუბარი კვლავაც დიდი „ხის“ ფენომენზე უნდა განვითარდეს. ახლა გიამბობთ მეორე შემთხვევას, როდესაც უბრალო ადამიანმა „სიცოცხლის ხის“ დახმარებით ღვთის ქალაქი იხილა. ეს ამბავი თურქეთში მითხრეს.

* * *



ბატონი სადეთთინ ტექსოი და მე
Господин Садеттин Тексой и Я

В дни моего пребывания в Турции поступило сообщение, что раскрытием тайны Лазаря очень заинтересовался директор одного из главных каналов телевидения Стамбула, господин **Садеттин Тексой.** Нас пригласили к нему... *(Приложенное фото сделано в его рабочем кабинете).* Но до встречи с ним самим с нами познакомился и побеседовал с помощью переводчика сотрудник того же канала, один из помощников господина Тексоя. Конечно, последовало угощение – заваренный и настоенный по-особому, очень вкусный турецкий чай... Но нашему удивлению не было предела, когда мы заметили в руках нашего радушного гостеприимца мою книгу. Он нам, в частности, сказал, что по этой книге, сопровождающейся переводом на английский язык *(не знаю, как она туда попала)*, им впервые стало известно о возможном раскрытии в Грузии табу Лазаря, и они особенно живо интересуются этим вопросом, потому что некоторое время тому назад стали свидетелями такого случая...

И вот, что он нам рассказал...

Немного времени спустя после окончания Второй мировой войны один из самолетов военно-разведывательной службы *США* летел над Атлантическим океаном. Внезапно летчик заметил, что самолет охватило каким-то ярким светом. Он, должно быть, вгляделся... – продолжал свой рассказ молодой турок, – и что видит: из вод океана пробивается ярчайшее сверхсияние, сквозь которое просматривается некий неземной город. Как уже потом он писал в своей книге, ему запретили предавать этот факт огласке. Но ближе к старости он все же описал его и издал книгу. Так спустя десятилетия он и стал достоянием гласности. Позже книга американского летчика попала в руки сотрудников турецкого телевидения и они проявили к ней глубокий интерес. Особенно запечатлелась в памяти информация о том, что где-то, в глубинах земли,

თურქეთში ყოფნისას შემატყობინეს, რომ ლაზარეს აღდგინების საიდუმლოთი ძალზედ დაინტერესდა სტამბულის ერთ-ერთი მთავარი არხის დირექტორი, ბატონი **სადეთთინ ტექსოი.** მიგვიწვიეს... (აი, ისიც, სურათზე, ვიმყოფებით მის სამუშაო კაბინეტში). მაგრამ ვიდრე იგი სასაუბროდ მიგვიღებდა, მანამდე გაგვეცნო და თარჯიმნის დახმარებით გაგვესაუბრა ამავე არხის თანამშრომელი, ბატონი ტექსოის ერთ-ერთი თანაშემწე. რაღა თქმა უნდა, თავდაპირველად თურქულად დაყენებული გემრიელი ჩაი მოგვართვეს... მაგრამ ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მასპინძელს ხელში ჩემი წიგნი შევამჩნიეთ. კერძოდ, მან გვითხრა, რომ როდესაც მათ ამ წიგნის ინგლისურენოვანი გამოცემით საქართველოში აღმოჩენილი ლაზარეს ამბავი გაუგიათ პირველად (არ ვიცი, როგორ მოხვდა ეს წიგნი მათთან), იმიტომ უფრო დაინტერესებულან ამ საკითხით, რომ მანამდე ერთი ასეთი შემთხვევის მოწმენი გამხდარან...

და მასპინძელმა გვიამბო...

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკის სამხედრო სადაზვერვო დანიშნულების ერთ-ერთი თვითმფრინავი ატლანტიკის ოკეანეზე მიფრინავდა. უეცრად მფრინავმა შენიშნა, რომ მისი თვითმფრინავი როგორიღაცა უცხო სინათლემ მოიცვა. ალბათ, მფრინავი მიმოიხედავდა... და რას ხედავს: ოკეანის წყლიდან კაშკაშებს ზესინათლის ნაკადი, რომელშიც არაამქვეყნიური ქალაქი მოჩანს. როგორც მისი წიგნი მოგვითხრობს, — განაგრძო საუბარი ახალგაზრდა თურქმა, — ამერიკელებს მფრინავისათვის აუკრძალავთ ამ ფაქტის გახმაურება, რის გამოც ათეული წლების მანძილზე მსოფლიომ ვერ გაიგო ეს ამბავი. მაგრამ სიკვდილის წინ მფრინავს წიგნად დაუწერია ეს ყველაფერი და გამოუცია. აი, ასე გავრცელდა ათწლეულების მიღმა მომხდარი ფაქტი. ამერიკელი ავტორის ეს წიგნი შემთხვევით წაუკითხავთ სტამბულის ტელევიზიის წარმომადგენლებს და ფრიად დაინტერესებულან. ფაქტიურად, მათ მეხსიერებაში ჩაებეჭდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სადღაც, მიწაში, ზე-ქალაქი უნდა მდებარეობდეს. ამ დროს, მათ ხელთ უვარდებათ ჩემი წიგნის პირველი ტომი (ქართულ-ინგლისურ ენაზე გამოცემული), სადაც მეც იგივეს ვატყობინებ მკითხველს, რომ ბიბლიაში აღწერილი ღვთის სამოსახლო, ე.წ, — „სიონის წმიდა ქალაქი“ რეალურად არსებობს და იგი მდებარეობს კავკასიის ქვეშ მიგნებულ გიგანტურ სიცარიელეში. აი, ამან გააოგნა თურმე სტამბულის ტელევიზიის თანამშრომლები.

ამ დროს საუბარი შეგვაწყვეტინეს და გვითხრეს, რომ ბატონმა ტექსოიმ დაამთავრა მისი ერთ-ერთი სხვა გადაცემის მონტაჟი, და რომ მზად არის მიგვიღოს.

должен располагаться сверхгород. Вслед за тем к ним попадает первый том этой книги *(издание с английским переводом)*, в котором Я сообщаю читателю о том, что описанный в Библии так называемый – "Божий град" реально существует и находится в обнаруженном гигантском пустом пространстве под Закавказьем. Вот это и ошеломило сотрудников Стамбульского телевизионного канала.

Тут нашу беседу прервали и сообщили, что господин Тексой завершил монтаж своей передачи и готов нас принять.

Мы прошли в его кабинет, и телекамера фиксировала на пленку все наши передвижения. Разумеется, была записана и вся наша беседа. К концу ее господин Тексой поделился с нами своим намерением приехать весной в Грузию и на месте осмотреть и запечатлеть Нунисский каменный комплекс.

Мы сфотографировались вместе на память и расстались.

•••

Сейчас мне хочется рассказать и о третьем факте, зафиксированном еще до второго, но на сей раз без участия сверхсияния...

Еще до издания второго тома этой книги, при подготовке его, Я отправился в Турцию с целью напечатать там суперобложку. В один из дней пребывания в Трапезунде за чаем в чайхане Я сказал супруге: "Вот было бы хорошо встретиться с кем-нибудь из местного телевидения", – на что она мне ответила: "Конечно, встретимся, если на то будет воля Божья"!

В этот момент к ближайшему от нас столу подошли двое молодых людей, сели и поставили рядом с собой большую телекамеру с микрофоном. Мы с женой переглянулись – "да ведь это, кажется, телевизионщики..." – и Я, извинившись, подошел и обратился к ним. Один немножко, вроде меня, говорил по-английски, и этого оказалось достаточно, чтобы мне удалось им объяснить – если они меня внимательно выслушают, то окажутся перед лицом великой сенсации. К тому же Я передал им имевшийся у меня текст на турецком языке. Между прочим, молодые люди оказались работниками "Канала-D", центрального телевидения Стамбула. Поразительное совпадение!

Пока они ждали заказанного чая, один из двух быстро прочел переданный мною текст, подошел к нашему столу, спросил – не знаю ли Я в Трапезунде кого-либо из грузин, владеющих турецким языком, чтобы тут же снять небольшой сюжет.

ჩვენ მის კაბინეტში შევედით. ტელე-კამერა უკვე ჩაერთოთ და ჩვენი იქ შესვლაც კი ფირზე დააფიქსირეს. რაღა თქმა უნდა, დაფიქსირდა ჩვენი სრული საუბარიც. ბოლოს, ბატონი ტექსოი საქართველოში ჩამოსვლას შემპირდა გაზაფხულზე და ნუნისის სრულ კომპლექსსაც ადგილზე დავაფიქსირებთო.

ჩვენ იმ საღამოს სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

* * *

მსურს გიამბოთ მესამე ფაქტიც, რომელიც მეორე ფაქტის წინ დაფიქსირდა, ოღონდ, ამჯერად ზესინათლის გარეშე...

ამ წიგნის მეორე ტომის გამოცემამდე, თხელი ყდის დასტამბვის მიზნით მივლინებით გავემგზავრე თურქეთში, ოღონდ, იმჯერად ქალაქ ტრაპიზონში. მეუღლეც თან მახლდა. ვზივართ ერთ დღეს „ჩაიხანაში“ და ჩაის ვსვამთ. მე მეუღლეს შევჩივლე: „ამათი ტელევიზიის ხალხი მაინც შემახვედრა-მეთქი“. მეუღლემ მიპასუხა: „უფალს თუ სურს, შეგახვედრებსო“!

ვხედავთ, ჩვენს წინ, მეორე მაგიდასთან ორი ახალგაზრდა მივიდა, დიდი ტელე-კამერა მიკროფონთან ერთად იქვე დადეს და მაგიდას მიუსხდნენ. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ — „აქაური ტელესტუდიის თანამშრომლები ჩანან...“ — და მოკრძალებით მათთან მივედი. ერთ-ერთმა ჩემსავით სუსტი ინგლისური იცოდა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა გაეგო, რომ თუ ისინი ყურადღებით მომისმენდნენ, საკაცობრიო დიდი სენსაციის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. თან, თურქულ ენაზე წინდაწინ მომზადებული ტექსტებიც გადავეცი. სხვათაშორის, ის ორი ახალგაზრდა სტამბულის ცენტრალური ტელევიზიის „კანალ-D“ არხის თანამშრომლები აღმოჩნდნენ. საოცარია!

ვიდრე შეკვეთილ ჩაისა და ნამცხვარს მიუტანდნენ მათ, ორიდან ერთ-ერთმა სწრაფად გადაიკითხა ჩემი გადაცემული თარგმანი, ადგა, მაგიდა მიატოვა და ჩვენთან მოვიდა. მკითხა, ხომ არ ვიცნობდი ტრაპიზონში ისეთ ქართველს, ვინც კარგად იცოდა თურქული ენა, ახლავე სიუჟეტს გადაგიღებთო.

— რა ვქნათ... — მივუბრუნდი მეუღლეს. — და გამახსენდა, რომ ქალაქის ქვედა ნაწილში, იქ, სადაც „რუსკი ბაზარია“, წინა დღეს გავიცანით თბილისელი ახალგაზრდა, რომელმაც ასე თუ ისე, იცოდა თურქული ენა. გადავწყვიტეთ ყველა ერთად წავსულიყავით ქვემოთ. სტამბულის

Я вспомнил, что в нижней части города, близ "Русского базара" недавно познакомился с юношей из Тбилиси, который более или менее сносно понимал и говорил по-турецки. Мы решили все вместе отправиться туда. Молодые люди оставили стол, быстро остановили такси, и, отыскивая у базара помещение, в котором работал тбилисский парень, Я в душе возносил к Господу молитвы о даровании удачи.

И вот опять поразительное совпадение:

– Батоно Гиви, здравствуйте! Как вы здесь оказались?

Я оглянулся... Кто-то говорит со мной на чистом грузинском языке, но узнать его Я не могу.

– Не узнаете? Помните, вы мне подарили в Тбилиси книгу о нунисских тайнах, о Харагоули. Неужели не помните? Чем могу быть вам полезен? Я живу здесь, в Турции.

–. Минуточку... А турецкий вы знаете? – Он смеется:

– Я гражданин Турции, здесь, в Трапезунде читаю лекции в одном из высших учебных заведений.

– Со мною двое турецких репортеров, и они могут записать беседу со мной. Не найдется ли у вас время помочь нам?

– С удовольствием!

Только было переглянувшись с супругой, Я чуть не перекрестился в благодарность Господу за неожиданный сюрприз, как вспомнил – нахожусь в исламском государстве, и почему-то воздержался. Вот так, по воле судьбы, мне был послан переводчик – турок грузинского происхождения, с которым в первый раз Я встретился еще в 1994 году в Тбилиси, в кабинете руководителя одной из небольших организаций, и передал на память свою книгу. Но пройдет время, и однажды он меня остановит в Трапезунде с удивлением: "Батоно Гиви, здравствуйте, как вы здесь оказались"...

В течение двух часов он безвозмездно переводил стамбульским телевизионщикам историю возможного предстоящего раскрытия табу Лазаря. Между прочим, и сами турки были очень довольны нашей встречей и даже с некоторым подозрением полюбопытствовали – в самом ли деле она была случайной.

Турки унесли с собой наши интервью. Какая их постигла судьба, Я еще не знаю. Но, в результате, интервью, взятое господином Тексоем, оказалось для Стамбульского телевидения вторым.

Хочется прокомментировать и первый, и второй случаи. Т.е.

ტელევიზიის ახალგაზრდებმა მიატოვეს მაგიდა და სასწრაფოდ ტაქსი გააჩერეს.

მანქანიდან რომ გადმოვედით, მივიხედ-მოვიხედე, რათა ის შენობა მომეძებნა, სადაც თბილისელი ბიჭი მუშაობდა. თან ვფიქრობ: „უფალო, დამეხმარე, სასწრაფოდ მოიმოქმედე რაიმე, მთარგმნელია საჭირო“...

მოხდა კიდევ ერთი საოცრება: გვერდიდან ვიღაც მესალმება:

— ბატონო გივი, გამარჯობათ. აქ საიდან გაჩნდით?

მივიხედე... ვიღაც გამართული ქართულით მესაუბრება, მაგრამ ვერ ვიცანი.

— ვერ მიცანით? თქვენ მე წიგნი მაჩუქეთ თბილისში, თქვენი წიგნი, ნუნისის საიდუმლოზეა დაწერილი, ხარაგოულზე, აღარ გახსოვართ? რით მოგემსახუროთ, მე აქ ვცხოვრობ, თურქეთში.

— ერთი წუთით... თურქული იცით? — იცინის.

— მე თურქეთის მოქალაქე ვარ, ლექციებს ვკითხულობ აქ, ტრაპიზონის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში.

— უკაცრავად და, ამ თურქ რეპორტიორს ჩემი საუბრის ჩაწერა სურს. ენა კი არ ვიცი. თავისუფალი დრო თუ გექნებოდათ, იქნებ დამხმარებოდით...

— სიამოვნებით!

მე და ჩემმა მეუღლემ კმაყოფილებით გადავხედეთ ერთმანეთს და ის იყო პირჯვარი უნდა გადამესახა უფლის წინაშე ასეთი მოულოდნელი სიურპრიზისათვის, რომ გამახსენდა — ისლამურ სახელმწიფოში ვიმყოფებოდი და რატომღაც თავი შევიკავე. აი ასე, ღვთის ნებითა და გადაწყვეტილებით, თვით განგებამ ცხვირწინ გამომიცხადა მთარგმნელი — ქართული წარმოშობის თურქი, რომელთანაც პირველად ჯერ 1994 წელს შემახვედრა თბილისში, საღამოს, ერთი მყუდრო ორგანიზაციის დირექტორის კაბინეტში, რათა იგი გამეცნო და მისთვის ჩემი ახლადგამოცემული წიგნი გადამეცა საჩუქრად. თურმე ნუ იტყვით, გავა ოთხი წელი, ერთ დღეს ტრაპიზონში შემხვდება იგი და შემაჩერებს — „ბატონო გივი, გამარჯობათ, აქ საიდან გაჩნდით“...

ორი საათის განმავლობაში უანგაროდ გადაუთარგმნა სტამბულის ტელევიზიის წარმომადგენლებს ლაზარეს ტაბუს გახსნის ამბავი. სხვათაშორის, ჩვენი შეხვედრის ფაქტით თურქი რეპორტიორებიც აღტაცებულები დარჩნენ და ეჭვით იკითხეს — მართლა შემთხვევით შეხვდითო?..

თურქებმა ჩვენი ინტერვიუ ჩაწერეს და წაიღეს. თუ რა ბედი ეწია ამ გადაცემას, ჯერ არ ვიცი. ამგვარად, ბატონი ტექსოის ინტერვიუ რიგით მეორე აღმოჩნდა სტამბულის ტელევიზიისათვის.

интересно было бы знать, чем с эзотерической позиции объясняются неожиданные контакты людей со сверхсиянием. Проанализируем и сопоставим еще раз случаи с Вахо и американским летчиком...

••••

"Древо", слово и явление

Осваивая и разрабатывая эту тему, мы постепенно приближаемся к объяснению сущности Троицы, что должно явиться венцом эзотерических суждений. Ряд ответвлений мировой религии отрицает существование Троицы, но это неправомерно. Троица существует, являя собой феномен, у которого нет начала. Исходя из этого, не будет у нее и конца. Если провидению угодно и все пять томов этой книги выйдут в свет, то в пятом томе будет дан основательный разбор сущности Троицы, и на этом мы завершим свое эзотерическое обозрение. Посмотрим... Пока же понемногу начнем закладывать основы будущих суждений, многими все еще не воспринимаемых о Троице. На первый раз коснемся этих двух фактов, могущих быть объясненными только и только через механизм Троицы. Иной, лучший способ их объяснения пока что мне не видится.

Итак, на склоне крепости "Уплисцихе" Вахтанг узрел сверхсияние. Но рядом с ним находился его друг, которому это явление не открылось. Вот как это объясняется...

Фиксирование кем-то подобного явления – настолько убедительный аргумент, что очевидец не может отрицать его, даже если он совсем неверующий. Поэтому он обычно долго после события с глубоким чувством рассказывает о том, что с ним произошло и как он однажды увидел сверхсияние. В моменты подобного повествования его слова приобретают особую силу сверхвоздействия лишь потому, что факт словесной передачи и описания события ложится в основу используемых для этого звуков, а такие звуки содержат запредельный свет – "ли"! Это означает, что рассказчик в момент воспоминания о видении вновь внутренним зрением воспринимает то, о чем ведет повествование. Вот, что подразумевается под грузинском словом – "хма-ли"... *(1. "хмали" – меч; 2. "хма-ли" — духовный звук)*, и вот почему его звуки обладают силой

ახლა კი კომენტარები უნდა გავაკეთო პირველი და მეორე შემთხვევის თაობაზე. ანუ, ალბათ საინტერესო იქნებოდა გვცოდნოდა, თუ როგორ აიხსნება ეზოთერული თვალთახედვით ვინმეს მიმართ ზესინათლის დაკონტაქტების ფაქტი. მოდით, კვლავაც ვახსა და ამერიკელი მფრინავის შემთხვევები განვიხილოთ...

* * *

„ხე“, სიტყვა და ხილვა

ამ თემით ნელ-ნელა ვუახლოვდებით „სამების“ არსის განმარტებას, რაც ეზოთერული აზროვნების გვირგვინს წარმოადგენს. მსოფლიო რელიგიის ზოგიერთი განშტოება უარყოფს „სამების“ არსებობას, მაგრამ ეს შეცდომაა. „სამება“ არსებობს და იგი ის ფენომენია, რომელსაც არ გააჩნია საწყისი. აქედან გამომდინარე, მას არ ექნება ბოლოც. თუ დიდმა ნებამ ინება და ამ წიგნის ხუთივე ტომი გამოვა, მეხუთე ტომში საფუძვლიანად განვიხილავთ „სამების“ არსს და ამით ეზოთერულ აზროვნებას ამოვწურავთ. ვნახოთ... მანამდე კი, ასე, გზადაგზა ჩავუფინოთ ჩვენს აზროვნებას „სამების“ საძირკველი, რაც ერთობ მიუწვდომელი გამხდარა ბევრისათვის. ამჯერად ეს ორი ფაქტი განვიხილოთ, რომლებიც, მხოლოდ და მხოლოდ „სამების“ მექანიზმით განიმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა უკეთესი ახსნა ვერ მივუსადაგე.

მაშასადამე, ქალაქ „უფლისციხის“ ფერდობზე ვახომ ზესინათლე იხილა. მაგრამ იქვე იმყოფებოდა მისი მეგობარი, რომელმაც იგივე მოვლენა ვერ დაინახა. აი, როგორ განიმარტება ეს...

როდესაც ხილვა დაფიქსირდება ვინმეს მიმართ, ეს ისეთი მტკიცე არგუმენტია, რომ მისი მხილველი ვერ უარყოფს ამას, ფრიად ურწმუნოც რომ იყოს იგი. ამიტომ, იგი მთელი გრძნობითა და სიმართლით მეტყველებს მომავალში, თუ როგორ იხილა ერთ დღეს ზესინათლე. ამ დროს მისი სიტყვები განსაკუთრებით ზემოქმედია იმიტომ, რომ ხილვის თხრობის ფაქტი საფუძვლად ედება მისი მხილველის ბგერას და ამგვარი ბგერა მილმიერ სინათლეს — „ლის“ შეიცავს. ეს კი ნიშნავს, რომ მთხრობელი ხილვის გახსენების მომენტშიც შინაგანად ხედავს იმავე ნათელს, რაზედაც იგი გვიამბობს. აი, რა იგულისხმება სიტყვაში „ხმა-ლი“, და აი რატომ არის ასეთი ბგერა ძლიერმოქმედი. ალბათ უკვე გასაგებია, რომ არც ჩემი ძმაკაცი და არც ამერიკელი მფრინავი არ წარმოადგენენ ბიბლიურ პერსონაჟებს.

сверхвоздействия. Видимо, всем понятно, что ни мой друг, ни американский летчик персонажами Библии не являются.

მისი გამოყენების საიდუმლო შეგახსენოთ. ვიცით და გასაგებია, რომ პლუს-მინუს მუხტები ნამდვილად წარმოშობენ ძალას მათი შეხების მომენტში, მაგრამ ამის შემდეგ გვეცოდინება ისიც, რომ დასაშვებია როგორიღაც ენერგია წარმოშვან ზევით-ქვევითა, ან მარჯვენა-მარცხენის ცნებებმაც, რადგან ესენიც ერთგვარი პლუს-მინუს პოლუსებია ერთიმეორისათვის.

დაკვირვებული მკითხველი დაასკვნის, რომ ჩვენ ხშირად წარმოვადგენთ ისეთ საზოგადოებას, როდესაც ვიღაც შუაზე გვყოფს ჩვენზე უკეთ გაბატონების მიზნით. ფაქტიურად, ჩვენ უკვე ვართ პლუს-მინუს ხალხად გადაქცეული, რის გამოც უდიდესი ენერგიების გარემოცვაში მოვხვდით. იკითხავთ — თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არ ვითარდება ჩვენი ყოფიერება უკეთ? გეტყვით: ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვიმყოფებით უძრავ მდგომარეობაში, რომ არასწორი კანონებით ვართ გაგუდული. ანუ, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობიდან გამომდინარე ისეა ჩვენი ყოფიერება ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული, რომ ვერ ვვითარდებით ამასოფლის მხრივ, ეს ენერგიები ფიქრის მიზეზად გარდაიქმნა. მაგრამ სამყაროს აქვს დაუწერელი კანონებიც, როდესაც მას არაფერი ეშლება და იდეოლოგიით გახლეჩილ საქართველოში წარმოშობილ კოლოსალურ ენერგიებს ბუნება უზენაესის სასარგებლოდ იყენებს... (გამგებმა გაიგოს)!

მოკლედ, კარგ რაღაცას ვამბობდი, რომ ნებისმიერი ხაზის ეგრეგორულ ცენტრში წარმოიშობა მცირედი ენერგია, რომლის გამოყენების საშუალებაც არსებობს. გააჩნია, ვინ რაში გახარჯავს ამ ენერგიებს.

ამჯერად ჰორიზონტალურ ზოლსაც უნდა დააკვირდეთ... (აქვე, მარცხნივ), რადგან, ისიც გაყოფილია ვერტიკალური პატარა შტრიხით, რის გამოც მასშიც აუცილებლად წარმოიშობა ენერგია. აქ ისმის კითხვა: დავუშვათ გადავწყვიტეთ, რომ ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურ ხაზებში მუდმივად წარმოვშვათ ამ მეთოდით ენერგიები, რა არის საჭირო? თურმე ამისათვის საჭიროა შევაერთოდ ეს ორი უკიდურესად საპირისპირო მიმართულება, რის გამოც ისინი თვითონვე გადაკვეთენ ერთიმეორეს. **აი, ეს არის ჯვარი!** მაშასადამე, ჯვარი შედგება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების მქონე ზოლებისაგან, რომლებიც, სურთ ეს ამ ზოლებს თუ არა, თვითნებურად კვეთენ ერთიმეორეს და იძულებულები არიან მათი გადაკვეთის 0 წერტილში დაბადონ ენერგიები მანამდე, ვიდრე ისინი ურთიერთგადაკვეთილები იქნებიან. ამ დროს 0 წერტილი ანათებს! მაგრამ რატომ ანათებს იგი, ან საიდან მომდინარეობს მისი სითბური ენერგია?..

(პატივცემულო მკითხველო, ვიდრე ამ წიგნის ბოლო თავს — „ელვის საიდუმლოს“ არ გაეცნობით საფუძვლიანად, ვერ აგიხსნით მოკლედ, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ გახსნილი სივრცე, საიდანაც ნებისმიერი ხარისხის სითბური ენერგია გამოვლინდება, თუნდაც ცეცხლი).

они того или нет, произвольно пересекают одна другую и оказываются вынужденными создавать энергию до тех пор, пока они находятся во взаимопересеченном состоянии. В это время нулевая точка излучает свечение! Но почему она светится, или откуда и из чего исходит ее согревающая энергия?.. *(Уважаемый читатель, до того, пока вы основательно не ознакомитесь с последней главой этого тома "Секрет молнии", Я не сумею вам коротко объяснить, каким представляется раскрытое пространство, из которого исходит теплая энергия любого качества, хотя бы тот же огонь).*

Допустим, что мы держим в руках крест из дерева, металла или проволоки. Вращая его вертикаль сверху вниз или горизонталь из стороны в сторону, замечаем, что самой неподвижной оказывается нулевая точка креста. Потому-то Я и назвал выше этот участок "0" – неподвижным. Так что даже простейшее наблюдение дает основание заключить, что на участке пересечения прямых линий скапливается наибольшее количество Господнего сияния, но происходит это не только потому, что крест связывает нас с духовным миром, но и потому, что в любого вида кресте место взаимосоприкосновения линий представляет из себя нулевую точку пересечения этих линий! Итак, как бы мы ни переворачивали крест, место пересечения, т.е. середина, во всех случаях движется медленнее всего!

Совершенно не обязательно, чтобы крест был поделенным на углы в 90 градусов объектом. Вполне допустимо, чтобы он был и таким:



Между прочим, взяв две обыкновенные ровные палки и скрестив их одну с другой, убедимся, что, когда они окажутся во взаимопротивоположном направлении, издадут в точке соприкосновения некий звук, шум. Так что наверняка что-то происходит в нем. Я задумался над этим еще несколько лет назад. Однажды мы сидели в Нуниси у горящего костра, и он вдруг начал тлеть. Один из парней принес два полена дров и бросил их поверх золы параллельно *(так, как это изображено на иллюстрации на стр. 534).* Сколько он ни пытался раздуть огонь, прибавлялся только дым и ничего более. Спустя некоторое время над угасающим костром склонился другой участник наших бесед и тоже попытался раздуть

ქართული ბიბლიოთეკა

დავუშვათ ხელში გვიკავია ხის, ძვირფასი ლითონის ან მავთულის ჯვარი. თუ ჩვენ ზედა და ქვედა ბოლოებით ჯერ ვერტიკალურად დავატრიალებთ მას, ხოლო შემდეგ ჰორიზონტალური ბოლოებით გადავაბრუნებთ რამდენჯერმე, შევნიშნავთ, რომ ამ ჯვარის „0“ წერტილი ყველაზე უძრავი აღმოჩნდება. ამიტომაც ვუწოდე ზემოთ მის ამ მონაკვეთს „0“ — უძრავი ადგილი. ამგვარად, ელემენტალური დაკვირვებითაც კი დასაშვებია დავასკვნათ, რომ სწორ ხაზთა გადაკვეთის მონაკვეთში ყველაზე ბევრი უფალი დაგროვდება, მაგრამ ეს მოხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჯვარია და სულიერ სამყაროსთან გვაკავშირებს, არამედ იმის გამოც, რომ ნებისმიერი სახეობის ჯვარში, ხაზთა ურთიერთშეხების ადგილი წარმოადგენს ამ ხაზთა გადაკვეთის ნულოვან წერტილს! მაშასადამე, საითაც არ უნდა გადავატრიალ-გადმოვატრიალოთ ჯვარი, მისი გადაკვეთის (ე.ი, შუა) ადგილი ყველა შემთხვევაში ყველაზე ნელა იმოძრავებს!

აუცილებელი არ არის, ჯვარი იყოს მაინცდამაინც 90-გრადუსიან კუთხეებად დალაგებული ობიექტი. სრულიად დასაშვებია, რომ იგი იყოს ასეთიც:



სხვათაშორის, ორი ჩვეულებრივი სწორი ჯოხი რომ ავიღოთ და ერთმანეთს შემოვკრათ ისე, რომ ამ ორ ჯოხს ჰქონდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება, ჯოხები ხმას გამოსცემენ შეხების წერტილში. ე.ი, ნამდვილად რაღაც ხდება იქ. ამაზე ფიქრი ამ რამდენიმე წლით უკან დავიწყე. ერთ საღამოს ანთებულ კოცონთან ვისხედით ნუნისში. ცეცხლი რომ ჩანავლდა, ჩვენმა ერთ-ერთმა ნაცნობმა შეშის ორი ნაჭერი მოიტანა და ნაკვერჩხალზე დააწყო პარალელურად (როგორც ეს შემდეგ გვერდზე, მარცხენა ილუსტრაციაზეა დახატული). ბევრი უბერა თუ ცოტა, ბოლმა მოიმატა და სულ ეს იყო. ცოტა ხანში მეორე ნაცნობმა ჩაიმუხლა ჩამქრალ ცეცხლთან და რამდენჯერმე შეუბერა ნაკვერჩხალს. ცეცხლი კვლავაც არ ანთებულა. მე ჩემთვის ვიჯექი იქვე და როგორც სხვა ყოველივეს, ამ დეტალსაც ეზოთერიკოსის თვალით ვაკვირდებოდი. არადა ხომ საინტერესოა: ნაკვერჩხალი ძლიერია, ზედ მშრალი შეშებიც აწყვია, ბიჭები მორიგეობით უბერავენ, გადის 5 წუთი, 10, 15... ცეცხლი კი არ ინთება და ბოლავს.

— გივი, მიდი, შენი ჯერია, შეუბერე! — იუმორით შემახსენა პირველმა. მე იმ მომენტში დავასკვენი, რომ ვიდრე შეშის ნაჭრები პარალელურად ეწყო ნაკვერჩხალზე, ცეცხლი არ აინთებოდა თავისით და ვურჩიე მათ, პირველ რიგში შეშის ნაჭრები დაელაგებინათ ჯვრისებურად, არა მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



огонь. Он все не разгорался. Я спокойно сидел и глядел на происходящее взглядом эзотерика. Ведь как интересно: искры еще сильны, на них лежат сухие дрова, ребята по очереди раздувают огонь. Проходит 5 минут, 10, 15... Огонь не разгорается, и только валит дым.

– Гиви, твоя очередь, иди раздувать! – весело обратился ко мне один из парней. Я в этот момент пришел к выводу, что огонь от раздувания не разгорится, и предложил в первую очередь сложить полена крестом, и не только потому, что так полагается, но и потому, что в связи с их необходимым пересечением начинает происходить некий процесс, т.е. рождается колоссальная сверхэнергия, которая может оказаться причиной огня. Не поверили, но потом все же переложили дрова крестом. Я посоветовал не раздувать огня, а просто немного подождать. Не прошло и минуты, как в золе пробился огонь. Я тогда пытался объяснить суть креста и причину происшедшего. Кто понял, а кто и нет. В основном иронически улыбались...

Но что же все-таки происходит там, в ареале пересечения? Когда мы сталкиваем друг с другом два различных направления, или понятия, или явления с противоположными свойствами, они становятся причиной разрыва эфирного пространства, из которого начинает проявляться, доказывая свое наличие, существование, мощная энергия. Вот, оказывается, почему угасающий огонь разгорелся лишь тогда, когда дрова были переложены друг на друга крестом. Сознаю, что это мое утверждение может показаться детским предположением, если Я сейчас же не переключусь на главное, ради которого делал столь обширное вступление.

Допустим, мы в очередной раз поверили, что в ареале взаимопересечения в самом деле рождается энергия. Что же дальше?! Т.е. как ее использовать? Так что перехожу к главному...

Поверить в то, что Я сейчас сообщу, нелегко, но, оказывается, у природы есть такое свойство, что если, допустим, сделать в воздухе кистью руки движение в двух различных противополож-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВЕРНО! სწორია!



იმიტომ, რომ ასეა წესი, არამედ იმიტომ, რომ ორი შეშის ურთიერთგადაკვეთაა აუცილებელი, რის გამოც, სხვა როგორიღაცა პროცესი მიმდინარეობს იქ., ანუ წარმოიშობა კოლოსალური ზეენერგია, რაც ამასოფლის ცეცხლის მიზეზიც შეიძლება აღმოჩნდეს. არ დამიჯერეს, მაგრამ შეშის ის ორი ნაჭერი ერთიმეორეს გადაადეს. — არ შეუბეროთ, ბიჭებო, აცალეთ... — და დაველოდეთ. ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ნაკვერჩხალს ცეცხლი მოეკიდა. მე მათ იმ საღამოს ჯვარი და მისი არსი განვუმარტე. ზოგმა ვერ გაიგო. ჩაიღიმეს...

მაინც, რა ხდება იქ — გადაკვეთის არეალში? როდესაც ერთმანეთს დავაკონტაქტებთ საპირისპირო თვისებების მქონე ორ სხვადასხვა მიმართულებას, ან ცნებას, ან მოვლენას, ისინი მიზეზი ხდებიან გაიხსნას ეთერული სივრცე, საიდანაც ძლიერი ენერგია იწყებს თავისი არსებობის წარმოჩენას. აი, თურმე რატომ აინთო მინავლებული ცეცხლი მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთიმეორეზე ჯვრისებურად გადავაწყეთ შეშის ნაჭრები. ვიცი, ჩემი ასეთი თხრობა ბავშვურ მსჯელობას დაემსგავსება, თუ ახლავე არ გადავალ მთავარზე, რის გამოც ამოდენა შესავალი გავაკეთე.

დავუშვათ ერთხელ კიდევ დავიჯერეთ, რომ ურთიერთგადაკვეთის არეალში ნამდვილად წარმოიშობა ენერგია. შემდეგ!? როგორ გამოვიყენოთ იგი? ასე და ამგვარად, გადავდივარ მთავარზე...

ფრიად რთული დასაჯერებელია რაც ახლა უნდა გაუწყოთ, მაგრამ თურმე ბუნებას გააჩნია ისეთი თვისება, როდესაც დასაშვებია ხელის მტევნით სივრცეში შესრულო მოძრაობა ორი სხვადასხვა საპირისპირო მიმართულებით და ჰაერში წარმოსახული უხილავი არხების გადაკვეთის არეალში დაიბადოს თეთრი ენერგია. მაგალითად, წამოდექით, თუ გნებავთ ახლავე, გასწორდით წელში, მარჯვენა ხელი წინ გაიშვირეთ და ჯერ ზემოდან ქვემოთ დაუშვით გაშლილი ხელი, ხოლო შემდეგ შუაზე გადაკვეთეთ ჰორიზონტალურად თქვენს მიერვე შექმნილი ეს ვერტიკალური უხილავი ზოლი. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი გულმკერდის სიმაღლეზე სივრცეში ოდნავ განათდება. თქვენ ამ ნათელს ვერ დაინახავთ, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ იგი არსებობს! მაგრამ რატომ ვიქნიოთ ხელი სივრცეში უაზროდ და რატომ დავკარგოთ ჩვენგან შორიახლოს ჰაერში

ных направлениях, в месте пересечения невидимых изображенных каналов может родиться белая энергия. Например, встаньте, если угодно, сразу же, выпрямитесь, вытяните правую руку вперед и сначала опустите ее сверху вниз, а потом пересеките пополам горизонтально вами же проведенную невидимую эту же вертикальную линию. Будьте уверены, что на уровне вашей груди пространство слегка осветится. Вы этого сверхсвета не уловите, но здесь главное в том, что он существует! Но зачем нам бесцельно размахивать руками в пространстве и лишаться возникшей в непосредственной близости от нас сверхэнергии? Не предпочтительнее ли было бы производить подобные манипуляции поближе к телу... Начать лучше всего с движения пальцами от головы вниз, вдоль тела. Вторым же движением пересечь свою биоауру от плеча к плечу, горизонтально справа налево. При этом пространство раскрывается и в ареале пересечения двух этих движений пальцев возникает белое сверхсвечение. Вот, оказывается, друзья, что такое крестное знамение; вот что значит перекреститься! Итак, выполненное близ собственного тела перекрестное движение рукой *(или предметом)*, суть которого доныне не была разгадана, является причиной возникновения в ареале пересечения вертикальной и горизонтальной линий новой силы источника жизни, которым питаются равно как духовное, так и физическое тело! Чем чаще мы будем выполнять перед своим лицом и грудью такие движения, тем скорее покинет нас темное поле сатаны, поскольку крестное знамение – несравненный генератор проявления в мир сей белой энергии!

Раньше перед началом фехтования обычно в воздухе прорисовывали шпагами крест, чтобы создать в пространстве дополнительную энергию для поднятия воли к борьбе. Между прочим, подобные энергии прекрасно просматриваются и при использовании современной техники. Видимо, кое-кто при помощи этой техники распознал суть креста и выявил связанное с ним древнее табу, прикрывавшее знание о том, что в момент совершения крестного знамения в области грудной клетки усиливается некое белое свечение, которое затем распределяется по всему телу. Первая их реакция на это... – удивились бы! Но позже возникли новые "христианские" секты, отрицающие крест под предлогом того, что будто бы крест отрицателен из-за распятия на нем Спасителя. Мне же думается, что в действительности тем самым нашему народу перекрывают

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოჩენილი ზე-ენერგია? ხომ არ აჯობებდა ხელის ამგვარი მანიპულაცია ჩვენსავე სხეულთან აგვემოძრავებინა, ახლოს... მაშასადამე, დაიწყეთ და ჯერ თავიდან ტანისკენ ჩასერეთ სივრცე ხელის თითებით, ხოლო შემდეგ თითების მეორე მოძრაობით მხარიდან მხარისაკენ, მარჯვნიდან მარცხნივ — ჰორიზონტალურად გადასერეთ თქვენი ბიოაურა. ამ დროს სივრცე იხსნება და თითების ამ ორი მოძრაობის გადაკვეთის არეალში თეთრად ანათებს. აი, მეგობრებო, თურმე რა არის პირჯვარი! მაშასადამე, **პირადი სხეულის სიახლოვეს ხელით (ან საგნით) შესრულებული ეს დღემდე გამოუცნობი მანიპულაცია მიზეზი ყოფილა ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობების გადაკვეთის არეალში დაიბადოს ახალი ძალა — სიცოცხლის წყარო, რითაც ერთნაირად იკვებება როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სხეული!** რამდენადაც ხშირად შევასრულებთ ჩვენი სახისა და გულმკერდის არეში ასეთ მოძრაობებს, იმდენად მალე მიგვატოვებს სატანის მუქი ფერის ველი, რამეთუ პირჯვარი — თეთრი ენერგიის წუთისოფელში გამოვლინების უბადლო გენერატორია!

უწინ, ფარიკაობის დაწყებისას დაშნებს ჯერ ჯვრისებურად დაიქნევდნენ წინ, რათა დამატებითი ენერგიები შეექმნათ სივრცეში ბრძოლის უნარიანობის ასამაღლებლად. სხვათაშორის, ამგვარი ენერგიები მშვენივრად ჩანს თანამედროვე ტექნიკის გამოყენებითაც. ალბათ ვინმეებმა ამ ტექნიკის საშუალებით შეიტყვეს ჯვარის არსი და იციან მასთან დაკავშირებული ძველი ტაბუ, რომ პირჯვარის გადაწერის მომენტში გულმკერდის არეში იმატებს როგორიღაცა თეთრი ნათება, რომელიც შემდეგ სრულიად სხეულზეც ნაწილდება. ალბათ, მათი პირველი რეაქცია — გაუკვირდებოდათ... მაგრამ მოგვიანებით შექმნეს ახალი „ქრისტეანული“ სექტები, სადაც პირჯვარი იკრძალება იმ გამართლებით, რომ თითქოს ჯვარი უარყოფითია მასზე მაცხოვარის ჯვარცმის გამო. სინამდვილეში კი მეფიქრება, რომ ამით ჩვენს ხალხს გზა გადაუკეტეს პირჯვარის გადაწერის მომენტში წარმოჩენილი ახალი ენერგიებისაკენ, რითაც პირველ რიგში ადამიანის ქვეცნობიერებას უნდა ეკვება. სიმართლე რომ გითხრათ, კაცობრიობას ზე-ენერგია უფრო შია დღეს, ვიდრე ამასოფლის საკვები. მაგრამ დახეთ, რა ხდება: ურწმუნოებმა ხომ არ აღიარეს თვითონ ჯვარი, ახლა კი სრულიად საქრისტეანოს ასულელებენ სექტებით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ნუ ავკრძალავთ ნაძალადევად უცხოელთა სექტების არსებობას, რადგან ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიულ აზროვნებას. მოდით, ჯერ სწორად ვასწავლოთ დაბნეულ მორწმუნეებს, რომ პირჯვარი წარმოადგენს სრულიად დადებით და სასარგებლო მისტერიას, ხოლო დანარჩენი თვითონ გადაწყვიტონ — დარჩნენ სექტების ზემოქმედების ქვეშ თუ არა.

путь к возникающим в момент осенения кресным знамением новым энергиям, которые в первую очередь призваны питать подсознание человека. По правде говоря, человечество ныне больше нуждается в сверхэнергии, нежели в насущной пище. Но взгляните, что происходит: неверующие не приняли, не признали креста сами, а теперь одурманивают сектами верующих. Несмотря на все это, не стоит насильственно запрещать иностранные секты, поскольку это противоречит демократическому мышлению. Лучше объяснить всем, сбившимся с пути истинного, что перекреститься – абсолютно положительная и полезная мистерия, а потом пусть каждый решает сам – оставаться ли ему под влиянием секты или нет.

* * *

Все вокруг распято

Прошу вас подготовиться к тому, что содержание предстоящей беседы будет чрезвычайно трудным.

Если внимательно присмотреться к окружающему, например, к дереву *(на сей раз имеется в виду обыкновенное дерево, растение)*, замечаешь, что оно распято; любое возведенное человеком строение распято; распят сам человек; представьте себе, что и наша планета распята; распяты четыре времени года, поскольку распята ныне и сама Вселенная. Что все это означает? Ответ на это имеется.

Я сейчас поясню вам табу всеобщего распятия, и станет ясно, что мое повествование далеко не поток пустых слов. Мне необходимы только желание и доверие читателей, убежденность в том, что предмет наших сегодняшних суждений и, если хотите, споров, – абсолютная реальность! А для этого необходимо читать эту главу книги особенно медленно и сосредоточенно. Я со своей стороны окажу помощь небольшими иллюстрациями, чтобы у вас сложилась в сознании полная картина того, вокруг чего будет развиваться на сей раз наша беседа эзотерического характера.

О назначении креста вы, наверное, задумывались нередко, но вот о строении – вряд ли. Предлагаю вам сейчас присмотреться к конструкции креста и задуматься над причиной всех четырех его направлений, выявить, где скрывается тайна парадоксального строения всей Вселенной. Я уже говорил ранее, что жесткий крест представляет из себя результат взаимоскрещения вертикального и

ქართული
ბიბლიოთეკა

ირგვლივ ყველაფერი ჯვარცმულია

გთხოვთ განეწყოთ, ამ საუბრის მიზეზი უაღრესად რთული თემაა.

თუ უკეთ დავაკვირდებით ყოფიერებას, მაგალითად, ხეს (ამჯერად ჩვეულებრივი ხე მაქვს მხედველობაში, მცენარე), იგი ჯვარცმულია; კაცობრიობის ნებისმიერი შენობა ჯვარცმულია; ადამიანიც ჯვარცმულია; თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი პლანეტაც კი ჯვარცმულია, წელიწადის ოთხი სეზონიც ჯვარცმულია, რამეთუ თვით სამყაროა დღეს ჯვარცმული. რას ნიშნავს ყოველივე ეს? პასუხები არსებობს.

მე ახლა ავხსნი ყველაფრის ჯვარცმის ტაბუს და ადვილად დაადგენთ, რომ ჩემი თხრობა არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი და ცარიელი სიტყვების კორიანტელს. ოღონდ, მესაჭიროება მკითხველის დიდი სურვილი და ნდობა იმისათვის, რომ რაზეც ახლა უნდა ვიმსჯელოთ და გნებავთ ვიკამათოთ, – სრული რეალობაა! ამისათვის კი აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღებით და ნელა გადაიკითხოთ ამ წიგნის ეს ეპიზოდი. მე ჩემი უბრალო ილუსტრაციებითაც წაგეხმარებით, რათა უკეთ წარმოვსახო თქვენში იმისი სრული სურათი, თუ რაზე განვითარდება ამჯერად ჩვენი ეზოთერული ხასიათის მქონე საუბარი.

• • • •

ალბათ ჯვარზე და მის დანიშნულებაზე ხშირად გიფიქრიათ, მაგრამ ალნაგობაზე – არა. გთავაზობთ ამჯერად ჯვარის კონსტრუქციას დავაკვირდეთ ყურადღებით და მისი ოთხივე მიმართულების მიზეზები მოვიძიოთ, სადაც სამყაროს პარადოქსალური წყობის სრული საიდუმლოებაა თავშეფარებული. ერთი ადრეც ითქვა და ალბათ უკვე გასაგებია, რომ მკაცრი ჯვარი წარმოადგენს ვერტიკალურისა და ჰორიზონტალურ მიმართულებათა ურთიერთგადაკვეთის შედეგს, რომელიც ძირითადად ოთხი 90-გრადუსიანი გონიოსაგან შედგება... (ამისი ილუსტრაცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ამ, თითქოს დაშლილი ჯვარის გამოსახულებას ასევე ხატავდნენ ფაშისტები მათსავე საბრძოლო ტექნიკაზე. აი, რას უნდა მივაქციოთ აქ ყურადღება, რომ ოთხი გონიოს ასეთი კომბინაცია მის შიგნითა სივრცეში გვაძლევს თეთრ ჯვარს – ჯვარის თეთრ სილუეტს! ფაქტია.

ჯვარის ალნაგობა გულისხმობს ორმაგ პარადოქსს: ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურს! ასე რომ, თვით პარადოქსებიც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რაზედაც ამჯერად ვისაუბრებთ.

ჯერ ჯვარის შინაარსს დავაკვირდეთ უკეთ...

горизонтального направлений, дающих по существу четыре угла по 90 градусов *(вот и иллюстрация)*. Это изображение как бы разъятого креста ставили фашисты на своей боевой технике. Нам следует в данном случае обратить внимание на то, что подобная комбинация четырех угольников в их внутреннем пространстве дает нам белый крест – светлый силуэт креста! Это факт.



Строение креста содержит и подразумевает двойной парадокс: вертикальный и горизонтальный! Так что и сами парадоксы отличаются друг от друга, о чем мы также побеседуем.

Вначале получше присмотримся к содержанию креста...

Представим, что мы укрепили какой-либо крест нижним концом на столе или на земле. Бросим на него взгляд эзотерика и сделаем вывод, что верхний и нижний его концы резко отличаются один от другого и нельзя утверждать, что насколько начало и конец по сути различны, настолько он – един! Т.е. говорить об этом не приходится хотя бы потому, что в мире сем верх и низ – разные! Небо никогда не станет землей, а земля – небом! И мы имеем полное право верхний конец креста соотнести с Всевышним – началом добра и любви, а нижний с демоном – причиной зла. Эти два понятия никогда не окажутся схожими! Здесь следует обратить внимание и на то, что верхний конец креста обращен к небу, направлению, противоположному земле, а нижний устремляется к центру земли. Присмотритесь: **в этот момент крест накрепко держит за нижний конец земля!** Итак, насколько в данном случае три конца креста свободны и видимы, настолько четвертый конец, укрепленный на столе или на земле, нам не виден. Нижний конец креста не виден и тогда, когда мы его держим в руках. Стало быть, нельзя говорить о том, что при вертикальном положении у двух его концов – начала и конца – есть что-либо общее. Но парадокс не был бы парадоксом, если бы не вступил с нами в спор и в этом случае не принялся доказывать, что поскольку у двух вертикальных концов нет общего содержания, постольку они схожи друг с другом, скажем, тем, что оба – концы, и верхний, и нижний! Факт, что мы сталкиваемся сейчас с сумятицей парадоксов... Что преподносит нам такое множество разнообразных, взаиморазличных "данет"? Упорядоченный мир, в котором мы все вместе живем. Итак, крест – ключ к правильному и здоровому мышлению!

Взглянем теперь на вторую, горизонтальную линию креста...

წარმოვიდგინოთ, რომელიმე ჯვარი მისი ქვედა ბოლოთი დავამაგრეთ მაგიდაზე ან მიწაზე. ახლა ეზოთერიკოსის თვალით შევხედოთ მას და დავასკვნათ, რომ ამ ჯვარის ზედა და ქვედა ბოლოები აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და არ შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც განსხვავდებიან არსით თავი და ბოლო, იმდენად – ერთია! მაშასადამე, ამისი თქმა დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ ამასოფელში ვერასოდეს გახდება ზედა ქვედა, და ქვედა – ზედა! ე.ი, ცა არასოდეს გახდება მიწა, და მიწა – ცა! სრული უფლება გვაქვს ჯვარის ზედა ბოლო შევადაროთ უზენაესს – სიკეთისა და სიყვარულის თავს, ხოლო ქვედა ბოლო დემონს, – ბოროტების მიზეზს. ეს ორი ცნება ვერასოდეს გახდება მსგავსი! აქ ასეთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჯვარის ზედა ბოლო ცისკენ იცქირება, დედამიწიდან გარე მიმართულებით, ხოლო ქვედა ბოლო მიწის ცენტრისკენ არის მიმართული. კარგად დააკვირდით: **ამ დროს ჯვარი მიწას უკავია მყარად ქვედა ბოლოთი!** ამგვარად, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჯვარის სამი ბოლო თავისუფალია და ვხედავთ, იმდენად მის მეოთხე, მიწაზე ან მაგიდაზე დადებულ ქვედა ბოლოს ვერ დავინახავთ. ჯვარის ქვედა ბოლო არ ჩანს მაშინაც, როდესაც იგი ხელში გვიკავია. ამდენად, არ შეიძლება იმისი თქმა, რომ მისი ვერტიკალური მდებარეობის ორ ბოლოს – თავსა და ბოლოს საერთო აქვთ რაიმე. მაგრამ პარადოქსი რისი პარადოქსია თუ არ გამოგვედავა და, იგი ამ შემთხვევაშიც დაგვიმტკიცებს, რომ რამდენადაც არ გააჩნია ორ ვერტიკალურ ბოლოს ერთი საერთო შინაარსი, იმდენად მაინც ჰგვანან ერთმანეთს თუნდაც იმით, რომ ორივე ბოლო – ბოლოა, ზემოთაც და ქვემოთაც! ფაქტია, ჩვენ ახლა პარადოქსების კორიანტელთან აღმოვჩნდით... რას გვაძლევს ამდენი განსხვავებული სახის „არა-კი“? – მოწესრიგებულ სამყაროს, რაშიც ჩვენ ყველა ერთად ვცხოვრობთ. ამრიგად, ჯვარი – გასაღებია სწორი და საღი აზროვნებისა!

ახლა გავხედოთ ჯვარის მეორე, ჰორიზონტალურ ზოლს...

მალევე დავასკვნით, რომ მის ამ მეორე მიმართულებას არ გააჩნია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსი, როდესაც მათი მდგომარეობა სრულიად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამ მხრივ უკვე პირიქითაა ბუნება აგებული და ეს ორი ჰორიზონტალური ბოლო ძალზედ წააგვანან ერთმანეთს. მაშასადამე, ასეთ დასკვნაზე, რომ ეს ორი ბოლო – სხვადასხვაა, პარადოქსი შეგვახსენებს: „რამდენადაც სხვადასხვაა ჰორიზონტალური მდგომარეობის ორივე ბოლო, იმდენად ძალზედ ჰგვანან ისინი ერთმანეთს“! ალბათ დავიბენით... ვფიქრობ, უკეთესი იქნება დავხატო ჯვარი და მისი ბოლოების სიახლოვეს მივუთითო მათი შინაარსიდან გამომდინარე ცნებები არა მხოლოდ ჯვარს, არამედ ადამიანს, მცენარეს, ნაგებობას...





Мы незамедлительно придем к выводу, что в этом втором направлении не содержится двух взаимопротивоположных начал, когда их положение совершенно несходно. В этом смысле природа распорядилась по-иному, наоборот, и два горизонтальных конца очень схожи друг с другом. Но парадокс подводит нас к выводу, что и эти два конца различны: "насколько два конца горизонтального положения различны, настолько же они очень схожи между собой тем, что оба конца – концы"! Тут можно и запутаться... Думаю, было бы лучше изобразить крест *(см. эту иллюстрацию выше)* и у его концов обозначить вытекающие из их содержания понятия, распространяющиеся не только на крест, но и на человека, растение, строение...

Предложу вам иллюстрацию из I тома этой книги. Изображен человек с раскинутыми руками. Рядом с ним вычерчен крест со всеми его направлениями и содержанием. Сравните, крест и человек очень схожи по своему общему строению. Т.е. насколько абсолютно отличаются друг от друга верхняя и нижняя части человека, и голова никогда не обратится в ноги, и напротив, ноги не станут головой, настолько в горизонтальном плане мы, наподобие креста, предельно сходны и на одном конце видим руку и на другом – тоже руку! Недаром же Я говорил, что каждый человек, все люди распяты, именно это и имелось в виду, хотя, по тому же парадоксу, и руки отличаются одна от другой.

Присмотримся сначала к обыкновенному дереву *(здесь же, справа)*, а потом обратимся для примера к парижской Эйфелевой башне. В частности, поскольку верхушка и основание дерева абсолютно отличны одно от другого, постольку стороны его предельно сходны между собой – у них нет ни верхушки, ни основания. Тем самым строение дерева уподобляется строению креста. Таково же





ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად შემოგთავაზებთ ერთ ილუსტრაციას ამავე წიგნის I ტომიდან. შეხედეთ, კაცია, რომელსაც ხელები გაუშლია. მის გვერდით ჯვარია დახაზული მისი ყველა მიმართულებითა და შინაარსით. შეადარეთ, ჯვარი და ადამიანი ძალზედ წააგვანან საერთო აღნაგობით ერთმანეთს. ახლა ასეთი რამეც გავაანალიზოთ, რომ რამდენადაც აბსოლუტურად განსხვავდება ადამიანის ზემოთა და ქვემოთა ნახევარი ორი ვერტიკალური ბოლოთი და თავი ვერასოდეს გახდება ფეხი, ან პირიქით, ფეხი არ გახდება თავი, იმდენად ჩვენი ჰორიზონტალური მდგომარეობით ძალზედ ვგავართ ჯვარს და ერთ ბოლოში გახედავთ — ხელია, მეორე ბოლოში გახედავთ და კვლავაც ხელია! აკი გითხარით, ყოველი ადამიანიც ჯვარცმულია. აი, ეს ვიგულისხმე და ვთქვი., თუმც პარადოქსით, ხელებიც განსხვავდებიან.

ჯერ ერთ ჩვეულებრივ ხეს დავაკვირდეთ, აქვე, მარცხნივ, ხოლო შემდეგ სამაგალითოდ პარიზის „ეიფელის“ კოშკსაც გამოვიყენებ. კერძოდ,





რამდენადაც ხის კენწერო და ძირი აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იმდენად მისი ყოველი მხარე წააგავს ერთიმეორეს და კენწერო ან ძირი არა აქვს. ამ მხრივ ხე და მისი აღნაგობა ჯვარის აღნაგობას უტოლდება. აღნაგობის ასეთივე შინაარსს ატარებს ცნობილი ფრანგი ინჟინერ-მშენებელის — **ეიფელის** ეს ხელოვნური ნაგებობაც. ამგვარად, თურმე ეს კოშკიც ჯვარცმულია, მაგრამ არ ვიცოდით. და გავიხსენოთ...

содержание конструкции сооружения известного французского инженера – Эйфеля. Таким образом, оказывается, что распята и Эйфелева башня. То же самое можно сказать о любом здании, так как, если по вертикали его крыша и фундамент абсолютно различны *(при обходе здания вокруг не видны ни то, ни другое)*, то все его стены носят одинаковое содержание и различаются разве что количеством окон и дверей на каждой, да и то по милости упрямства парадокса. Таким образом, любое здание подчиняется формуле креста, и пока мы обретаемся в мире, все здания и любые помещения находятся в плену сверхвоздействия креста. Что интересно, распяты и день и ночь, и все четыре времени года... Вот подтверждающие это примеры: расположим на кресте весну, лето, осень и зиму. И тотчас же придем к выводу, что насколько абсолютно отличаются друг от друга зима и лето, настолько же протяженностью дней и ночей, температурой чрезвычайно сходны весна и осень, с одним лишь различием: по неуемному желанию парадокса, насколько весна и в самом деле походит на осень по характеру, хотя бы тем, что побуждает нас одинаково одеваться, настолько два эти времени года и различны – одно пробуждает природу и приближается к лету, другое же ее усыпляет и берет курс на зиму. Представьте себе, что распят и 24-часовый цикл дня и ночи, и насколько абсолютно различны день и ночь, настолько схожи количеством света утро и вечер, однако утро и вечер должны все-таки чем-то разниться: если одно из них нас пробуждает, то другой склоняет ко сну. По принципу креста построена и вся Вселенная.

Когда человек устает, он "измореба" *(потягивается)*, что способствует вбиранию в организм энергии. Об этом свидетельствует и строение этого грузинского слова – "изм-ореба" *(раз-двоение)*. Но оказывается, достаточно всмотреться в потянувшегося человека, чтобы стало ясно, какого характера энергии ему недостает. Например, если у кого недостаточно общей плюсовой-минусовой энергии, он раскидывает руки горизонтально и старается уподобиться кресту. Тот же, кто испытывает недостачу небесного поля, при потягивании простирает руки кверху, в направлении, противоположном Земле, к тому же с разжатыми, прямыми пальцами. В это время кисти его рук – духовные антенны! Если же кто-то потягивается по-детски, т.е. устремляет руки к небу, но с одним различием, со сжатыми пальцами, т.е. подсознательно

იგივე შეგვიძლია ვთქვათ შენობაზე, რადგან, რამდენადაც სრულიად განსხვავდებიან ვერტიკალური წყობით მისი სახურავი და საძირკველი... (შენობის ირგვლივ შემოვლის შემთხვევაში არც სახურავი ჩანს მისი, არც საძირკველი), იმდენად თითქმის ერთ შინაარსს ატარებს შენობის ყოველი კედელი და ისინი მხოლოდ და მხოლოდ კარ-ფანჯრების ოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და ესეც პარადოქსის სიჯიუტის გამო. ამგვარად, ნებისმიერი შენობაც ჯვარის ფორმულას ექვემდებარება და ვიდრე წუთისოფელში ვართ, ყველა ნაგებობა და ნებისმიერი ოთახიც კი ჯვარის ზემოქმედების ტყვეობაშია მოქცეული. რა საინტერესოა, რომ ჯვარცმულია დღე-ღამეც, წელიწადის ოთხივე სეზონიც... აი, ამისი დამადასტურებელი მაგალითები: ჯვარზე განვალაგოთ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. მალევე დავასკვნით, რომ რამდენადაც აბსოლუტურად განსხვავდებიან ზაფხული და ზამთარი, იმდენად დღეთა სიდიდით და ტემპერატურით ძალზედ ჰგვანან ერთმანეთს გაზაფხული და შემოდგომა, ოღონდ ერთი განსხვავებით: პარადოქსის აკვიატებული სურვილით, რამდენადაც გაზაფხული მართლა ჰგავს ხასიათით შემოდგომას თუნდაც იმით, რომ ერთნაირად ვიცვამთ, იმდენად ეს ორი სეზონიც განსხვავდებიან — ერთი აღვიძებს ბუნებას და ზაფხულს უახლოვდება, ხოლო შემოდგომა აძინებს ბუნებას და ზამთრისკენ იღებს გზს. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯვარცმულია 24-საათიანი სადღეღამისო ციკლიც და რამდენადაც აბსოლუტურად განსხვავდებიან დღე და ღამე, იმდენად ერთმანეთს ჰგავს სინათლის ოდენობით დილა და საღამო, ოღონდ, ალბათ თვითონვე დაასკვნიდით ამჯერად, თვით დილა-საღამოც აუცილებლად უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან რაღაცით: თუ ერთ-ერთი მათგანი გვაღვიძებს, მეორე — გვაძინებს. ჯვარის პრინციპითაა აგებული სრულიად სამყაროც.

როდესაც ადამიანი დაიღლება, — იზმორება, რაც ენერგიების შესრუტვას ნიშნავს. ამაზე მეტყველებს თვით ეს სიტყვა — „გაზმ-**ორება**“! მაგრამ თურმე საკმარისია უკეთ დავაკვირდეთ გაზმორებულ ვინმეს და გასაგები გახდება, თუ რა სახის ენერგია აკლია მას. მაგალითად, თუ საერთო პლუს-მინუს ენერგია მოაკლდა ვინმეს, იგი ხელებს შლის ჰორიზონტალურად და ცდილობს ჯვარს დაემსგავსოს; თუ ვინმეს ზეციური ველი მოაკლდა, გაზმორებისას ზევით, ე.ი, დედამიწიდან გარე მიმართულებით ასწევს მკლავებს, თანაც გაშლილს, სწორი თითებით. ამ დროს მისი ხელის მტევნები — სულიერი ანტენებია! მაგრამ თუ ნამეტანი ბავშვურია ვინმე და გაიზმორა, მკლავებს კვლავაც ზეცისკენ აიშვერს, მაგრამ ერთი განსხვავებით: თითებს მომუჭავს, რითაც ქვეცნობიერად კეტავს გარე სასუფეველის ველს, მეტი აღარ ესაჭიროება და იმიტომ, რის სანაცვლოდაც დედამიწის სიხშირეები ემატებათ ასეთებს. მაშასადამე, მინუსი ჰკლებიათ მათ.

35. „მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა“, III ტომი.

замыкаемым внешним полем, это означает, что ему не требуется излишества и поэтому возмещение энергии в нем происходит за счет частот Земли. Стало быть, ему недоставало минуса.

* * *

Как правильно креститься

Когда Я приехал из деревни в Тбилиси и стал работать в церкви, приходилось часто слышать споры прихожан о том, как следует правильно осенять себя крестным знамением и какое в это время положение должны принимать пальцы руки. Одни говорили одно, другие – другое. Предлагаю вам свое собственное соображение по отмеченному вопросу...

Приступая к конкретному развитию темы, необходимо вспомнить отрицательный характер цифры "6", поскольку, исходя из своих очертаний, она вампир, поглотитель. Уточним...

При написании "6" мы опускаем перо на какую-то одну точку и начинаем от нее вычерчивать нечто похожее на витую спираль в направлении, противоположном движению часовой стрелки. Движение же вспять означает путь сатаны *(взгляните на кадр С рисунка справа, где стрелками показано направление написания цифры).* Абрис подобного знака характеризуется поглощением поля. Это обусловливается строением "6". Оно таково, и нам его не изменить! Если в комнате изобразить "6", она лишит поля комнату; если "6" опустить в карман, она отнимет у организма его владельца биоауру... Противоположными ей свойствами характеризуется цифра – "9", вычерчивающаяся наоборот и так же размыкающаяся.

Сущность "6" может гнездиться и в соединении пальцев в момент, когда человек крестится, что способствует высасыванию биоауры из лица. А это уже способ медленного одурманивания.

Не могу сказать, с какого времени, но среди паствы грузинской церкви утвердилась привычка складывать пальцы по принципу "6", и в последние века именно так и крестятся. Но это недопустимо! В это время в пальцах замечаются три "6". Настаивают, будто такое сочетание трех пальцев символизирует святую Троицу, и большой палец отождествляют с Отцом, а указательный и средний соответственно с Сыном и Духом святым. Настолько неприемлемо это для меня, что не могу даже найти объяснения

როგორ გადავიწეროთ სწორად პირჯვარი

რაც სოფლიდან თბილისში ჩამოვედი და ჩვენს ეკლესიას დავუახლოვდი, მუდამ მესმოდა მრევლში კამათი იმის შესახებ, თუ როგორ გადავიწეროთ სხეულზე სწორად პირჯვარი და ხელის თითების როგორი მდგომარეობაა ამ დროს საჭირო. ზოგი რას ამბობდა, ზოგიც რას. გთავაზობთ პირად მოსაზრებას აღნიშნული საკითხის ირგვლივ...



ვიდრე კონკრეტულად ამ თემას განვავრცობდე, საჭიროა გავიხსენოთ „6“-ანის უარყოფითობა, რადგან ეს ციფრი მისი მოხაზულობიდან გამომდინარე ვამპირია, შთანმთქმელი. დავაზუსტებ...

„6“-ანის წერისას საწერს ვადებთ ერთ რომელიღაცა წერტილში და ვიწყებთ ამ წერტილიდან ჩახვეული სპირალის მაგვარი წრეწირის შემოხაზვას საათის ისრების საწინააღმდეგოდ. უკუსვლა კი უკვე სატანის გზას ნიშნავს... (იხილეთ აქ შემოთავაზებული ნახატის C კადრი, სადაც ისრებითაა ნაჩვენები ამ ციფრის წერის მიმართულება). ამგვარი ნიშნის მოხაზვას ახასიათებს ვნების შთანთქმა. ამას განაპირობებს „6“-ანის ალნაგობა, იგი ასეთია, ვერ შევცვლით! თუ ოთახში დახატავთ „6“-ანს, ოთახის ვნებს წაგართმევთ; თუ ჯიბეში ჩაიდებთ „6“-ანს, პირადი ორგანიზმის ბიოაურას გაგაცლით... მისგან საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება ციფრი – „9“, იწერება პირიქით და გამხსნელია.

დასაშვებია „6“-ანის არსმა ჩაიბუდოს თითების კომბინაციაშიც, პირჯვარის გადაწერის მომენტში, რითაც ჩვენი ბიოაურის გაწოვა მოხდება სახის არედან. ეს კი ნელნელა გამოთაყვანებას ნიშნავს.

არ ვიცი როდიდან, მაგრამ ქართული ეკლესიის მრევლში დამკვიდრდა თითების მომუჭვა „6“-ანის პრინციპით და ბოლო საუკუნეებში ასე იწერენ პირჯვარს. არ შეიძლება! ამ დროს თითებში სამი „6“-ანი შეინიშნება. აუჩემებიათ, რომ თითქოს სამი თითის ასეთი კომბინაცია წარმოადგენს წმიდა „სამების“ სიმბოლიზაციას და ცერა თითს აიგივებენ ზე-მამასთან, ხოლო საჩვენებელსა და შუა თითს – ძე და სულიწმიდა შეარქვეს. იმდენად გაუგებარია ეს ჩემთვის, რომ ახსნა ვერ მოვუძებნე ფარისეველთა ასეთ ახირებას. ვეკითხები, – გამარკვიეთ-მეთქი... – მაგრამ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის „სამება“. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ძველქართული ფრესკები

подобной странности фарисеев. – Прошу растолковать мне! – попросил Я их, но они и понятия не имеют, что такое Троица. И подобное происходит при том, что древнегрузинские фрески фиксируют совершенно другое соединение пальцев: большой палец должен быть связан с безымянным, указательный со средним, а мизинец рассекать пополам окружность, образованную средним и безымянным пальцами, что придает имитации фаллоса очертания буквы "Ф" *("ф" в русс.)* грузинского алфавита "Асомтаврули". Такому по грузинским фрескам учит нас Иисус Христос; этому следует царь Давид Агмашенебели *(см. иллюстрацию справа от вас).* На первый взгляд, "6" улавливается и в таком сочетании пальцев, но на самом деле она имеет и иное олицетворение, из-за чего пальцы напоминают как "6", так и "9". Это факт!

Эта моя реплика не преследует цели кого-либо оскорбить. Я ее адресую будущему. Не думаю, но, может быть, мы и уцелеем после горестных испытаний нынешнего времени, и тогда нужно будет знать, что принятый сегодня способ креститься не несет ничего доброго и без того переутомленному человеку и что имитация "6" лишь отнимает у нас белое поле, которое, напротив, должно приобретаться. Так что "6" у лица нечего делать.

Итак, заключим: 1) первейшая цель крестного знамения – моментальное причащение к Господу;

2) Правильная манипуляция, создающая имитацию креста, в месте пересечения горизонтального и вертикального движений создает энергетический импульс, которым питается нервная система человека. Возникновение белого импульса характеризует пересечение двух взаимопротивоположных направлений. Таким образом, движения пальцев сверху вниз и справа налево становятся причиной увеличения и высветления личной энергетической биооболочки;

3) Осенение крестом лица способствует также перераспределению скопившегося вокруг черепа богатого биозапаса на тело, поскольку из-за остеохондроза или подобных ему заболеваний проходящие между шейными позвонками нервы порой загрязняются и утрачивают способность пропускать биоинформацию. Это вызывает упадок пафоса и повышение внутричерепного давления. Так что крестное знамение очень помогает нам в распределении биополя из области лица вниз, к телу. С такою же целью мусульмане проводят кистью руки от лица к телу с возгласом "омменн". Фак-

სხვაგვარად გვასწავლიან პირჯვარის კომბინაციას: შეკრული უნდა იყოს ცერა არათითთან, საჩვენებელი თითი კი დიდ თითთან, ხოლო ნეკა თითი შუაზე უნდა კვეთდეს ცერათი და არათითით მიღებულ სიმრგვლეს, რაც ფალოსის იმიტაციას – ქართული „ასომთავრული“ ანბანის "ф" (ფ) ასოს მოხაზულობას ჰქმნის. ასე გვასწავლის ქართული ფრესკებით იესო; ასე გვასწავლის დავით აღმაშენებელი... (ამისი საჩვენებელი ილუსტრაციაც აქვს). ერთი შეხედვით, მოსალოდნელია თითების ასეთ კომბინაციაშიც შენიშნოთ „6“-ანი, მაგრამ სინამდვილეში იგი ბორჯღალსაც განასახიერებს, რის გამოც თითები ერთნაირად ემსგავსებიან როგორც „6“-ანს, ასევე „9“-ანს. ფაქტია!



ჩემი ეს რეპლიკა არ ამცირებს არავის და ნუ მივიღებდით ამ შენიშვნას შეურაცხყოფად. ამას ვაქვეყნებ სამომავლოდ. არა მგონია, მაგრამ იქნებ გადავრჩეთ ბოლო ჟამის მოოხრებისაგან და იცოდეთ, რომ პირჯვარის სადღეისოდ აღიარებულ მანიპულაციას არაფერი სასიკეთო არ მოაქვს ისედაც გადაღლილი ადამიანებისათვის, და რომ თითების „6“-ანის იმიტირება მხოლოდ გვართმევს იმ თეთრ ველს, რაც პირჯვარის მომენტში უნდა შეგვეძინა. აბა, რა უნდა „6“-ანს სახის არეში...

დავასკვნი: 1) ადამიანის სხეულზე პირჯვარის გარდასახვის უპირველესი მიზანია მომენტალური ზიარება უფალთან;

2) პირჯვარის სწორი მანიპულაცია, რითაც ჯვარის იმიტირებას ვახდენთ, ხელის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობების გადაკვეთის ადგილზე ჰქმნის ენერგეტიკულ იმპულსს, რითაც ადამიანის ნერვული სისტემა იკვებება. თეთრი იმპულსის წარმოშობა ახასიათებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების გადაკვეთას. ამგვარად, თითების მოძრაობა ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ მიზეზი ხდება გავაბევროთ და გავათეთროთ პირადი ენერგეტიკული ბიოგარსი;

3) სახეზე პირჯვარის გადაწერა გვეხმარება აგრეთვე თავის ქალას ირგვლივ დაგროვილი უხვი ბიომარაგის სხეულზე გადმონაწილებაში, ვინაიდან ოსტეოხონდროზისა და სხვა ამდაგვარი დაავადებების გამო, კისრის მალებს შორის გამავალი ნერვები ზოგჯერ ბინძურდებიან და ალარ ატარებენ ნერვებში ბიოინფორმაციას. ეს იწვევს სხეულის პათოსის დაქვეითებასა და თავის არეში ქალას შიდაწნევის მომატებას. ამგვარად, პირჯვარი დიდად გვეხმარება ბიოველის გადმონაწილებაში სახის არედან ქვემოთ, სხეულისაკენ. იგივე მიზნით, ისლამის წარმომადგენელი სახიდან

тически подобная манипуляция кисти – один из методов регулирования биобаланса от головы к телу, и это движение преследует важную эзотерическую цель.

Крест – положительное и божественное явление! Его можно применять и для излечения. Сомневаетесь? Проверим! Например, если вас охватили отрицательные эмоции, быстро трижды перекреститесь и прислушайтесь к себе: тяжелые думы рассеются!

Второй метод: если вас беспокоит воспаление суставов в области колен или в иных участках тела *(этот недуг обычно называют "солями")* и вам ничего не помогает, в день три, четыре или более раз устройтесь в удобном месте, слегка согните больную ногу и указательным пальцем правой руки, будто обмакнутым в чернила, семь раз "выпишите" крест в области колена, касаясь пальцем кожи. Не имеет значения, какого размера крест будет прочерчен. Таким путем вам удастся снаружи излечить также и свою печень, селезенку, желудок, мочевой пузырь... Чем исцеляется орган? Крестом? Нет, белым полем, которое порождается крестом. Для лечения почек и легких прибегните к помощи близких, попросите, чтоб они прочерчивали у вас на спине крест. Только и всего! Если вы будете повторять эту манипуляцию часто, то, скажем, в области колена результат получите месяца через два и беспрепятственно и без затруднений встанете на ноги.

О мистерии креста Я буду беседовать и впредь. Это только начало... Что же касается вопроса распятия Вселенной, то о нем речь пойдет в 4-м томе этой книги.

А сейчас мы переходим к одной из величайших – с моей точки зрения – тем, которой в последние века никто не касался. Она была на протяжении тысячелетий настолько плотно закрыта, что никому и на ум не приходило хотя бы пошутить в связи с ней. Итак, вспомним ту единственную, самую неподвижную точку Вселенной, которая предана забвению и обретается здесь, в подземном мире. Сорвем завесу и с этой великой мистерии, чтоб современное человечество узнало наконец о малом центре великой Вселенной, который по своей сути и качеству больше Вселенной. Итак, вспомним вторую тайну открытого пространства с его точным местоположением, которое и ныне служит вратами для перехода душ в параллельный мир. Об этом уже говорилось в предыдущих томах этой книги.

А сейчас Я даю слово миру ученых. Послушаем их.

ხელის მტევანს ჩამოაცურებს საკუთარ ტანზე და იტყვის: „ოომენნ“! ფაქტიურად, ხელის მტევნის ამგვარი მანიპულაცია ერთ-ერთი მეთოდია ბიობალანსის რეგულირებისა თავის არედან სხეულისაკენ და ამ მოძრაობას ღრმა ეზოთერული მიზანი აქვს.

ჯვარი — დადებითი და ღვთიური მოვლენაა! მისი გამოყენებით შეგიძლიათ იმკურნალოთ კიდეც. არ გჯერად? შევამოწმოთ! მაგალითად, თუ უარყოფითმა ფიქრებმა შეგიპყროთ, სასწრაფოდ სამჯერ გადაიწერეთ პირჯვარი და დააკვირდით: ცუდი ფიქრები გაგიქრებათ!

მეორე მეთოდი...

თუ სახსრების ანთება გაწუხებთ მუხლების არეში ან სხვაგან და ვერ შველით („მარილებს“ უწოდებენ-ხოლმე), დღეში სამჯერ, ოთხჯერ ან მეტჯერ, დაჯექით მყუდრო ადგილზე, ოდნავ მოღუნეთ მტკივნეული ფეხი და მუხლის არეში თქვენი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით, ვითომ ეს თითი მელანშია ამოვლებული, შვიდი ჯვარი „დაწერეთ“ მუხლთან, კანზე თითის შეხებით. მნიშვნელობა არა აქვს, რა ზომის ჯვარს დააწერთ მუხლს. ამგვარი მკურნალობით შეგიძლიათ გარედან განკურნოთ პირადი ღვიძლიც, ელენთა, კუჭი, შარდის ბუშტი... რითი ინკურნება ორგანო, ჯვარით? არა, თეთრი ველით, რომელსაც ჯვარი წარმოშობს. თირკმელებისა და ფილტვების განკურნებაში ახლობელი დაიხმარეთ და სთხოვეთ, მან დაგახატოთ თითით ზურგზე შვიდი ჯვარი. სულ ეს არის! თუ ამას ხშირად შეასრულებთ, დავუშვათ, მუხლთან, ორ თვეში ჩამუხლავთ და წამოდგებით ყველანაირი დაბრკოლებისა და ტკივილის გარეშე.

ჯვარის მისტერიაზე ვისაუბრებთ მომავალშიც. ეს ჯერ ცოტაა... რაც შეეხება სამყაროს ჯვარცმის საკითხს, ამაზე მე-4 ტომში ვიტყვი.

ახლა კი გადავდივართ ეზოთერული აზროვნების, ჩემი აზრით, ერთერთ უდიადეს თემაზე, რაზედაც ბოლო ეპოქებია აღარავის უსაუბრია. იმდენად გადაკეტილი იყო ეს ამბავი ათასწლეულების მანძილზე, რომ ფიქრადაც კი არ მოსვლია ვინმეს, ეხუმრა მაინც. მაშ, გავიხსენოთ სამყაროს ის ერთი, ყველაზე უძრავი ადგილი, რომელიც აქვე, მიწისქვეშა სამყაროში ყოფილა დღემდე მივიწყებული. მოდით, ამ დიდ მისტერიასაც ავხადოთ ფარდა, რითაც, ბოლოს და ბოლოს, შეიტყობს თანამედროვე კაცობრიობა დიდი სამყაროს ერთი პატარა ცენტრის ამბავს, რომელიც თავისი არსით და ხარისხით დიდ სამყაროზე დიდია. მაშასადამე, ჩვენ ახლა გავიხსენებთ გაღებული სივრცის მეორე საიდუმლოს მისი ზუსტი ადგილმდებარეობით, რომელიც დღესაც წარმოადგენს პარალელურ სამყაროში სულთა გადასასვლელ კარიბჭეს. ამაზე უკვე ითქვა ამ წიგნის წინა ტომებში.

ახლა სიტყვას ვუთმობ მეცნიერთა სამყაროს. მოვუსმინოთ მათ.



НАЙДЕНА НУЛЕВАЯ ТОЧКА ОТСЧЕТА ВСЕЛЕННОЙ!

ГЛАВА XV

Ученые сообщают...



ნაკოვნია სამყაროს ათვლის შძრავი წერტილი!

XV თავი

მეცნიერები გვამცნობენ...

Где начинается метафизика

22 июня 1998 года в газете "Асавал-дасавали" *(№ 26, ст.11)* было опубликовано в сокращенном виде интервью Марики Кахадзе с господином Мурманом Джохадзе. Я предлагаю вам этот диалог в полном виде.

Введение госпожи Марики Кахадзе...

"Дайте мне точку опоры, и Я переверну мир! – заявил один из представителей античной философии. Но где находится подобная точка? Поскольку Архимед не смог назвать местопребывания этой точки, стало быть, он его не знал! На этот горделивый возглас Эйнштейн, наверное, ответил бы так: "Смотря по тому – что именно Архимед считает точкой отсчета. Если он станет вверх ногами, Земля для него моментально завертится. Ведь все на свете условно и сравнительно". Так что местопребывания точки отсчета не знал и сам Эйнштейн.

Не беспокойтесь, читатель! Мы не собираемся переворачивать Землю, но вашему мировоззрению предстоят серьезные потрясения. После беседы с метафизиком Мурманом Джохадзе, ваше мышление может совершенно перевернуться. В частности – очень странно, но эзотерик Гиви Алазнис'Пирели подтвердил существование и назвал местопребывание нулевой точки отсчета Вселенной, с чем согласился господин Мурман Джохадзе. Быть может, хоть сейчас этот новый возглас грузинского непрофессионального исследователя – Гиви Алазнис' Пирели побудит научную общественность все же задуматься.

Интервью, которое приводится ниже, можно назвать так: "Беседа после физики", или "meta ta physika"! – как звались философские трактаты Аристотеля.

••••

– И все же, батоно Мурман, что такое метафизика?

– Метафизика – наука, изучающая свойства мира мыслей.

სად იწყება მეტაფიზიკა

1998 წლის 22 ივნისს, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№ 26. გვ., 11) გამოქვეყნდა **მარიკა კახაძის** შემოკლებული ინტერვიუ ბატონ **მურმან ჯოხაძესთან.** ამჯერად სრულად წაიკითხავთ ამ დიალოგს.

ქალბატონ მარიკას შესავალი...

„მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას გადავაბრუნებ! — განაცხადა ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. მაგრამ სად მდებარეობს ასეთი წერტილი? რადგან არქიმედემ ვერ დაასახელა ამ წერტილის ადგილსამყოფელი, ესე იგი, მან არ იცოდა ეს! ამ გულზვიად შეძახილს აინშტაინი ალბათ ასე უპასუხებდა: „გააჩნია, ბატონი არქიმედე რას ჩათვლის ათვლის წერტილად. თუ იგი თავდაყირა დადგება, დედამიწა მისთვის მომენტალურად ამოტრიალდება. ყველაფერი ხომ ფარდობითია“. მაშასადამე, ათვლის წერტილის ადგილსამყოფელი არ სცოდნია თვით აინშტაინსაც.

დამშვიდდი, მკითხველო. დედამიწის გადაბრუნებას არ ვაპირებთ, მაგრამ თქვენს მსოფლმხედველობას კი სერიოზული რყევები ელოდება. მეტაფიზიკოს მურმან ჯოხაძესთან საუბრის შემდეგ, თქვენი აზროვნებაც უეჭველად თავდაყირა დადგება. კერძოდ, ძალზე გასაკვირია, მაგრამ ეზოთერიკოსმა გივი ალაზნისპირელმა სამყაროს ათვლის ნულოვანი წერტილის არსებობა და მისი მისამართი დაასახელა, რასაც იზიარებს ბატონი მურმან ჯოხაძე. ქართველი არაპროფესიონალი მკვლევარის — გივი ალაზნისპირელის ამ ახალმა შეძახილმა მოსალოდნელია ამჟამად მაინც დააფიქროს მეცნიერული სამყარო.

ინტერვიუს, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, შეიძლება ასე ვუწოდოთ: „საუბარი ფიზიკის შემდეგ“. ანუ „Meta ta physika“! — ასე ერქვა არისტოტელეს ფილოსოფიურ ტრაქტატებს.

* * *

— და მაინც, ბატონო მურმან, რა არის მეტაფიზიკა?

— „მეტაფიზიკა“ — აზრთა სამყაროს თვისებების შემსწავლელი მეცნიერებაა.

– Где проходит грань между физикой и метафизикой?

– Вас интересует, где кончается физика и начинается метафизика?..

– Да, очень ли трудно это объяснить?

– Тема сложная! Но все-таки постараюсь дать вам ответ... Реальный мир, который мы видим и которого касаемся, – мир физический. Но должен существовать и такой мир, которого мы не можем коснуться, и только потому, что не видим его, хоть он и существует. Это мир мыслей! То есть "метафизика" означает раз и навсегда данное пространство, которое не подчиняется времени, самому понятию пространства, измерениям мира сего и т.д. У метафизики есть начало, но нет конца. Точнее, ее начало нужно искать в физике. А метафизика является сверхсостоянием физики.

– Действует ли метафизический мир на человека?

– Человек действует, производит физические движения – перемещается и т.д. Такими нашими движениями управляет мысль, уводящая за пределы физики. Но то, как рождается мысль и где располагается мир мыслей, изучает метафизика. Вряд ли мы можем установить – велик мир мыслей или мал; справа он располагается или слева; вверху или внизу... Мир мыслей находится везде и во всем: он и велик, и мал, обретается и вверху, и внизу! Мысль – метафизическое явление, которое может существовать, может и не существовать; действовать и не действовать. Это зависит от того, чему служит эта мысль и какое несет в себе содержание. Если мысль должна что-то отвердить, она в точно отведенное время выкристаллизует заключенное в ней содержание и мы его увидим. Это может быть, например, кувшин, новая книга или действие. Скажем, если бы в мысли не заключалось содержание – "мой приход сюда, в редакцию", – этот приход не состоялся бы. Поскольку Я сейчас нахожусь здесь и мы готовим интервью, мысль о моем приходе сюда выкристаллизовалась только сегодня. То есть, говоря языком физики, Я нахожусь здесь только сейчас, а мысль о моем приходе сюда для метафизики хранится в пространстве всех времен. Хоть сколько-нибудь понятно?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად გადის ზღვარი ფიზიკასა და მეტაფიზიკას შორის?

— თქვენ გაინტერესებთ, სად მთავრდება ფიზიკა და სად იწყება მეტა-ფიზიკა...

— დიახ, ძნელია ამისი ახსნა?

— რთული თემაა! მაგრამ შევეცდები გაგცეთ პასუხი...

– Давайте-ка плеснем на лист фанеры белую краску, а поверх нее в десять раз больший слой черной. Сможем мы увидеть белое? Но ведь оно существует и просто-напросто попало под слой черного... Легко объяснит ситуацию и второй простой пример: представим, что мы держим перед собой натянутую черную материю. За нею горит свеча. Начнем натягивать ткань сильнее. Составляющие ее ячейки напрягаются. Свеча продолжает гореть, но под черной тканью, из-за чего мы не видим ее света. Натягиваем ткань сильнее, еще сильнее... и в какой-то момент она с треском разрывается, пропуская через разрыв свет. Тут необходимо учесть то, что шум вызывается разрывом ткани, а не просвечивающим сквозь разрыв пламенем! В крупных масштабах процесс этот представляется мне следующим образом: гром возникает как результат разрыва пространства зарядами в момент молнии, так как, по моему убеждению, черное пространство – материя! Т.е. аналогичный нашему примеру процесс происходит в небе во время грома и молнии и эфирное пространство разрывается, но, в отличие от ткани, моментально стягивается вновь. Горячее сияние Господа, обретающееся под холодным космосом, успевает воспользоваться моментом, на мгновение просверкивая и освещая мироздание.

– Батоно Мурман, почему в момент молнии небо раскрывается неровно?

– Разве ровно разорвалась ткань, которую мы нарисовали в своем воображении? Ровно ли разрывается бумага? Как-то в беседе Гиви сказал: "Покажите мне гору ли, лист ли растения, где бы природа использовала линейку". В самом деле!

– Как вы думаете, почему щель от молнии мгновенно смыкается?

– Потому что сияние Уфали не может долго сохранять разрыв эфирного пространства, поскольку в настоящее время огромный черный покров, который мы называем космосом, значительно сильнее него.

– Батоно Мурман, неужели в древности в Грузии не знали истинной сущности молнии?

– Не знали? Да что вы...

Я вам сейчас приведу великолепный факт...

— ბატონო მურმან, მაინც ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავიგოთ „თეთრი შავის ქვეშ“ ერთდროულად, თუ თეთრი არ ჩანს?

— მოდით, ფანერაზე თეთრი სალებავი დავასხათ. ახლა მასზე ათჯერ მეტი შავი სალებავი გადავასხათ. თეთრს დაინახავთ? მაგრამ იგი ხომ არსებობს, რომელიც შავის ქვეშ აღმოჩნდა... სხვა უბრალო მაგალითით აგიხსნით: ახლა წარმოვიდგინოთ ხელებში გვიკავია გაჭიმული შავი ქსოვილი, რომლის ქვეშაც სანთელია ანთებული. მაშასადამე, ქსოვილის ქვემოთ სინათლეა! ახლა დავიწყოთ ამ ქსოვილის ნელ-ნელა მოჭიმვა. დაიწყება ქსოვილის უჯრედთა დაძაბულობაც. სანთელი კვლავაც ანთია, მაგრამ შავი ქსოვილის ქვეშ, რის გამოც ჩვენ ვერ ვხედავთ მის სინათლეს. კიდევ მოვჭიმოთ ქსოვილი, კიდევ... და იგი რაღაც მომენტში ხმაურით გაიხევა, რომლის ქვემოდანაც სინათლე გამოანათებს. აქ ერთ რამესაც უნდა დავაკვირდეთ, რომ **ხმაური გამოიწვია ქსოვილის გახევამ, და არა ნახევში გამონათებულმა სინათლემ!** დიდი მასშტაბებით კი ასე მესახება ეს პროცესი, რომ ქუხილი გამოწვეულია ელვის მომენტში მუხტებით გახეული სივრცის შედეგად, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, შავი სივრცე — მატერიაა! ამგვარად, ანალოგიური რამ ხდება ცაში ჭექა-ქუხილის დროს და ეთერული სივრცე იხევა, ოღონდ, ქსოვილისაგან განსხვავებით, იგი მომენტალურად იკეტება. ამით სარგებლობს ცივი კოსმოსის ქვეშ მიფარებული ცხელი უფალი და წუთისოფელში ასწრებს წამიერ ზეგამოსხივებას.

— ბატონო მურმან, რატომ არ არის ელვის მომენტში ცა სწორად გახსნილი?

— და როცა ჩვენი წარმოსახვით ქსოვილი გავხიეთ, სწორად გაიხა იგი? ქაღალდი რომ გადავხიოთ, სწორ ზოლზე გაიხევა? ერთხელ გივიმ საუბარში თქვა: „მანახეთ ისეთი მთა ან ფოთოლი, სადაც ბუნებას სახაზავი აქვს გამოყენებული“. მართალია!

— თქვენი აზრით, რატომ იკეტება სწრაფად ელვის ბზარი?

— იმიტომ, რომ უფალს არ გააჩნია ეთერული სივრცის ხანგრძლივად გახლეჩვის უნარი, რადგან აწმყოში გაცილებით ძლიერია ის შავი ვეებერთელა საფარველი, რომელსაც ჩვენ კოსმოსს ვუწოდებთ.

— ბატონო მურმან, ნუთუ ძველად საქართველოში არ იცოდნენ ელვის სწორი არსი?

Недавно мы собрались с друзьями и беседовали по разным вопросам. Коснулись и тайны молнии. Было поздно, и за столом остались одни мужчины. Я воспользовался этим, встал, подойдя к занавеси на окне, продемонстрировал опыт со свечой, о котором упоминал здесь давеча, а потом решился и перешел на другой, столь же разительный пример: посадил сына хозяина дома на стул, мгновенно на виду у всех расстегнул и тут же застегнул змейку на его брючках. Тем самым Я напомнил о возможности быстрого раскрытия и закрытия неба. "Вот так раскроется небо и сквозь прорыв войдет фаллос Великого Отца!" – воскликнул Я. Внезапно один из друзей-собеседников – **Юрий Салуквадзе**, – как бы вспомнив о чем-то, обратился ко мне: "Мурман, прежде в Грузии эту змейку называли молнией!" В самом деле! Как видно, и наши предки знали о том, что сияние, пробивающееся в момент вспышки молнии в щель от разрыва, как бы подводит к библейскому сиянию "У-фал-и", отождествлявшемуся в древности с мужским фаллосом, змейка же ассоцийруется с молнией!

– Стало быть, уважаемый Мурман, во всех случаях вы опираетесь на позицию ученого-непрофессионала?

– Что же делать? Другого выхода нет, Гиви опередил нас и в этом!

* * *

– Батоно Мурман, в беседе о господином Гиви Алазнис'-Пирели встал такой странный вопрос: как множество других, поныне принятых догм, уважаемый Гиви отрицает и традиционное понимание библейского "шатра" и считает, что это не только и не просто "шалаш". Он утверждает, что и вы разделяете и приемлете новую интерпретацию понятия "шатер". Может быть, вы сформулируете в двух словах, что такое библейская "куща" и каковы ваши соображения на этот счет?

– Коротко осветить этот вопрос не представляется возможным. Многими он в этом случае останется непонятым. Глубинно воспринять суть и содержание библейского "шатра", а тем более увериться в этом, настолько трудно, что наше объяснение, видимо, примут очень немногие. Детальное рассмотрение этой темы, видимо, может завести нас очень далеко, к тому же придется часто

— იცოდნენო? როგორ გეკადრებათ... ნახეთ რა კარგი ფაქტის წინაშე დავდგებით ახლა...

ამას წინათ ერთ ოჯახში შევიკრიბეთ ჩემი მეგობრები და ვსაუბრობდით. ამ თემასაც შევეხეთ, ბიჭებს გივის „ელვის საიდუმლოს“ ვუხსნიდი. ცოტა ხანში თითქმის მამაკაცებიღა დავრჩით სუფრასთან. რატომღაც სკამიდან წამოვდექი, იქვე, დიდ ფარდასთან მივედი და იქაც ანალოგიური მაგალითით ავუხსენი ფარდისა და სანთლის მონაცვლეობის შესახებ. რადგან ბიჭები დავრჩით ოთახში, გავბედე და მეგობრებს წარმოსადგენად უფრო კარგი მაგალითი შევთავაზე: ოჯახის მასპინძლის ბავშვი სკამზე შევსვი და ყველას დასანახად ბავშვის შარვლის „ზმეიკა“ გავხსენი და სწრაფადვე დავხურე. ფაქტიურად, მე ამით მეგობრებს შევახსენე ელვის მომენტში სწრაფად გახსნილი და დახურული ცა. თანაც ბავშვს ცუცუნაზე მოვეფერე და ნასვამმა შევძახე: „აი, ასე რომ გაიხსნება ცისკარი, იქიდან დიდი მამის ფალოსი შემოვა-მეთქი“! მოულოდნელად, ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა — **იური სალუქვაძემ** გაიხსენა: „მურმან, უწინ საქართველოში ზმეიკას ელვა ერქვაო“. გაოგნებულები დავრჩით! ესე იგი, როგორც ჩანს, ჩვენს წინაპრებსაც სცოდნიათ, რომ ელვის მომენტში მის ბზარში გამონათებულ სიკაშკაშეს ბიბლიურ „(უ)**ფალოს**თან“, ესე იგი, უფალთან მივყავართ, რაც შარვლის „ზმეიკასთან“ და მის ქვეშ, მამაკაცის ფალოსთან ყოფილა ძველად გაიგივებული, ხოლო „ზმეიკა“ ასოცირდებოდა ელვასთან!

— მაშასადამე, ყველა შემთხვევაში არაპროფესიონალი მეცნიერის პოზიციას ეყრდნობით, ბატონო მურმან?

— სხვა გზა ალარა გვაქვს, გივიმ ამჯერადაც დაგვასწრო!

* * *

— ბატონო მურმან, ერთი ასეთი უცნაური საკითხი წამოიჭრა ბატონ გივისთან საუბარში: როგორც სხვა დანარჩენ უამრავ, დღემდე ალიარებულ დოგმას, ბატონი გივი უარყოფს აგრეთვე ბიბლიური „კარავის“ ჩვეულებრივ გაგებას, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი და მიაჩნია, რომ „კარავი“ არ არის მხოლოდ და მხოლოდ — კარავი. ისიც გამანდო და მითხრა, რომ თითქოს თქვენც გაგაჩნიათ ამ ცნების ახლებური ინტერპრეტაცია. იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, რას ფიქრობთ ამის თაობაზე, რა არის ბიბლიური „კარავი“?

— ვერ შეგპირდებით ამ საკითხის მოკლედ თქმას, ბევრისათვის ყველა შემთხვევაში გაუგებარი დარჩება. იმდენად რთულია ბიბლიური „კარავის“

цитировать Ветхий завет. Мне не совсем ясно, почему слово "шатер" *(или "палатка")* мы понимаем в прямом значении. Разве наши пророки были туристами? Или занимались вопросами археологии и геодезии? И в чем вообще дело. Как можно высказаться по этому вопросу короче... Я думаю, что библейский шатер – это эзотерический объект, который с величайшей точностью и осторожностью возводился в особо отведенных местах нашей планеты. Эти особые места отличались сверхэнергетичностью высокого качества. Я вновь и вновь имею в виду метафизический мир. И вопрос этот мне представляется в том плане, что Моисей знал тайну сияния Господа и пытался проникнуть в нее. Это настолько сложная тема, что в двух словах ее не исчерпать. Исходя из множества сегодняшних насущных проблем, у нас нет условий, чтоб обдумывать, а тем более писать о подобных вопросах. Вот разве что Гиви кое-что удается.

Мы наблюдаем интересные процессы...

Моисей возводит сооружение неизвестной для нас конструкции, через которое устанавливает контакт с Всевышним. Для этого он забивает в виде жертвы животное и помещает его тушу в уже возведенный так называемый – "шатер". Что же происходит далее... В соответствии с фактором времени туша разлагается. То есть заряжается отрицательной энергией, что приводит на память отрицательный полюс конденсатора. Библейский шатер непременно должен был иметь форму пирамиды. Этот факт напоминает нам, что в одной трети любой пирамиды скапливается какая-то положительная сверхэнергия, тайну которой должны были хорошо знать и в Египте. Факт, что пирамиды возводились египтянами. Здесь мы имеем дело уже с феноменом сверхконденсатора, у которого еще нет отрицательного полюса. Если представить, что в подобную скинию вошел некий носитель сильного отрицательного духа, имевшаяся в нем положительная сверхэнергия мгновенно вспыхивает, поджигает его, и происходит воспламенение тела человека – он гибнет! Но что это могло дать Моисею? Ничего!

В данном случае следует предположить, что, если Моисей стремился вступить в контакт с Всевышним с целью беседы с ним, что зафиксировано в текстах Ветхого завета, ему необходимо было самому, в своем теле скопить как можно больше отрицательного поля – с целью включения в духовную сферу собственного тела. Но, как Я уже говорил, это опасно и даже смертельно, сопряжено с

ნამდვილი შინაარსის შინაგანად დანახვა და მითუმეტეს, დაჯერება, რომ ალბათ მცირენი თუ გაიზიარებენ ჩვენს ამგვარ ახსნას. ალბათ, ძალიან შორს წაგვიყვანდა ამ თემის დეტალური განმარტება, მით უმეტეს, მრავალი ციტატის მოყვანა მოგვიწევს ძველი აღთქმიდან. მე ჯერ ის ვერ გავიგე — რატომ გვესმის სიტყვა „კარავი“ პირდაპირი გაგებით, რა, ტურისტები იყვნენ წინასწარმეტყველები, არქეოლოგები თუ გეოდეზიის საკითხებით იყვნენ დაკავებულები, თუ რაშია საერთოდ საქმე. რა შეიძლება ამაზე მოკლედ ითქვას... მე ვფიქრობ, რომ ბიბლიური „კარავი“ არის ეზოთერული ობიექტი, რომელიც უდიდესი სიზუსტით და სიფრთხილით იგებოდა პლანეტის განსაკუთრებულ ადგილებზე. ეს განსაკუთრებული ადგილებიც თავისი მაღალხარისხოვანი ზეენერგიულობით გამოირჩეოდა. მხედველობაში მაქვს, ისევ და ისევ, მეტაფიზიკური სამყარო. მე ასე მესახება ეს საკითხი, რომ მოსემ იცოდა უფლის ზესინათლის საიდუმლოება და ცდილობდა შეეღწია მასში. ეს იმდენად რთული თემაა, რომ ასე, ორი სიტყვით არ ითქმება. სადღეისო უამრავი პრობლემებიდან გამომდინარე, არ გვაქვს შექმნილი ისეთი პირობები, ასეთ საკითხებზე ვიფიქროთ, მითუმეტეს, — ვწეროთ. გივი თუ ახერხებს ამ მხრივ რაღაცას.

საინტერესო პროცესთან მივდივართ...

მოსე აგებს ჩვენთვის უცნობი კონსტრუქციის მქონე ნაგებობას, რითაც შემდეგ კონტაქტს ამყარებს უზენაესთან. ამისათვის იღებს პირუტყვის სხეულს, კლავს მას მსხვერპლშეწირვის სახით და მის გვამს აყოვნებს უკვე აგებულ, ე.წ. — კარავში. ახლა, რა ხდება... დროის გასვლასთან დაკავშირებით, პირუტყვის გვამი იხრწნება. ესე იგი, გვამი იმუხტება უარყოფითი ენერგიით, რაც კონდენსატორის უარყოფით პოლუსს მოგვაგონებს. ბიბლიური კარავი აუცილებლად უნდა ყოფილიყო პირამიდის ფორმის. ეს ფაქტი შეგვახსენებს, რომ ნებისმიერი პირამიდის ერთ მესამედში როგორიცაა დადებითი ზეენერგეტიკა გროვდება, რომლის საიდუმლოებაც კარგად უნდა სცოდნოდათ ეგვიპტეშიც. ფაქტია, რომ პირამიდები მათი აგებულია. აქ უკვე საქმე გვაქვს ზეკონდენსატორის ფენომენთან, რომელსაც ჯერ არ გააჩნია უარყოფითი პოლუსი. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ასეთ კარავში ძალიან უარყოფითი სულის მქონე, დავუშვათ, ვინმე შევიდა, კარავში დაგროვილი დადებითი ზეენერგია მომენტალურად ბუთქავს მას და მოხდება ადამიანის სხეულის აალება — მოკვდება! მაგრამ რას მისცემდა ეს მოსეს? არაფერს! აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ მოსეს უზენაესთან დაკონტაქტება სურდა მასთან გასაუბრების მიზნით, რაც ნამდვილად ფიქსირებულია ძველი აღთქმის ტექსტებში, ესე იგი თვითონ, პირად სხეულში უნდა მოეგროვებინა რაც შეიძლება მეტი უარყოფითი ველი — პირადივე სხეულის სულიერ წრედში ჩართვის მიზნით. მაგრამ როგორც გითხარით, ეს საშიშია, სასიკვდილოა, რადგან დაკავშირებულია დიდ რისკთან. ან რაში უნდა აწყობდეს მოსეს

большим риском. Да и какая у Моисея была надобность скапливать в собственном организме столько отрицательной энергии... Поэтому он берет жертвенного агнца, оставляет его тело в шатре и ждет, когда оно разложится. Известно, что фактор времени способствует этому процессу – скапливающесся в лишенном жизни теле отрицательное поле вызывает распад. Так что шатер одновременно заряжается как положительной, так и отрицательной энергией. Когда распад тела заколотого жертвенного агнца достигал некоего определенного уровня, в шатре происходил сильный разряд энергий – отрицательной агнца и положительной сияния Уфали, в связи с чем разрывается эфирная жидкость и в густой тьме рождается величайшее сияние.

– То есть, вы допускаете такой процесс в "шатре"?

– Безусловно! До сих пор мы просто не думали об этом. Но эта теория Гиви Алазнис'Пирели поневоле оказывается поводом предположить и осознать – что же двигало Моисеем, когда он готовил шатер и с какой-то целью приносил в жертву животное. Когда господин Гиви заявляет, что то же самое происходит в небе между черной тучей и белым сверхсиянием, Я соглашаюсь с ним и признаю, что он прав, и другого логического объяснения не нахожу. Моисей не мог подняться в небо в момент, когда ожидался сильный раскат грома и молнии. Поэтому он прибег к чему-то такому, что с использованием заколотого животного разрывает эфирную жидкость, за счет отрицательного поля трупа. Цель же во всех случаях должна была быть одна – прорыв космического ареала в духовно активном участке пространства! Но это должно было произойти там, где сам Моисей мог присутствовать при этом процессе.

– Батоно Мурман, допустим, что эфирная жидкость прорвалась в шатер...

– Тем самым Моисей вступил в связь с белым миром. Это те врата, через которые можно заглянуть в ареал сверхсияния, духом войти в него, с целью извлечения из него ценнейшей информации. Это поныне пребывающий в скрытом состоянии эзотерический процесс, с которого ныне снимается завеса таинственности. Для этого необходимо извлечь цитаты из Библии с целью лучшего ознакомления и приобщения читателя к этой теме.

– Батоно Мурман...

თავის ორგანიზმში დააგროვოს უარყოფითი ენერგია... ამიტომ, იგი სამსხვერპლოდ გაიღებს პირუტყვის სხეულს — სდებს მას კარავში და ელოდება, როდის გაიხრწნება პირუტყვის გვამი. ეს მაინც ხომ ცნობილია, რომ დროის გასვლასთან დაკავშირებით გვამი უფრო მეტად იხრწნება და ყროლდება. ესე იგი, გვამში გროვდება უარყოფითი ველი, ამიტომაც იხრწნება იგი. ასე რომ, კარავი ერთდროულად იმუხტება როგორც დადებითი ენერგიით, ასევე უარყოფითი ენერგიით. როდესაც დაკლული პირუტყვის გვამი გახრწნის როგორიღაცა ეტაპს მიაღწევდა, კარავში მოხდებოდა გვამისა და უფლის დადებით ენერგიებს შორის ძლიერი განმუხტვა, რის გამოც იხევა ეთერული სივრცე და დიდ სიბნელეში უდიდესი ნათელი იბადება.

— ესე იგი, დასაშვებია ასეთი რამ მოხდეს „კარავში“?

— რასაკვირველია! ჩვენ უბრალოდ არ გვიფიქრია ამაზე დღემდე. მაგრამ გივის ეს თეორია მიზეზი ხდება ბოლოს და ბოლოს გავიაზროთ, თუ რა ამოძრავებდა ამ მხრივ მოსეს, როდესაც იგი კარავს ამზადებს და მსხვერპლს სწირავს როგორიღაცა მიზნით. როდესაც გივი ალაზნისპირელი აცხადებს, რომ იგივე ხდება ცაში შავ ღრუბელსა და თეთრ ნათელს შორის, ვეთანხმები, სწორია, სხვა ლოგიკური განმარტება ვერ მოვძებნე. მოსეს არ შეეძლო ცაში ასულიყო იმ მომენტში, როდესაც ძლიერი ელ-ჭექია მოსალოდნელი. ამიტომ იგი მოიმოქმედებს ისეთ რამეს, რითაც ეთერულ სითხეს ხევს დაკლული პირუტყვის გამოყენებით გვამის უარყოფითი ველის ხარჯზე. მიზანი კი ყველა შემთხვევაში ერთი უნდა ყოფილიყო — <u>კოსმიური არეალის გახევა სივრცის სულიერად აქტიურ მონაკვეთში!</u> ოღონდ, ეს უნდა მოემოქმედებინათ იქ, სადაც მოსე თვითონვე დაესწრებოდა ამ პროცესს.

— ბატონო მურმან, დავუშვათ ეთერული სივრცე გაიხსნა „კარავში“...

— ამით ამყარებს მოსე კავშირს თეთრ სამყაროსთან. ეს არის ის კარიბჭე, საიდანაც თეთრში შეიძლება გახედვა, სულიერი შესვლა, იქიდან უდიდესი ინფორმაციების გამოტანის მიზნით. ეს არის დღემდე დაფარული ეზოთერული პროცესი, რომელსაც ახლა ეხდება ფარდა. აქ საჭიროა დაჯდომა და ბიბლიიდან ციტატებად ამოკრება მკითხველის უკეთ გაცნობიერების მიზნით.

— ბატონო მურმან...

— ახლავე დავამთავრებ... მე მჯერა, რომ არსებობს უფრო დიდი და

– Я подхожу к концу... и верю, что существуют еще большие и постоянно открытые врата, здесь, внизу, под землей, но Моисей не мог в них проникнуть из-за заполненности ареала под Кавказом водой; человеку не дано подниматься и в небо... Поэтому, в давно минувшие времена выдающиеся люди выработали метод возведения шатра, где искусственно вскрывали черную жидкость – космическое пространство, через которое удавалось устанавливать связь с белым миром. Не знаю, помните ли вы эпизод из Библии, в котором описано, какие условия должны были быть соблюдаемы при возведении шатра, – не давалось права даже на малейшую ошибку! В противном случае эффекта добиться не удавалось. Момент возведения сакрального шатра – интереснейшая тема Библии. И знаете, на чем мы сосредоточиваемся? Строения, где обретается сияние Господа, по всей Библии упоминаются как возведенные или возводимые по одним и тем же приемам и методам; то же происходило при строительстве храма Соломона и т.п.

А теперь жду вашего вопроса, уважаемый Бесо, вы хотели что-то спросить...

– *Батоно Мурман, прошу вас ответить чистосердечно: насколько правильным будет довериться непрофессиональному во всех сферах человеку – уважаемому Гиви Алазнис'Пирели, который своими бесконечными новыми версиями ставит с ног на голову представления о бытии современного человечества. Насколько подобное допустимо?*

– Давайте, Я подойду к ответу несколько издалека...

Более всего из свойств, присущих человеку, меня раздражает одна деталь: когда высказываешь значительную, существенную истину, – ее отрицают, не верят, ни за что не приемлют! У меня создается впечатление, что современного человека больше устраивает ложь. Я долго думал и в своем кругу даже беседовал об этом. Возьмем хотя бы то, что связано с Харагоули: близ деревни Нуниси обнаружены врата, ведущие в древнейший очаг подземной цивилизации... Никому это не нужно!!! Все отворачиваются от этого крупнейшего открытия. И, естественно, мне представляется, в первую очередь необходимо изучить фактор того – что произошло с нашим племенем и почему люди отворачиваются от истины. Порой мне кажется, что правда раздражает человека. Можно допустить, что новые прозрения воспринимаются не сразу, но отвращение? Взгля-

მუდმივად გახსნილი კარიბჭეც, აქ, ქვემოთ, მიწისქვეშეთში, მაგრამ მოსე ვერ ჩავიდოდა ძირს იქ დამდგარი წყლის ოდენობის გამო; ვერც ცაში ავა ადამიანი... ამიტომ, გასულ საუკუნეებში დიდმა ხალხმა შეიმუშავეს კარავის მეთოდი, საიდანაც ხელოვნურად ხსნიდნენ შავ სითხეს — კოსმიურ სივრცეს, საიდანაც თეთრ სამყაროსთან დაკავშირება იყო მოსახერხებელი. მე არ ვიცი იცნობთ თუ არა ბიბლიის იმ ეპიზოდს, სადაც აღწერილია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კარავის აგების პირობები — ერთი პატარა შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდათ! თუ არა და, არ გამოვიდოდა. უაღრესად საინტერესო თემაა ბიბლიაში საიდუმლო „კარავის“ აგების მომენტი. და იცით რას ვაკვირდებით? თითქმის ერთი ცოდნითა და წყობით იგებოდა უფლის დასავანებელი ნაგებობები; იგივე ხდება სოლომონის ტაძრის აგების დროს და ა.შ.

ახლა კი გისმენთ, ბატონო ბესო, რაღაც უნდა გეკითხათ...

— ბატონო მურმან, გთხოვთ გულახდილად მიპასუხოთ: რამდენად სწორი იქნება ვენდოთ ყველა სფეროში არაპროფესიონალ კაცს — ბატონ გივის, რომელიც თავდაყირა აყენებს თავისი ამოუწურავი ახალი ვერსიებით თანამედროვე კაცობრიობის ყოფიერებას. რამდენად დასაშვებია ასეთი რამ?

— მოდით, ცოტა შორიდან მივალ პასუხთან...

ადამიანის თვისებებიდან გამომდინარე ყველაზე ძალიან მაღიზიანებს ერთი ასეთი დეტალი: როდესაც დიდ სიმართლეს ეტყვი ვინმეს, — არ უნდა, არ გისმენს, თავს მოიკლავს და არ მიიღებს! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თანამედროვე ადამიანს სიცრუე უფრო აწყობს. მე ბევრი მიფიქრია და ჩემს წრეშიც ხშირად ვსაუბრობთ ამ საკითხზე. თუნდაც ხარაგოულის ამბები ავიღოთ: სოფელ ნუნისთან უძველესი მიწისქვეშა ცივილიზაციის ჩასასვლელი კარიბჭე იპოვნეს... არ უნდა არავის!!! ყველა თავს არიდებს ამ უდიდეს აღმოჩენას! არადა, ჩემი აზრით, პირველ რიგში ეს ფაქტორია შესასწავლი — რა დაემართა ჩვენს მოდგმას და რატომ არიდებენ თავს ადამიანები სიმართლეს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ სიმართლე აღიზიანებს ადამიანს. დასაშვებია, რომ ახალი მიგნება იმავდროულად ვერ აღვიქვათ, მაგრამ ზიზღი? ნახეთ რა ხდება: გივი ალაზნისპირელმა იდეალური წიგნი აჩუქა საზოგადოებას, მაგრამ სანაცვლოდ უკან მიიღო ბევრი დამცირება. რას არ ამბობენ ამ კაცზე — „მოგზავნილია“, „ვილაცის კაცია“, „ნეო-ფაშისტია“, „სექტის წარმომადგენელია“, „ებრაელია“... ესე იგი, რადგან გივი ალაზნისპირელი ქართველია, ამ შემთხვევაში ნოეს კიდობანიც აქ არ არის, უფრო სწორად — არ უნდა იყოს იგი ჩვენთან, არ სურს ხალხს აქ აღმოჩნდეს ეს რელიქვია, შორს რომ იქნება, ის უფრო უნდათ! მოკლედ, ვერ გაიგებ...

43. „მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა“, III ტომი.

ните, что происходит: Гиви Алазнис'Пирели подарил обществу идеальную книгу, но взамен получил множество унижений. Что только о нем не говорят: "подосланный", "чей-то ставленник", "неофашист", "сектант", "еврей"... Т.е. раз Гиви Алазнис'Пирели – грузин, значит и Ноев ковчег не здесь, точнее – здесь его быть не может, людям не хочется, чтоб эта реликвия оказалась здесь, в Грузии. Лучше пусть она будет подальше! Короче, не поймешь...

В нашей беседе Я уже говорил о прозрениях Гиви Алазнис'-Пирели, и коротко изложил его новый подход к "секрету молнии". С этой позиции на вопрос физиков дан настолько убедительный ответ, что не исключена научная революция физики, вызванная этой концепцией Гиви.

– Прошу вас уточнить, что конкретно вы имеете в виду?

– Гиви Алазнис'Пирели рискнул и сказал, что в ареале огня сам огонь не светит и подтвердил это логически. Представляете, что это значит? А ведь многие будут смеяться над таким выводом...

– Батоно Мурман, и Я вполне могу заявить, что холодильник – не охлаждает! Что ж, значит Я буду прав?

– Если он поврежден, конечно же, охлаждать не сможет. Но если вы продолжаете настаивать, что включенный в сеть исправный холодильник не охлаждает, потребуются логические доказательства.

– Теоретически можно утверждать очень многое, к тому же красиво и привлекательно излагать. Но это не значит, что утверждаемое соответствует истине...

– Так вы что же думаете, что Я согласился с красивой теорией Гиви? Ни в коем случае! Его предположения в высшей степени логичны и, представьте, даже подтверждаются научными фактами.

– Например...

– Можно привести и примеры...

Мир физиков знает, что в момент сильной молнии в пространстве образуется так называемая "шаровая молния", представляющая из себя круглый светящийся объект, напоминающий мяч. Явление это настолько странное, что ученые и поныне не знают логического механизма ее возникновения. Не знаем мы и причин

ჩვენს ზემო საუბარში გივი ალაზნისპირელის შესახებ ვიმსჯელეთ და მოკლედ განვიხილე „ელვის საიდუმლოების“ ეს ახალი მიგნება. იმდენად დიდი პასუხია გაცემული ამ მოსაზრებით ფიზიკოსების შეკითხვებზე, რომ მოსალოდნელია გივის ამ კონცეფციამ მეცნიერული რევოლუცია გამოიწვიოს ფიზიკაში.

— გთხოვთ დააზუსტოთ, რა გაქვთ კონკრეტულად მხედველობაში?

— გივი ალაზნისპირელმა გაბედა და თქვა, რომ ცეცხლის არეალში თვით ცეცხლი არ ანათებს და ლოგიკურად ამტკიცებს ამას. გესმით რას ნიშნავს ეს? არადა, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი გაიცინებს მის ასეთ დასკვნაზე.

— ბატონო მურმან, მეც შემიძლია ვთქვა, რომ მაცივარი — არ აცივებს! სწორი ვიქნები?

— თუ იგი დაზიანებულია, არ გააცივებს. და თუ დაიჟინებთ, რომ ელექტროდენში ჩართული მუშა მაცივარი არ აცივებს, გთხოვთ, ლოგიკურად დაგვიმტკიცოთ ეს.

— თეორიულად ბევრი რამის თქმა შეიძლება, თანაც ლამაზად. მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სიმართლეა...

— და თქვენ რას ფიქრობთ, რომ გივის მისი ლამაზი თეორიის გამო დავეთანხმე? არავითარი! ამ მიგნებაში დიდი ლოგიკაა ჩადებული და თქვენ წარმოიდგინეთ, მეცნიერული ფაქტებითაც დასტურდება.

— მაგალითად...

— მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა...

ფიზიკოსების სამყარომ იცის, რომ ძლიერი ელვის მომენტში სივრცეში იბადება ე.წ. „სფერული ელვა“, რომელიც მრგვალ სინათლეს წარმოადგენს, ბურთივითაა. იმდენად უცნაური მოვლენაა იგი, რომ მეცნიერთა წრემ დღემდე არ იცის მისი წარმოქმნის ლოგიკური მექანიზმი. ესე იგი, ჯერ არ ვიცით „სფერული ელვის“ ამასოფელში გამოვლინების მიზეზებიც. ვიცით მხოლოდ ერთი, რომ იგი არსებობს, ჩანს, და რომ ზოგჯერ დიდ საშიშროებასაც წარმოადგენს. არადა ყველა გათვლით, სფერული ელვა — ზებუნების მატარებელია!

— აგვიხსენით, რაში მდგომარეობს მისი ზებუნება?

появления шаровой молнии в мире сем. Знаем лишь одно, что она существует, видима, и что порой даже представляет большую опасность. Между тем, по всем расчетам, шаровая молния – носитель сверхприроды. Эта молния – объект очень странного маневрирования. Она вроде бы изучена, но обладает и такими свойствами, в которых ученые разобраться не могут, нам как бы чего-то недостает для полного проникновения в сущность этого сверхъявления. Сверхприрода же этого явления состоит в первую очередь в том, что у шаровой молнии не обнаружено такого источника возникновения, который нам был бы известен; 2) она являет собой ослепительное, внеземное сияние; 3) поныне не известно, как она потухает, куда девается и во что преображается ее сверхсияние; 4) сколько времени с момента проявления она живет; 5) чем питается, т.е. какой источник энергии становится причиной ее возникновения; 6) от чего зависит длительность жизни шаровой молнии; 7) какова ее суть и форма до проявления и т.д.

– Батоно Мурман, какова связь т.н. "шаровой молнии" с молнией настоящей и почему вы противопоставляете это странное явление "секрету молнии" Гиви Алазнис'Пирели?

– Скажу... Шаровая молния чаще всего является в момент раската грома и молнии – в пространстве. Потом она, видимая и обозреваемая, входит в наш быт и даже может вкатиться в гости кому-нибудь в дом. Бывали случаи, когда шаровая молния влетала в какие-то лаборатории и "ходила" в них. Фактически нельзя сказать, что она летает, она скорее бесшумно перемещается в пространстве и, по записям некоторых ученых, – "ведет наблюдение"! Интересно, что и это было замечено – шаровая молния сама наблюдала за наблюдающими за ней, создавая впечатление, будто кто-то вглядывается из ее внутренней сферы. Мы подходим к выводу о том, что шаровая молния – разум!

– Но чем она страшна и опасна?

– Зафиксированы случаи, когда шаровая молния беспрепятственно проходила сквозь стены. Но бывало – она сжигала все вокруг себя! Между прочим, то, что Я сейчас говорю, не отличается новизной и довольно давно известно в научных кругах. Несмотря на это, видимо, все физики полагают отыскать ответы на вопросы, связанные с шаровой молнией, но, поверьте, мне еще не приходилось читать ничего подобного тому, как все это объяснил и сфор-

— ძალიან უცნაური მანევრირების მქონე ობიექტია. თითქმის შესწავლილია, მაგრამ სფერულ ელვას აქვს სხვა ისეთი თვისებებიც, რომლებსაც მეცნიერებმა ველარაფერი გაუგეს, თითქოს რალაც არ ყოფნით ფიზიკოსებს ამ ზემოვლენის ბოლომდე შესასწავლად. მისი ზებუნება პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ სფერულ ელვას არ გააჩნია შექმნის ისეთი წყარო, რომელიც გვეცოდინებოდა; 2) იგი თვალისმომჭრელ არაამქვეყნიურ სიკაშკაშეს წარმოადგენს; 3) დღემდე არ არის ცნობილი, როგორ ქრება და სად მიდის იგი, ანუ რაში გარდაისახება მისი ზესინათლე; 4) რამდენ ხანს ცოცხლობს იგი წუთისოფელში გამოვლენიდან; 5) რითი საზრდოობს, ესე იგი, როგორ ენერგიას წარმოადგენს მისი არსებობის მიზეზი; 6) რაზეა დამოკიდებული სფერული ელვის სიცოცხლის ხანგრძლივობა; 7) როგორი ფორმისა და არსისაა იგი მის გამოვლინებამდე და ა.შ.

— ბატონო მურმან, რა კავშირშია ე.წ. „სფერული ელვა“ ნამდვილ ელვასთან, ან რატომ უპირისპირებთ ამ უცნაურ მოვლენას გივი ალაზნისპირელის „ელვის საიდუმლოს“?

— გეტყვით. სფერული ელვა უმთავრესად იბადება ელ-ჭექის მომენტში — სივრცეში. შემდეგ იგი შემოდის ჩვენს ყოფიერებაში და მოსალოდნელია ვინმესაც ესტუმროს ოჯახში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სფერული ელვა (რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა მოიხსენიება როგორც „შაროვაია მოლნია“), შევარდნილა რომელიმე ლაბორატორიაში და „დადის“. ფაქტიურად ვერც იმას ვიტყვით, რომ დაფრინავს. იგი უფრო უხმაუროდ გადაადგილდება სივრცეში და ზოგიერთი მეცნიერის ჩანაწერების მიხედვით, — „აკვირდება“! რა საინტერესოა, რომ ესეც შემჩნეულია, როდესაც სფერული ელვა აქეთ აკვირდება დამკვირვებლებს, თითქოს იგი გიცქერს, ან ვიღაც გიცქერს მისი შიდა არედან. მივდივართ დასკვნამდე, რომ სფერული ელვა — გონია!

— და რატომ არის იგი საშიში?

— დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც სფერული ელვა ყოველგვარი წინაალმდეგობის გარეშე გასულა კედელში, მაგრამ ისიც ხდება — სულ გადაუბუგია იქაურობა! მეცნიერთა შორის დაისვა შეკითხვა, თუ რა შემთხვევაში გადის იგი კედელს წყნარად, და რა შემთხვევაში ანგრევს ყველაფერს. სხვათაშორის, რასაც ახლა ვამბობ, ახალი არ არის და ეს დიდი ხანია ცნობილია მეცნიერთა წრეში. მიუხედავად იმისა, რომ ალბათ ყველა ფიზიკოსი ფიქრობს

мулировал Гиви Алазнис'Пирели. Между тем Гиви физику не знает, он вообще не занимается наукой – ни одной из ее сфер! Так что же происходит? В последнее время мне интереснее распознать феномен самого Гиви, нежели шаровой молнии. "Человек-чудо"! – такой представляется мне личность писателя Алазнис'Пирели. Я еще не разобрался, почему человек должен знать нечто такое, чему его никогда не учили и о чем он ничего не читал.

– *Как же, не зная физики, он объясняет вам все это?*

– Простыми словами. Но здесь главное не это... Важно, что он внутренне видит и воспринимает процессы, происходящие в природе. Например, ученые степень концентрации света определяют люксами, энергии – джоулями. Феномен же сверхсияния поныне не располагает собственным термином на уровне науки, если не считать, что его порой называют "шаровой молнией". Гиви же рождающееся внутри молнии сверхизлучение, опираясь на широко используемое в древнегрузинской духовной литературе слово, назвал "Уфали", что должно обозначать абсолютную истину. Это подсказывает мне и интуиция, и логика. Какое имеет значение, назвал бы он "Уфали" – сверхсияние внутри молнии или что-то иное. Главное здесь то, что он первым проник в эту тайну молнии, чем параллельно объяснил и бывший доселе неясным механизм возникновения шаровой молнии. Человечество еще не знает – что выразил Гиви через эту версию. Возможно, оно и вообще не поймет... Но прислушайтесь внимательно к тому, что говорит этот человек: очень много времени тому назад Вселенная была белая. Прошло время, и она потемнела. Могут спросить – можно ли довериться в этом Гиви? Зачем же об этом спорить – верить ему или нет, когда сегодня в космосе господствует подлинная тьма. И если на сегодня реально существует большая тьма, видимо, обязательно где-то должно существовать и большое сияние, которое можно было бы также видеть. Логично!

– *Но как поверить в то, что прежде мир был белым?*

– Здесь уже необходимо привлечь данные физики. Физике известно, что если существует частица и она материальна, то непременно должно существовать и противоположное состояние – античастица; т.е. если существует материя, то должна существовать и антиматерия, по своим свойствам противостоящая материи. Поставим такой вопрос: если ныне космос холодный и черный, то

— სფერულ ელვასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მოძებნოს პასუხები, გთხოვთ დამიჯეროთ, რომ, როგორც გივი ალაზნისპირელმა ჩამოაყალიბა ყველა ამ შეკითხვის განმარტება, მე ჯერ მსგავსი არაფერი წამიკითხავს. არადა გივიმ ფიზიკა არ იცის, იგი საერთოდ არ არის მეცნიერი — არც ერთ სფეროში! მაშ, რა ხდება? ამ ბოლო ხანს, გივის ფენომენი უფრო მაინტერესებს ამოვიცნო, ვიდრე სფერული ელვის. „კაცი-საოცრება“! — ასე მესახება გივი ალაზნისპირელის პიროვნება. მე ჯერ ვერ მივხვდი, რატომ უნდა იცოდეს ადამიანმა ისეთი რამ, რომლის შესახებაც არასოდეს უსწავლია და ამ საკითხზე არც წაუკითხავს არაფერი.

— თუ ფიზიკა არ იცის, როგორ გიხსნით ამ ყველაფერს ბატონი გივი?

— უბრალო სიტყვებით, მაგრამ აქ მთავარი ის არის — ბუნების პროცესებს ხედავს იგი შინაგანად. მაგალითად, მეცნიერები სინათლის სიდიდის კონცენტრაციას ლუქსებით განსაზღვრავენ, ენერგიისას — ჯოულებით! ზესინათლის ფენომენს კი დღეისათვის აღიარებული საკუთარი ტერმინი სამეცნიერო დონეზე არ გააჩნია გარდა იმისა, რომ მას „სფერული ელვა“ უწოდეს. გივიმ კი უბრალოდ, სასულიერო ლიტერატურაში მრავლად გამოყენებული „უფალი“ შეარქვა ელვის შიგნით არსებულ ზეშუქს, რაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს. ამას მკარნახობს ინტუიციაც და ლოგიკაც. რა მნიშვნელობა აქვს — „უფალს“ დაარქმევდა გივი ელვის შიგნით არსებულ ზეშუქს თუ სხვა რაღაცას. მთავარი აქ ის არის, რომ მან პირველმა შეამჩნია ელვის ეს საიდუმლო, რითაც პარალელურად სფერული ელვის წარმოშობის დღემდე მიუკვლეველი მექანიზმიც განმარტა. კაცობრიობამ ჯერ არ იცის — რა თქვა გივიმ ამ ვერსიით, შეიძლება ვერც გაიგონ... არადა დააკვირდით, რას ამბობს ეს კაცი: ძალიან დიდი ხნის წინ თეთრი ყოფილა სამყარო. გავიდა დრო და იგი ჩაბნელდა. ზოგი იკითხავს — დავუჯეროთ გივის? რა საკამათო ან ძნელად დასაჯერებელია ეს, როდესაც ნამდვილად სიბნელეა დღეს კოსმოსში დავანებული. და თუ დღეს დიდი სიბნელე არსებობს და ვხედავთ, აუცილებლად სადღაც უნდა არსებობდეს დიდი სინათლეც, რომელსაც ასევე დავინახავდით. ლოგიკურია!

— ის როგორღა დავიჯეროთ, რომ უწინ თეთრი ყოფილა სამყარო?

— აქ უკვე ფიზიკა უნდა ჩავრიოთ, ბატონო ბესო. ფიზიკაში ცნობილია, რომ თუ არსებობს ნაწილაკი და იგი მატერიაა, აუცილებლად უნდა არსებობდეს მისი საწინააღმდეგო მდგომარეობაც — ანტინაწილაკი; ანუ თუ არსებობს მატერია, უნდა არსებობდეს არამატერიაც, რომელიც თვისებებითაც საპირისპირო იქნება მატერიისა. დავსვათ ასეთი საკითხი: თუ შავი და ცივია თანამედროვე კოსმოსი, ე.ი. ცხელი და თეთრია მატერიის სულიერი ყოფა, რომელსაც

духовное бытие материи сейчас горячее и белое, и это состояние в физике называется "волновым". Так есть ли смысл исключать то, что вполне допустимо увидеть в выжженном молнией эфирном пространстве другое пространство, существующее за его пределами белое и ослепительно сверкающее сияние. Исходя из этого...

Шаровая молния рождается большей частью во время сильных раскатов грома и молнии. Мир физиков считает, что причиной этого явления по-прежнему остаются электрозаряды, но никто не дает ответа – чем же шаровая молния упакована. Т.е. предстоит выяснить состав ее оболочки, в которую природа внедрила ослепительное сияние. В науке ставился и вопрос о том, что если нам удастся постепенно извлекать энергию из шаровой молнии, она может стать источником длительного использования этой энергии. Но проблема в том, как разъять шаровую молнию, раскрыть ее и начать извлекать из нее сверхэнергию. И решения этой проблемы еще не видится. Гиви предложил нам гипотезу, по которой это явление природы не рождается в результате столкновения зарядов, а существует всегда, но под пространством черного космоса, внутри его. Кое-кто воспринял это как тьму вверху и свет внизу... Но это не так! В данном случае следует исключить понятия "низ", "верх"... По словам Гиви Алазнис'Пирели, белый мир был активен некогда, черный же – сейчас! Вот что представляет интерес в первую очередь.

– Батоно Мурман, непонятно, почему, если ныне в космосе господствует тьма и он подчиняется времени, тому же времени не подчиняется некогда существовавший свет?

– Именно это и интересно и является гениальным ядром этого открытия. Гиви считает, что, поскольку скапливающиеся между облаками заряды разряжаются в виде электротока, в небе возникает электропламя, сжигающее какой-то определенный участок черного космоса, в разрыв же, на мгновение образовавшийся на его месте, мы успеваем увидеть некогда бывшее активным сверхсияние. Я не исключаю, что мир физиков не примет этой теории Гиви Алазнис'Пирели, но метафизический мир распахивает перед такой логикой двери, и лично Я считаю, что – Гиви прав! Вдумаемся: ведь, в конце концов, должно же выжженное при разряде электрозарядов место чем-то заполниться, прежде чем его снова забьют флюиды черного космоса. Приведу элементарный пример: допус-

ფიზიკაში „ტალღური“ მდგომარეობა ეწოდება. მაშ, რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მოსალოდნელია ელვით გამომწვარ ეთერულ სივრცეში დავინახოთ მის მიღმა არსებული სხვა სივრცე, რომელიც თეთრია და კაშკაშებს.

აქედან გამომდინარე...

სფერული ელვა უმეტესწილად იბადება ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს. ფიზიკოსთა სამყარო მიიჩნევს, რომ ამ მოვლენის მიზეზი ისევ და ისევ ელექტრომუხტია, მაგრამ ვერავინ გასცა პასუხი, თუ რით არის სფერული ელვა შეფუთული. მაშასადამე, გასარკვევია მისი კანის არსი, რაშიც თვალისმომჭრელი სიკაშკაშეა ბუნების მიერ ჩასხმული. მეცნიერებში დაისვა ასეთი საკითხიც, რომ თუ ჩვენ შევძლებდით და სფერულ ელვას ნელ-ნელა გამოვაცლიდით ენერგიას, იგი ხანგრძლივად გამოყენების ენერგიის წყარო გახდებოდა, მაგრამ როგორ გავხსნათ სფერული ელვა და როგორ დავიწყოთ მისგან ზენერგიის მიღება, ჯერჯერობით მიუკვლეველია. გივიმ შემოგვთავაზა ჰიპოთეზა, რომ ბუნების ასეთი მოვლენა კი არ იბადება ელექტრომუხტების შედეგად, არამედ იგი ყოველთვის არსებობს, მაგრამ შავი კოსმოსის სივრცის ქვეშ, მის შიგნით. ზოგმა ისე გაიგო, თითქოს მაღლა სიბნელეა და დაბლა სინათლე... ასე არ არის! აქ საერთოდ უნდა გამოვრიცხოთ ცნებები „დაბლა“, „მაღლა“... გივი ალაზნისპირელის თქმით, თეთრი სამყარო აქტიურობს ოდესლაც, შავი — დღეს! აი, რა არის პირველ რიგში საინტერესო.

— ბატონო მურმან, გაუგებარია, თუ დღეს სიბნელეა კოსმოსში და დროს ემორჩილება იგი, რატომ არ ემორჩილება დროს ოდესღაც არსებული სინათლე?

— ეს არის სწორედ საინტერესო და ეს გახლავთ ამ აღმოჩენის გენიალური მონაკვეთი. გივი ამბობს, რომ ვინაიდან ღრუბლებს შორის დაგროვილი მუხტები ელექტროდენის სახით განიმუხტებიან, ცაში წარმოიშობა ელექტროცეცხლი, რითაც შავი კოსმოსის როგორიღაცა მონაკვეთი იწვება, ხოლო წამიერად ამომწვარი ცის ბზარში ვხედავთ ოდესღაც აქტიურ ზესინათლეს. არ გამოვრიცხავ, რომ ფიზიკოსთა სამყაროს არ გაიზიაროს გივი ალაზნისპირელის ეს თეორია, მაგრამ **მეტაფიზიკური სამყარო კარს უხსნის ასეთ ლოგიკას და პირადად მივიჩნევ, რომ — გივი მართალია!** არადა დავაკვირდეთ: ბოლოს და ბოლოს, რაღაცით ხომ უნდა ამოივსოს ელექტრომუხტების განმუხტვის მომენტში ცეცხლით ამომწვარი ადგილი, ვიდრე ამ ადგილს კვლავაც კოსმოსის შავი ფლუიდი შეავსებდეს. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან: დავუშვათ წყლით სავსე ვედრო დავცალეთ, ეს მოხდა დღეს, ახლა, ამ წუთას... ვინაიდან „ყველაფრისაგან ცარიელი ვედრო“ არ არსებობს, და რადგან ვედრო სხვა რაღაცით უნდა აივსოს, წყლის ადგილს მომენტალურად ჰაერი დაიკავებს. ახლა გეკითხე-

тим, мы освободили ведро от воды, и это произошло сегодня, сейчас, сию минуту... Поскольку "свободного от всего ведра" не существует и поскольку оно должно заполниться чем-то другим, место воды мгновенно занимает воздух. Спрашивается: как вы думаете, воздух, которым заполнилось ведро, современен? Т.е. он принадлежит XX веку? Вы меня поняли?! Гиви Алазнис'Пирели развил свою теорию, спустя некоторое время высказал предположения об оболочке шаровой молнии, но его версии настолько сложны, что возникают сомнения в том, что его поймут.

– В частности...

– В частности, Гиви утверждает, и совершенно справедливо, что если шаровая молния влетит в лабораторию и вызовет некие последствия, к примеру, бесшумно пройдет сквозь стену или что-либо выжжет, то необходимость этого питается из будущего – логосом! Вы понимаете, что он говорит? Т.е. допустим, что физики находятся в рабочей лаборатории и зафиксировали факт шаровой молнии. По словам Гиви, то, что в будущем эти физики скажут о происшедшем в лаборатории, – происходит именно в тот день! Стало быть, шаровая молния подчиняется слову и ее оболочкой является вибрация слова! Я готов согласиться с Гиви без лишних слов.

– Допустим, в тот момент лаборатория взорвалась...

– Когда пройдет время *(дни, месяцы, годы)*, все или какой-нибудь один ученый все-таки скажет – что же на самом деле произошло в тот момент в лаборатории. И поскольку о том, что **"в тот конкретный день в лаборатории взорвалась шаровая молния"**, – будет сказано, от логоса в пространстве рождаются вибрации с мыслью о взрыве, которая всегда существует в великом сиянии, и до взрыва! Когда в мире наступит время осуществиться этому конкретному события, шаровая молния приведет в действие саму себя для взрыва именно в тот день, в тот час и минуту, когда об этом скажется слово после взрыва. Постарайтесь глубоко вникнуть в этот вопрос. Это очень большая и гениальная тема.

– Батоно Мурман, где же записана мысль "о взрыве" или "о не взрыве"?

– Внутри самой шаровой молнии.

– Но ведь она проникает в трещину от молнии, как говорит Гиви Алазнис'Пирели, из "великого дня"...

ბით: როგორ ფიქრობთ, ჰაერი, რითაც ვედრო აივსო, თანამედროვეა და მე-20 საუკუნეს ეკუთვნის? გამიგეთ?!

გივი ალაზნისპირელმა განავითარა მისი ეს თეორია და მოკლე ხანში სფერული ელვის შეფუთვის ვარაუდებიც გამოთქვა, მაგრამ იმდენად რთულია გასაგებად გივის ყოველი ვერსია, რომ ეჭვი მეპარება გაუგონ.

— კერძოდ...

— კერძოდ, გივი ამბობს და აბსოლუტურად მართალს, რომ თუ სფერული ელვა ლაბორატორიაში შემოვარდა და რაიმე მოიმოქმედა, მაგალითად, კედელში გავიდა უხმაუროდ ან დაბუგა იქაურობა, ამისი აუცილებლობა მომავლიდან იკვებება — ლოგოსით! ხვდებით რას ამბობს? ესე იგი, დავუშვათ ფიზიკოსები სამუშაო ლაბორატორიაში იმყოფებიან და სფერული ელვის ფაქტი დააფიქსირეს. გივის თქმით, რასაც მომავალში ეს ფიზიკოსები იტყვიან იმხანად ლაბორატორიაში მომხდარის შესახებ, — ის ხდება სწორედ იმ დღეს! ანუ სფერული ელვა ემორჩილება სიტყვას და სიტყვის ვიბრაციაა მისი კანი! მზად ვარ უსიტყვოდ დავეთანხმო გივის.

— დავუშვათ იმხანად ლაბორატორია აფეთქდა...

— ესე იგი, დრო რომ გავა (დღეები, თვეები, წლები), ყველა ან ერთი რომელიმე მეცნიერი მაინც იტყვის სიმართლეს, თუ რა მოხდა იმ მომენტში ლაბორატორიაში. და ვინაიდან ეს ითქმება, რომ — **„იმ კონკრეტულ დღეს ლაბორატორიაში სფერული ელვა აფეთქდა“**, — ლოგოსით სივრცეში იბადება ვიბრაციები აფეთქების აზრით, რომელიც მუდამ არსებობს დიდ სინათლეში — აფეთქებამდეც! როდესაც სამყაროში ის დრო დადგება — ეს კონკრეტული შემთხვევა უნდა განხორციელდეს, სფერულ ელვას მოქმედებაში მოჰყავს თავისი თავი ასაფეთქებლად ზუსტად იმ დღისით, იმ საათზე და წუთზე, რაც ამის შესახებ სიტყვით ითქვა აფეთქების შემდეგ. კარგად დააკვირდით ამ საკითხს, უალრესად დიდი და გენიალური თემაა.

— ბატონო მურმან, რაშია ჩაწერილი „აფეთქების“ ან „არ აფეთქების“ აზრი?

— შიგვე, სფერულ ელვაში.

— მაგრამ ის ხომ ელვის ნაპრალში გამოძვრა, იქიდან, როგორც ბატონი გივი იტყვის-ხოლმე — „დიდი დღიდან“...

– Конечно! Именно в шаровой молнии кодировано "проникновение" или "не проникновение" молнии в трещину, кодирован "взрыв" или "не взрыв" в лаборатории, или мысль о протяженности ее собственной жизни, постоянно сохраняющей в памяти то, какие действия ей следует произвести в сем мире.

– Стало быть, сформулируем: в чем состоит смысл и достоинство этого открытия?

– Самое высокое достоинство этого открытия заключается в том, что, по мысли Гиви Алазнис'Пирели, "если бы эфирное пространство не разрывалось, не существовало бы и шаровой молнии"! Это одно, и второе: "Сверхсияние Господа – сосуд всевозможных мыслей, в котором хранятся биографии всех людей и явлений!"

– И кто же вложил в шаровую молнию мысль об этих людях и явлениях?

– Человек.

– Но как, батоно Мурман...

– Словом.

– Так чем же мы завершим сегодня свою информацию читателям?

– Я совершенно убежден: благодаря этому открытию, человеческое сознание оказывается перед лицом нового мышления!

Конец третьей книги

— რა თქმა უნდა! სწორედაც სფერულ ელვაშია კოდირებული ელვის ნაპრალში მისი „შემოვარდნისა“ თუ „არ შემოვარდნის“, ლაბორატორიაში „აფეთქებისა“ თუ „არ აფეთქების“, ან მისივე სიცოცხლის ხანგრძლივობის აზრი, რომელიც თვითონ, სფერულ ელვას მოჰყვება და ახსოვს, რა და როდის უნდა მოიმოქმედოს წუთისოფელში.

— მაშ, დავასკვნათ: რაში მდგომარეობს ამ აღმოჩენის ღირსება?

— ამ აღმოჩენის ყველაზე დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ გივი ალაზნისპირელის თქმით: **„თუ ეთერული სივრცე არ იხსნება, არც სფერული ელვა იარსებებდა“!** ეს ერთი, და მეორე: **„უფლის ზესინათლე ყველანაირი აზრის ჭურჭელია, რაშიც ყოველი ადამიანისა თუ მოვლენის ბიოგრაფია ინახება“!**

— და ვინ ჩადო მასში ამა თუ იმ მოვლენის ან პიროვნების აზრი?

— ადამიანმა.

— როგორ, ბატონო მურმან...

— სიტყვით.

— ამგვარად, რით დავასრულოთ დღეს მკითხველთან საუბარი?

— უკვე დარწმუნებული ვარ: ამ აღმოჩენით საკაცობრიო ცნობიერება ახალი აზროვნების წინაშე დგას!

მესამე წიგნის დასასრული

Гиви Алазнис'Пирели

ВЕЛИЧАЙШЕЕ ОТКРЫТИЕ МИРА

Книга III

1 9 9 9

Книга I издана была в Тбилиси:
на грузинском и английском языках в 1994 году,
на грузинском и русском языках в 1997 году,
Книга II вышла на грузинском и русском языках в 1998 году

Редакторы:
русского текста ТАТЬЯНА СПИЦЫНА,
грузинского текста БЕСО ЧИНЧАРАУЛИ

Корректоры русского текста:
АННА БАГДАСАРОВА,
АЛЛА КУЗНЕЦОВА

Художник ЛУИЗА ЧИКАДЗЕ

Дизайн: ЛУИЗА ЧИКАДЗЕ,
ШАДИМАН ЧАВЧАВАДЗЕ

Книга сверстана автором на компьютере
IBM-386 в программе 2.0-Ventura

Иллюстрации на компьютере обработал
ИРАКЛИЙ АЛАЗНИС'ПИРЕЛИ

Цена договорная

© ГИВИ АЛАЗНИС'ПИРЕЛИ *(Автор)*, 1994 г.

Эта книга впервые была
выпущена издательской фирмой
ИНСТИТУТ ОДНОГО ЧЕЛОВЕКА
Основатель фирмы автор – Гиви Алазнис'Пирели
Целью издания является духовное пробуждение общества
Обращаться по адресу: 380017, Тбилиси, *ЗАГЭС*, Авчальская улица, 4, кв. 6

E-mail: alaznispireli@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ალაზნისპირელი

მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა

წიგნი III

1 9 9 9

წიგნი I გამოიცა თბილისში:
ქართულ და ინგლისურ ენებზე 1994 წელს,
ქართულ და რუსულ ენებზე 1997 წელს,
წიგნი II გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე 1998 წელს

რედაქტორები:
რუსული ტექსტის ტატიანა სპიცინა,
ქართული ტექსტის ბესო ჯინჯარაული

ქართული ტექსტის სტილი და კორექტურა შეასწორეს:
ხათუნა ალაზნისპირელმა,
მილიცა ჯაფარიძემ

მხატვარი ლუიზა ჯიკაძე

მხატვარ-დიზაინერები: ლუიზა ჯიკაძე,
შალიმან ჯავჯავაძე

წიგნი დააკაბადონა ავტორმა კომპუტერზე
IBM-386 2.0-Ventura პროგრამით

ილუსტრაციები კომპუტერით დაამუშავა
ირაკლი ალაზნისპირელმა

ფასი სახელშეკრულებოა

ბოდიშს გიხდით ამ წიგნის სიძვირის გამო

ეს წიგნი პირველად
გამოსცა საგამომცემლო ფირმამ
ერთი კაცის ინსტიტუტი
ფირმა დაარსა ავტორმა – გივი ალაზნისპირელმა
წინამდებარე გამოცემის მიზანია საზოგადოების სულიერი გამოღვიძება
ჩვენი მისამართი: თბილისი, ზაქესი (ბაგშვთა კოლონიასთან), აგარაკის ქუჩა 4, ბინა 6

ბოლიშს გიხდით ავტორი მკითხველს არაპროფესიონალურ დონეზე შესრულებული ილუსტრაციო ფოტო მასალისათვის

Автор приносит извинения за низкое техническое качество иллюстративного материала

В Н И М А Н И Е

В I томе дается адрес автора на случай, если кто-нибудь заинтересуется этой книгой или ее изданием в какой-либо стране. Даются также номера телефона и факса.

Доныне автор не получал из-за рубежа ни писем, ни факсов. Не было и телефонных звонков. Так что, если кто-нибудь из читателей получил какие-либо ответы от его имени, – это фальшивка!

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა

I ტომში შემოგთავაზეთ პირადი მისამართი იმ მიზნით, რომ თუ ვინმე დაინტერესდებოდა ამ წიგნის შინაარსითა და სხვა სახელმწიფოებში მისი გამოცემით, მოგეწერათ. მითითებული იყო ტელეფონის და ფაქსის ნომრებიც.

ამჯერად გატყობინებთ, რომ საზღვარგარეთიდან დღემდე არ მიმილია არავითარი კერძო ფაქსი ან წერილი და არც არავის უსაუბრია ტელეფონით ჩემთან. ასე რომ, თუ რომელიმე თქვენგანმა რაიმენაირი პასუხი მიიღეთ ჩემი სახელით, – ყალბია!

ა ვ ტ ო რ ი

ტექსტი დაიბეჭდა ფუროცლებად შ.პ.ს. „მერანის“ სტამბაში

ტირაჟი 1000 შეკვეთის № 42

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ., 42
ხოლო წიგნად აიწყო სხვადასხვა ორგანიზაციებში

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 354.599/3